F75N838

ყოველდღიური გაზეთი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. კ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

ხუთშაბათი, 2 ივლისი 193[illegible] წ. № 15[illegible] (3105)

სესხის რეალიზაცია სოფლად—ყურადღების ცენტრში

ხელის მოწერა მესამე, გადამწყვეტი წლის სესხზე დიდი წარმატებით მიმდინარეობს. მან შორს მიატოვა ის შედეგები, რომლებიც გვქონდა სესხის — „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“ — პირველი გამოშვების რეალიზაციაში. საკმაოა აღვნიშნოთ მარტო ერთი ფაქტიც, რომ ნათელი გახდეს ეს დებულება: პირველი ათდღიურის განმავლობაში მესამე, გადამწყვეტი წლის სესხის გამოშვების მომენტიდან ხელმოწერამ მოგვცა ექვსასი მილიონი მანეთი (1.600 მილიონიდან), მაშინ, როდესაც წინანდელი სესხის კამპანიის ასეთივე პირველი ათდღიურის შედეგი იყო მხოლოდ 60 მილიონი მანეთი.

მთელმა რიგმა ქალაქებმა უკვე დიდი გადაჭარბებით დაფარეს ვადაზე ბევრად ადრე თავიანთი საკონტროლო ციფრები. იგივე მდგომარეობა გვაქვს კერძოდ თბილისში, სადაც ოთხი დღით ადრე მიღებული ვადისა გადაჭარბებით იქნა დასრულებული გეგმა, ხოლო 30 ივნისისათვის გატარებული იქნა ხელის მოწერა 10.266.513 მანეთის რაოდენობით, რაც შეადგენს საკონტროლო ციფრების გადაჭარბებას თორმეტი პროცენტით. იგივე ცნობები მოგვდის ამიერ - კავკასიის და კერძოდ საქართველოს ქალაქებიდანაც.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ მთავრობის მოწოდებამ სესხის გამოშვების შესახებ, რომელიც გამოხატავდა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ნება-სურვილს, ჰპოვა უდიდესი გამოხმაურება საბჭოთა ქვეყანაში. თავის მხრივ კი ეს მოწმობს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ურყევ რწმენას იმ გზის სისწორეში, რომლითაც მიდის პარტია და ხელისუფლება, ურყევ რწმენას იმ გენერალურ ხაზში, რომლის გატარებას მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრებთან და მათთან შემარიგებლობასთან ბრძოლით — მიჰყავს ქვეყანა გამარჯვებებიდან გამარჯვებებისაკენ მთელი რიგი სიძნელეების დაძლევის ნიადაგზე, იმ სიძნელეებისა, რომლებიც სდევს პარტიის გენერალური შეტევას და სოციალიზმის ზრდას.

სესხის რეალიზაციის წარმატება ქალაქებში საშუალებას გვაძლევს ჩვენი ყურადღებისა და აქტივობის ცენტრში მოვაქციოთ სოფელი. მთელს კავშირში სოფელმა უნდა გაანაღდოს 500 მილიონი მანეთის ობლიგაცია, აქედან კოლმეურნეობებმა 250 მილიონის, კერძო მეურნეებმა დანარჩენი 250 მილიონი მანეთის. უნდა ითქვას, რომ სოფლის სექტორი როგორც თავისი ტემპებით, ისე ხვედრითი წონით ყოველთვის ჩამორჩენილი იყო სესხების რეალიზაციის საქმეში. მით უფრო საჭიროა მთელი ძალების ამოძრავება, რათა ის საკონტროლო ციფრები, რომელიც უნდა შეასრულოს სოფელმა, დაფარული იქნეს გადაჭარბებით და გარკვეულ ვადაზე, რომელიც განსაზღვრულია პირველი აგვისტოთი მთელი კავშირის მასშტაბით. და ეს ვადა სრულიად საყოფია, თუ სათანადო სახელმწიფო ორგანოები, პარტიული, პროფესიონალური, კომკავშირული და საზოგადოებრივი ინიციატივის (სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი) ორგანიზაციები ენერგიულად შეუდგებიან საქმეს და განავითარებენ იმ ტემპებს, რომელთა საუკეთესო ნიმუშები გვაჩვენა სესხის რეალიზაციის კამპანიამ ქალაქად.

მაგრამ ასეთი ტემპების განვითარების საჭიროება, საკონტროლო ციფრების შესრულება და გადაჭარბებით შესრულება არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს რაიმე ადმინისტრატიული დაწოლის საშუალებით, რაშიც გამოხატულებას ჰპოულობს ხოლმე ანტიპარტიული „მემარცხენე“ ნახტომები ზოგი მუშაკებისა, რომლებსაც თავისი უუნარობა სესხის მოთავსებისა ნებაყოფლობითი პრინციპის საფუძველზე, სურთ დაფარონ მოსახლეობისადმი უხეში მიდგომით და ამ დიდ კამპანიაში პარტიის მიერ მოცემული ხაზის გადამახინჯებით. ეს უნდა ახსოვდეს ყველა ორგანიზაციებს, ყველა მუშაკებს. სისუსტე ახსნა - განმარტებითი კამპანიისა ამ სესხის მნიშვნელობისა და პარტიის ხაზის შესახებ მის გატარებაში, შეიქმნება ერთ-ერთ გამოსავალ წერტილად გადამახინჯებებისა, თუ დროზე არ გაიშალა მთელი ჩვენი შესაძლებლობით ეს აუცილებელი წინასწარი სააგიტაციო მუშაობა სოფლად. ჯერ-ჯერობით ამ მიმართულებით ცოტა რამეა გაკეთებული როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანოების მიერ. ამ მდგომარეობას ახლავე უნდა მოვუღოთ ბოლო, რომ მით შევქმნათ საჭირო პირობები სესხის ისეთივე წარმატებით რეალიზაციისათვის სოფელში, როგორც ამას ადგილი აქვს ქალაქად. სესხის მოთავსების საკონტროლო ციფრები უნდა დაიფაროს გადაჭარბებით და დანიშნულ ვადაში სოფელშიც პარტიის ხაზის ურყევად გატარების და ამ ხაზიდან ყოველგვარი მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტული გადახრების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის ნიადაგზე.

უკრაინის კულტურის ათდღიურისათვის

საბჭოთა საქართველოს კულტურის ისტორიაში უდიდეს საზეიმო მოვლენათ აღინიშნება უკრაინის კულტურის ათდღიურის ჩატარება.

დღეს საქართველოს მშრომელ მასებს პირველათ ეძლევათ შემთხვევა პირის - პირ იხილონ თავიანთ შორის ოქტომბრის რევოლიუციის განახლებული საბჭოთა უკრაინის კულტურული სახე.

ყველას ხსოვნაში ჯერ კიდევ ცოცხალი არის მოგონება რუსეთის თვითპყრობელობის სულშემხუთავი ეროვნული პოლიტიკისა. დიდმპყრობელური ბატონობით დაბრმავებული დაუნდობლად სთელავდა ფეხქვეშ რუსეთის საზღვრებში მოქცეულ ყველა ერის საარჩევნო უფლებებს, ენას, კულტურას. ძველმა რეჟიმმა იცოდა მხოლოდ ფეოდალური—ფეოდალურ - ბურჟუაზიულ ბატონობით ნაკარნახევი ეროვნული დევნა და ჩაგვრა.

ოქტომბრის რევოლიუციამ ისტორიული აუცილებლობის სისასტიკით დაამხო კლასიურ ბატონობაზე და ეროვნულ ჩაგვრაზე დამყარებული ძველი რეჟიმი. მის სანაცვლოდ დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა და პირველივე დღიდან ყველა ერს მიანიჭა თანასწორუფლებიანობა და თავისუფალი გასაქანი მისცა მათი განვითარებისა და წინ სვლის ყოველივე შესაძლებლობას.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე გარკვეული გეზი მისცა საბჭოთა კავშირში შემავალ ერების კულტურულ განვითარებას:

ფორმით ნაციონალური, შინაარსით — ინტერნაციონალური.

საბჭოთა კავშირის ავანგარდში მოქცეული უკრაინის ერიც ამ გზით ანვითარებს ოქტომბრის რევოლიუციით გამომჟღავნებულ თავის მდიდარ კულტურულ შესაძლებლობას.

რაღაც ათიოდე წლის მანძილზე საბჭოთა უკრაინამ შეჰქმნა შინაარსით ნამდვილი პროლეტარული, რევოლიუციონური და სოციალისტური ფორმით კი დიადი უკრაინული ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა და თეატრი.

თუ ძველი რეჟიმის დროს მონობით სული — შეხუთული ერები ერთმანეთს ვერც კი სცნობდნენ, დღეს სოციალიზმისათვის ხელჩართულ ბრძოლაში და შრომაში ყველა ერი უახლოვდება ერთმანეთს.

დღევანდელი ზეიმიც პირველი სადღესასწაულო შეხვედრაა ერთმანეთთან უკრაინისა და საქართველოს მშრომელებისა — კულტურისა და ხელოვნების ნიადაგზე — აქ, საქართველოს დედა - ქალაქ ტფილისში.

გუშინდელი ჩვეულებრივი ნაცნობები ამჟამად პირისპირ შეხვედრილნი ერთმანეთს სიხარულით უწვდიან ხელს და იქცევიან ნამდვილ ძმებათ ნათესავებათ — ერთი მიზნისათვის, ერთნაირი გატაცებით — ერთად მებრძოლთ.

საქართველოში მოსული უკრაინის კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები — მწერლები მხატვრების, მსახიობები ზეიმით შეხვედრილ საქართველოს მშრომელებში დასტოვებენ უკრაინის კულტურის ნამდვილ, ცოცხალ სახეებს. თან კი წაიღებენ ოქტომბრის რევოლიუციით გაჯანსაღებულ საქართველოს ათასწლოვან კულტურის მრავალ[illegible] ყველ სახეებს და გააცნობენ მას უკრაინის მშრომელ მასებს.

ამითი კიდევ უფრო შემჭიდროვდება საბჭოთა კავშირის მებრძოლი ავანგარდები, რომ ერთად მძლავრად და შეუპოვრათ გავსწიოთ საბოლოო გამარჯვებისაკენ.

სრ. საქ. ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტის თამჯდომარე

ფ. მახარაძე.

კაპიტალისტური ქვეყნები

ეკონომიური კრიზისის ბრჭყალებში

ბრიუნინგის მთავრობა მოგებას მხოლოდ მემამულეებს და კულაკურ მეურნეობებს აძლევს

ბერლინი, 30 ივნისი. ივნისის მარტო პირველი სამი კვირის განმავლობაში რეიხსბანკიდან გაიტანეს 1,2 მილიარდი მარკის ოქრო და ვალიუტა, რაც თითქმის 50 პროცენტით აღემატება ვალიუტის იმ ეკონომიას, რომელიც გერმანიას შეეძლია მიიღოს ჰუვერის წინადადების თანახმად. ჰუვერის წინადადებამ ერთგვარად დაამშვიდა ბირჟის წრეები, მაგრამ ჯერ-ჯერობით გერმანიის მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესების არავითარი ნიშანი არ ჩანს.

გერმანიის მეურნეობის კრიზისმა, დამქირავებელთა შეტევამ და განსაკუთრებულმა დეკრეტებმა გამოიწვიეს მუშათა კლასის და, საერთოდ, მშრომელთა მდგომარეობის საგრძნობი გაუარესება. გერმანიის ინდუსტრიალური მუშის საშუალო კვირეული ხელფასი კოლხელშეკრულებით დაეცა 48,8 მარკიდან (1931 წლის იანვარში) 46,40 მარკამდე (მაისში). გარდა ამისა, გერმანიის სამრეწველო პროლეტარიატმა 1931 წლის იანვარში დაჰკარგა საშუალოდ თავისი ხელფასის 34,2 პროც., ნაცვლად 1930 წელს დაკარგული 22,7 პროცენტისა. ნაწილობრივი უმუშევრობის გარდა, ხელფასი საშუალოდ შემცირდა იანვარში 5 პროცენტით, მაისში—4,7 პროცენტით, ბაჟების, გადასახადებისა და ფასების გადიდების შედეგად, რეალური ხელფასი მაისში უდრიდა 1927 წლის ხელფასის 84,2 პროც. და 1913 წლის ხელფასის 82,3 პროც.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან უმუშევრები. დახმარებას უმუშევრობისაგან დაზღვევის ფონდიდან განსაკუთრებული დეკრეტის საფუძველზე იღებდა ამა წლის მარტში უმუშევართა მთელი რიცხვის 49 პროც., აპრილში—43 პროც., მაისში—39 პროც., თებერვალში კი დახმარება უდრიდა 69 პროცენტს, ხოლო 1929 წელს—81 პროც., 21 წლისაზე ახალგაზრდა უმუშევრებს დახმარება თითქმის აღარ ეძლევათ.

მძიმე სამრეწველო კრიზისს თან სდევს სოფლის მეურნეობის კრიზისი, რომლის დავალიანებაც 8 მილიარდიდან (1930 წლის დამლევს) გაიზარდა 12 მილიარდამდე (1931 წლის პირველ ნახევარში). 1925 წლის თებერვალში იყო 3,5 მილიარდი.

გერმანიის მთავრობის პოლიტიკა მოგებას აძლევს მხოლოდ მემამულეების და კულაკურ მეურნეობებს, იმ დროს, როდესაც წვრილი გლეხობის გაღატაკება სწრაფი [illegible]ით სწარმოებს.

გერმანიის თითქმის ყველა ოლქში ხდება წვრილი გლეხობის ქონების მასიური კონფისკაცია გადასახადებისა და ვალის პროცენტებს გადაუხდელობისათვის. ნაკლებ გავლენას არ ახდენს კრიზისი აგრეთვე ქალაქის საშუალო ფენებზე—ხელოსნებზე, მოსამსახურეებზე და წვრილ ვაჭრებზე. იზრდება თვითმკვლელობის რიცხვი. დაბადებულთა რიცხვის შემცირება პრუსიაში 1931 წლის პირველ ნახევარში უდრიდა 9 პროც. იზრდება აგრეთვე ბოროტმოქმედების რიცხვი, განსაკუთრებით იმ ახალგაზრდობის შორის, რომელიც განდევნილია სამრეწველო პროცესიდან და რომელსაც დახმარება მოესპო. ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ ეკონომისტებს და პოლიტიკოსებს არ ძალუძთ გამონახონ თეორიული გამოსავალიც კი გერმანიის მძიმე სამეურნეო მდგომარეობიდან. ასე, გერმანიის სახელმწიფო საკონიუნქტურო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პროფესორმა ვაგემანმა განაცხადა, რომ გერმანიის ეკონომიური კრიზისი 1945 წლამდე გასტანსო (ადს).

ეკონომიური კრიზისი საფრანგეთში ღრმავდება

პარიზი, 30 ივნისი. რუბეში (ჩრდილოეთ საფრანგეთის საფეიქრო რაიონი), ეკონომიური კრიზისის გამო, გაკოტრდა დიდი საფეიქრო საწარმო. პასივი 72 მილიონ ფრანკს აღწევს (ადს).

კლასობრივი ბრძოლა ღრმავდება

კომპარტიის გავლენა ძალზე გაიზარდა

ბერლინი, 30 ივნისი. წარმატებით დამთავრდა კომპარტიის მიერ მოწყობილი საყოველთაო კენჭის ყრა ბრაუნშვეიგის პროვინციის ლანდტაგის დათხოვნის მოთხოვნით. მიღებულ იქნა ხმის საჭირო რაოდენობაზე (10 პროც. იმ რაოდენობიდან, რომელიც არჩევის უფლება აქვთ, რაც უდრის 346.000 კაცს) მეტი, თუმცა ყველა სხვა პარტიები წინააღმდეგ გამოვიდნენ. კენჭის ყრა სწარმოებდა ხმის მიმცემთა სახელობითი რეგისტრაციით. არა სრული ცნობებით, შეგროვდა 35.000 ხელმოწერა. კენჭისყრის შედეგები მოწმობენ, რომ კომპარტიის გავლენა ბრიუნშვეიგში ძალზე გაიზარდა. რეიხსტაგის არჩევნების დროს გასულ წელს კომპარტიამ მიიღო 21.334 ხმა. საყოველთაო კენჭისყრა ბრიუნშვეიგში, რომელიც სასოფლო სამეურნეო პროვინციას წარმოადგენს, მოწმობს კომპარტიის გავლენის გაძლიერებას გლეხობის შორის

უმუშევართა დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. ბარეტანში (ოგაიოს შტატი) პოლიცია თავს დაესხა უმუშევართა საპროტესტო დემონსტრაციას პოლიციის მიერ ზანგ ალექსანდრის გატაცების წინააღმდეგ. ალექსანდრი უმუშევართა მოძრაობის აქტიური ორგანიზატორი იყო. შიშობენ, რომ ალექსანდრი მოჰკლეს. პოლიციელები მხეცურად სცემდნენ დემონსტრანტებს და ცრემლსადენ ყუმბარებით ხმარობდნენ. დემონსტრანტებს შორის მრავალია დაჭრილი.

რემედასმა მიმართა გუბერნატორს მოთხოვნით—გადააყენოს ადგილობრივი მოხელეები, რომლებიც დამნაშავენი არიან დემონსტრანტების ცემაში (ადს).

ფაშისტები იკლებენ მუშათა ოჯახებს

ბერლინი, 30 ივნისი. ბლანკენბურგში (ბრაუნშვეიგის პროვინცია) ნაციონალ-სოციალისტები (ფაშისტები) დაესხნენ მთელ რიგ მუშათა ბინებს და გაანადგურეს ისინი. სცემეს მუშების ცოლებსა და ბავშვებს, ხუთი მუშა მძიმედ არის დაშავებული. პოლიცია უმოქმედობას იჩენდა (ადს).

ფაშისტ და კომუნისტ სტუდენტების შეტაკება

ბერლინი, 30 ივნისი. ბერლინის უნივერსიტეტში ნაციონალ - სოციალისტი (ფაშისტები) სტუდენტები თავს დაესხნენ ებრაელ კომუნისტ და სოციალისტურ სტუდენტებს: ფაშისტებმა სცემეს რამდენიმე სტუდენტს. პოლიციამ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ არავითარ ზომებს არ მიმართეს. უნივერსიტეტ ი დროებით დაიხურა (ადს).

ჰუვერის წინადადების გარშემო

ვაშინგტონი, 30 ივნ. ფინანსთა მინისტრ მელონთან, რომელიც პარიზში იმყოფება, ტრანსატლანტიური ტელეფონით ლაპარაკის შემდეგ შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კესტლმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „საფრანგეთთან ჯერ არავითარი შეთანხმება არ არის მიღწეული, ვინაიდან ჯერ არ არის გადაჭრილი ტეხნიკური საკითხები. შეერთებულ შტატების რესპუბლიკა არავითარ ისეთ წინადადებას არ მიიღებს, რომელიც მთლიანად არ შეეფერება პრეზიდენტ ჰუვერის წინადადების მიზნებს (ადს).

საჰაერო ექსპედიცია ინდოეთიდან ჩინეთის თურქესტანში

ქაბული, 30 ივნისს. გაზეთ „ტაიმს ოფ ინდია“-ს გადმოცემით ახლო მომავალში ინდოეთიდან ჩინეთის თურქესტანში მიემგზავრება საჰაერო ექსპედიცია. ექსპედიციას ხელმძღვანელობას გაუწევს პოლკოვნიკი სიუარტი. ექსპედიციის მარშრუტი ასეთი იქნება: იგი გადალახავს კარაკორუმის მთის ქედის 3.400 ფუტის სიმაღლეზე გადაფრინდება იარკენდში (პამირის მახლობლად) და გამოიკვლევს იქ ჩინეთის თურქესტანის დიდ ნაწილს. შემდეგ ჰიმალაით დაბრუნდება ინდოეთში. ჰიმალაის მთაზე ექსპედიცია გადაფრინდება იქ, სადაც მისი სიმაღლე 18.600 ფუტს აღწევს.

გაზეთის სიტყვით, ექსპედიციის მიზანია—დაამტკიცოს უკეთესი სატრანსპორტო პირობების შესაძლებლობა თურქესტანიდან აღმოსავლეთში, გამონახოს ახალი საჰაერო გზები ინდოეთზე და აღმოაჩინოს ახალი ბუნებრივი სიმდიდრენი. ინდოეთის მთავრობამ ნება დართო ექსპედიციას გადაფრინდეს ისეთ რაიონებში, რომლებზეც გადაფრენა წინად აკრძალული იყო (ადს).

ახალგაზრდობის მე-17 საერთაშორისო დღისათვის კომკავშირში ჩაბმულ იქნას ერთ მილიონ ნახევარი წევრი

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ს—ამხ. სტალინს, კაგანოვიჩსა და პოსტიშევს

საქ. ლ.ა. კომკავშირის ც.კ.-ის პატაკი

მოსკოვი, 1 ივლისი. „სამი მილიონი კომკავშირელის წარმატებული ბრძოლის შედეგად პარტიის გენერალური ხაზისა და სოციალიზმისათვის, იმ ამოცანების შესასრულებლად გამძაფრებული გმირული ბრძოლის შედეგად, რომლებიც დასახულია ჩვენს წინაშე პარტიისა და საქ. ლ.ა. კომკავშირის მე-9 ყრილობის მიერ, ლენინური კომკავშირი უკანასკნელ ხუთ თვეში ინდივიდუალური შერჩევის პირობებში გაიზარდა 1 მილიონი კაცით. კომკავშირი ოთხმილიონიანი გახდა. კომკავშირელთა ახალი მილიონი პარტიის განკარგულებაში გადადის. სიტყვას ვიძლევით, არ შევანელოთ ტემპები და ახალგაზრდობის მე-17 საერთაშორისო დღისათვის შევასრულოთ დადგენილება კავშირში მუშა და მოჯამაგირე ახალგაზრდობის 100 პროცენტით ჩაბმის შესახებ. სიტყვას ვიძლევით, ინდივიდუალური შერჩევით ახალგაზრდობის მე-17 საერთაშორისო დღისათვის ჩავაბათ კომკავშირში არა ნაკლებ 1 ნახევ. მილიონი კაცისა.

საქ. ლ.ა.კ.კ. ც.კ.-ი.

ამხ. მოლოტოვმა მიიღო თურქეთის ელჩი

მოსკოვი, 1 ივლისი. 30 ივნისს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მოლოტოვმა მიიღო თურქეთისელჩი რაჰიბ-ბეი (ადს).

მშრომელი ფინელები მზად არიან

დაიცვან საბჭოთა კავშირის საზღვრები

ლენინგრადი, 1 ივლისი. 28 ივნისს ლენინგრადში გაიმართა ლენინგრადის ოლქისა და კარელის მშრომელი ფინელების დიდი ინგერმანლანდური დღესასწაული. დღესასწაული წარმოადგენდა პასუხს ფინელი ფაშისტების პროვოკაციულ გამოსვლაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ფინურ კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა დღესასწაულზე გამოცხადდა 1.250 დელეგატი. დღესასწაული გაიხსნა თავდაცვაავიაქიმის საკოლმეურნეო უჯრედების კონფერენციით. კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ლენინგრადის ოლქისა და კარელიის მშრომელი ფინელები სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ფინელ თეთრგვარდიელთა პროვოკაციულ გამოსვლებს. საბჭოთა მთავრობის პირველ დაძახებისთანავე ყველა მშრომელი ფინელები, როგორც ერთი კაცი, მზად არიან აღსადგენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს — საბჭოთა კავშირის საზღვრების დასაცავად“.

დღესასწაულს დაახლოებით 20.000 კაცი დაესწრო (ადს).

საკავშირო კონკურსი

პირველი ბოლშევიკური თიბვისა და სასილოსო კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებისათვის

მოსკოვი, 1 ივლისი. საბჭოთა კავშირის მიწსახკომმა დაადგინა — მოეწყოს სრულიად საკავშირო კონკურსი იმ რაიონის, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობისა და სასოფლო ამხანაგობის დამკვრელობაზე, რომელიც საუკეთესოდ ჩაატარებს პირველ ბოლშევიკურ თიბვასა და სასილოსო კამპანიას. საუკეთესოებს მიეცემათ პრემიად—სათიბი მანქანები, ცხენის ფარცხები, სილოსის საჭრელები და სასილოსე კოშკები. დამკვრელი ბრიგადებისა და ცალკე დამკვრელთათვის პრემიის მისაცემად გამოყოფილია ფულადი ფონდი 75.000 მანეთის რაოდენობით (ადს).

საბჭოთა სისტემის მოტოციკლეტი

ლენინგრადი, 1 ივლისი. ქარხანამ „კრასნი ოქტიაბრ“-მა გამოუშვა ახალი, უფრო დამთავრებული კონსტრუქციის მოტოციკლების პირველი პარტია. მანქანების ნაწილები მთლიანად საბჭოთა ქარხნებშია დამზადებული. ივლისში მოხდება ახალი მოტოციკლეტების საცდელი გადარბენა ლენინგრად-მოსკოვ-ხარკოვ-ჩრდილოეთ კავკასია-ლენინგრადის მარშრუტით (ადს).

მიწური სახლები მრეწველობისა და საცხოვრებელი ბინებისათვის

მოსკოვი, 1 ივლისი. „როსსტროი“ აწარმოებს ცდებს სახლების ასაგებად წმინდა ნეშარა მიწისაგან. ლენინგრადის გზატკეცილზე, პეტროვსკის პარკის რაიონში, აგებულ იქნა ერთი ასეთი სახლი, რომელშიც მოთავსებულია „როსსტროი“-ს ლაბორატორია. გზატკეცილზე აგებენ დიდ ორსართულიან სახლს. მიწის სახლები ახალ მოვლენად არ ჩაითვლება. ვატშინოში აგებული იყო მალტის რაინდების ორსართულიანი სასახლე. შენობამ აქამდე მოაღწია. მიწის სახლები ბევრად უფრო იაფი დაჯდება აგურის, ხისა და თითქმის თიხა-ბეტონის სახლებთან შედარებითაც კი. „როსსტროი“ იწყებს მთელ რიგ მიწის სახლების აგებას მრეწველობისა და საცხოვრებელი ბინებისათვის. სდებენ ხელშეკრულებას „სვინოვოდ“-ის ტრესტთან საცხოვრებელი სახლების, თავლებისა და სხვა შენობების აგების შესახებ ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში (ადს).

„სოციალიზმი – ეს პირველყოვლისა აღრიცხვაა“ (ლენინი)

ბორჩალოს რაიონში შრომის წიგნაკები კოლმეურნეობათა კავშირს ვერ გასცილდნენ

სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს ყველას, ვინც თავისი ბიუროკრატიული მოქმედებით აბრკოლებს შრომის წიგნაკების გადაგზავნას კოლმეურნეობებისათვის.

შრომის წიგნაკები კოლმეურნეობათა კავშირში აწყვია

(ბორჩალო)

ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საქმე მოუგვარებელია. არ სწარმოებს შრომის აღრიცხვა, არცერთ კოლმეურნეობას არა აქვს შრომის საალრიცხვო წიგნაკები. რაიკოლმეურნეობათა კავშირმა შრომის წიგნაკები 28 ივნისს მიიღო, მაგრამ დღემდე არ დაუგზავნია კოლმეურნეობებისათვის.

საქ. კოლმეურნცენტრიდან ჩამოვიდა ბრიგადა შრომის ორგანიზაციის მოსაწესრიგებლათ კოლმეურნეობებში, მაგრამ მას ჯერჯერობით არაფერი არ [illegible]უკეთებია.

29 ივნისს, საშეფო საზოგადოებიდან ჩამოვიდა 28 კაცი, რომელთა დიდ უმრავლესობას სტუდენტობა შეადგენს, მაგრამ თურქული ენის უცოდინარობის გამო ისინი მუშაობას ვერ ახერხებენ და ბრუნდებიან ისევ თბილისში. საჭიროა კოლმეურნცენტრმა ბორჩალოს რაიონში გამოგზავნოს თურქული ენის მცოდნენი წინააღმდეგ შემთხვევაში თურქულ ენაზე შედგენილი შრომის წიგნაკები შეუვსებელი დარჩება.

ბორჩალოს კოლმეურნეობათა კავშირი მოუმზადებელი შეხვდა შრომის აღრიცხვის ლაშქრობის ხუთდღიურს. ოპორტუნისტულ თვითმიმდინარეობაზე დაყრდნობას ბოლო უნდა მოეღოს.

გ. უჩანეიშვილი.

წიგნაკების დარიგებას აფერხებენ

(ლაგოდეხის რაიონი)

ლაგოდეხის რაიონისათვის საჭირო იყო 5.00 ცალი შრომის აღრიცხვის წიგნაკი. [illegible]ებულია 26 ივნისამდე — 2.600 ცალი.

რაიკოლმეურნეობათა კავშირს არავითარი ზომები არ მიუღია კოლმეურნეობებისათვის წიგნაკების თავის დროზე მისაწოდებლად. 28 ივნისისათვის წიგნაკები არ ქონდათ მიღებული [illegible]სა და ყურისუბნის სასოფლო საბჭოებში შემავალ კოლმეურნეობებს.

მიხ. ბოკუჩავა.
გრ. გალოგრე.

სანარდო სისტემაზე კიდევ არ გადასულან

(ზესტაფონის რაიონი)

სასოფლო - სამეურნეო არტელი „ციცქა“ [illegible]რ კიდევ მთლიანად არ გადასულა მუშაობის სანარდო სისტემაზე. ანრიგი მარტო მევენახეობის დარგში არის შევსებული, სხვა დარგებში შრომის აღრიცხვა მოუ[illegible].

სოფ. ტევრის სას. - სამ. არტელი განიცდის მუშა-ხელის ნაკლებობას. არტელი გადასულია სანარდო სისტემაზე, მაგრამ ანრიგი შევსებულია მხოლოდ ბრიგადებზე. მიღებულია [illegible]ომა - დღეების აღრიცხვის წიგნაკების საკმაო რაოდენობა, რომელიც დაურიგდება არტელის წევრებს.

აღრიცხვის წარმატებით ჩატარებას ხელს უშლის ის, რომ არტელს არ ყავს საკუთარი მოანგარიშე. ამ თანამდებობას შეთავსებით ასრულებს ადგილობრივი სასამართლოს მდივნის მოადგილე.

სოფ. ცხრაწყაროს კოლმეურნეობა არ არის გადასული სანარდო სისტემაზე. შრომის აღრიცხვის წიგნაკები საკმაო რაოდენობით არის მიღებული, მაგრამ მის გამოყენებაზე არავინ ფიქრობს, რაიკოლმეურნეობათა კავშირმა კარგად იცის ეს ამბავი, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს.

საჭიროა სასწრაფოდ გამოსწორდეს აღნიშნული დეფექტები.

ერ. ლაშხი.

როგორ მიმდინარეობს შრომის აღრიცხვა

გაზეთმა გვიან გამოიღვიძა

სამტრედია, 1 ივნისი. რაიკოლმეურნეობათა კავშირს შრომის წიგნაკები მიღებული აქვს. „პრავდას“ მოწოდება ხუთდღიური ლაშქრობის შესახებ არ არის დამუშავებული 30 ივნისისათვისაც კი არ იყო გაგზავნილი ბრიგადები სოფლად.

სამტრედიის რაიონულმა გაზეთმა დაუშვებელი გულგრილობა გამოიჩინა ხუთდღიურის ჩატარების საქმეში. გაზეთს მხოლოდ 30 ივნისს მოაგონდა ხუთდღიური და 1 ივლისიდან ფიქრობს მის ჩატარებას.

რ. გ—ლი.

—:—

რაიკავშირი არ არიგებს შრომის წიგნაკებს

ტყიბული, 30 ივნისი. ტყიბულის რაიკოლმეურნეობათა კავშირს დღემდის არ დაუწყია 27 ივნისს მიღებული შრომის წიგნაკების დარიგება კოლმეურნეობებისათვის.

შრომის წიგნაკების დაურიგებლობა აიხსნება იმ გარემოებით, რომ რაიკოლმეურნეობათა კავშირმა დროზე ვერ უზრუნველყო კოლმეურნეობები მოანგარიშეებით და სათანადო მომზადებული ძალებით.

რაიონში გახსნილია მოანგარიშეების გადასამზადებელი თვენახევრიანი კურსები, საჭიროა ამ მოანგარიშეების სასწრაფოდ გაგზავნა კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვის მოსაწესრიგებლად.

„კომუნისტის“ ბრიგადა.

—:—

მოანგარიშეები სოფლად გაიგზავნენ

ჭიათურა, 30 ივნისი. ჭიათურის რაიკოლმეურნეობათ კავშირის მიერ დროებით 27 ივნისიდან შეწყვეტილ იქნა მოანგარიშეების კურსების მეცადინეობა.

27 ივნისს, მოანგარიშეების თათბირზე ჩატარდა საინსტრუქტორო მოხსენება ხუთდღიურის მნიშვნელობაზე.

შრომის წიგნაკები ჭიათურის რაიკოლმეურნეობათა კავშირმა მიიღო მხოლოდ 25 ივნისს. ეს წიგნაკები მოანგარიშეების საშუალებით მთლიანად გაეგზავნა კოლმეურნეობებს.

სოფლად უკვე გაიგზავნენ ბრიგადები, პასუხისმგებელი ამხანაგები და რაიკოლმეურნეობათა კავშირის თანამშრომელნი.

რაიკოლმეურნ. კავშირი.

—:—

შრომა - დღეების ჩაწერა დაიწყეთ

სოფ. წყალტუბოს „მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის“ სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც ორი თვის წინეთ ჩამოყალიბდა, უკვე გადავიდა მუშაობის სანარდო სისტემაზე.

ნა[illegible]დი მუშაობის შემოღებამ არტელის [illegible]ვრებს შორის გაზარდა შრომის ნაყოფიერება, რითაც კმაყოფილი არიან.

სასოფლო-სამ. არტელში შრომის აღრიცხვა მოწესრიგებულია. შრომის წიგნაკები აქ მიღებული იქნა 24 [illegible]ნისს, დღეების აღრიცხვას და ჩაწერა[illegible] [illegible]მოებს ქუთაისის სარაიონო გაზეთიდან მივლინებული ბრიგადა.

ბრიგ. წევრი.

რამ შეაფერხა ხუთდღიური

თელავი, 30 ივნისი. თელავის რაიონის კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვა ხუსტად სწარმოებს. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, პარტრაიკომმა ადგილებზე გაგზავნა 3 ბრიგადა, რომელთაც დაევალათ შრომის აღრიცხვის მოწესრიგება კოლმეურნეობებში.

ხუთდღიურის ჩასატარებლად თელავიდან სოფლებში გაიგზავნა 6 ბრიგადა. ხუთდღიური ლაშქრობის ჩატარებას ხელი შეუშალა შრომის წიგნაკების უქონლობამ. თელავის რაიკოლმეურნეობათა კავშირმა წიგნაკები მხოლოდ 27 ივნისს მიიღო და ისიც ძალზე მცირე რაოდენობით.

საჭიროა საქ. კოლმეურნეობათა ცენტრმა საჩქაროდ გამოგზავნოს თელავში შრომის წიგნაკები.

ვან—ლი.

—:—

წიგნაკების დარიგებას აგვიანდებს

ახალსენაკი, 30 ივნისი. როგორც ადგილებიდან მიღებული ცნობებიდან ჩანს, ჯერ კიდევ ყველა კოლმეურნეობებში არ არის დარიგებული შრომის წიგნაკები.

ზოგიერთი სას. საბჭოებში დაუშვებელ უყურადღებობას იჩენენ შრომის აღრიცხვის დაყენების საქმეში. მაგ., ფოცხოს და ზანის სას. საბჭოებს ჯერ არავითარი პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგამთ ხუთდღიურის ჩასატარებლად.

გაზეთის რედაქციამ სოფლად გაგზავნა 7 ბრიგადა, რომელთაც უნდა შეამოწმონ შრომის აღრიცხვის და სანარდო სისტემის ფაქტიურად გატარება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფაქტიურად გატარება.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა.

—:—

ლაშქრობას დროზე დავამთავრებთ

ოზურგეთი, 30 ივნისი. კოლმეურნეებს შრომის წიგნაკები უკვე დაურიგდათ. სწარმოებს სახელობითი ნუსხიდან შრომა-დღეების გადატანა შრომის წიგნაკებში.

შრომის წიგნაკებში შრომა-დღეების 1 ივლისამდე ჩაწერის დასამთავრებლად გამოყოფილია სპეციალური ბრიგადები, რომელნიც დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს.

—:—

წიგნაკები გვაკლია

წალენჯიხა, 30 ივნისი. შრომის წიგნაკები მივიღეთ 26 ივნისს და ისიც არა საკმაო რაოდენობით. წიგნაკები უკვე დაურიგდათ კოლმეურნეობებს, დამატებით გვჭირდება კიდევ 5.000 ცალი.

კოლმეურნეების საწევრო წიგნაკები არ მიგვიღია, საჭიროა—9000 ცალი. განრიგი ფ. № 14 არ არის საკმაო რაოდენობით მიღებული.

სანარდო სისტემის ნამდვილად გასატარებლად და აღრიცხვის მოსაწესრიგებლად, 22 ივნისიდან კოლმეურნეობებში გაიგზავნენ პასუხისმგებელი ამხანაგები და ბრიგადები. მუშაობა 1 ივლისამდე უნდა დამთავრდეს.

სანარდო მუშაობის შემოღებით იზრდება ღარიბ-საშუალო გლეხების მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ.

მესამე გადამწყვეტი წლის სესხი

დამკვრელი ათდღიურის განმავლობაში

თბილისმა საკონტროლო ციფრი 16,8 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა

კოლმეურნეობებში ფართოდ იშლება სოცშეჯიბრება და დამკვრელობა სესხის რეალიზაციის უკეთ ჩატარებაზე

თბილისი მოწინავე რიგებში

1. ივლისისათვის თბილისში სესხზე ხელის მოწერით შეგროვილი იყო 10.730.135 მანეთი, შესრულებული იყო საკონტროლო ციფრის 116,8 პროც. აქედან მუშა - მოსამსახურეთა შორის ხელის მოწერით [illegible]ოვილი იყო 9.824.855 მანეთი, რაც კოლექტიურ ხელის მომწერთა სექტორის საკონტროლო ციფრის 118,5 პროც.-ს შეადგენს (ხელი მოწერილი ქონდა სულ 84.266 კაცს, მუშა - მოსამსახურეს, რაც ხელმოწერა ჩატარებულ წარმოება - დაწესებულებების მუშა - მოსამსახურეთა მთელი რაოდენობის 97,7 პროც.-ს შეადგენს). შეუკავშირებელ მოსახლეობას შორის გასაღებული იყო 905.280 მანეთის ობლიგაცია, ანუ საკონტროლო დავალების 103,7 პროც.

ხელის მოწერა გრძელდება.



ამხ. დ. ლორთქიფანიძე.

სარემონტო ქარხნის ზეინკალი. საკონტროლო დავალებების გადაჭარბებით შესრულებისათვის ორჯერ იყო დაჯილდოვებული, სესხზე ხელი მოაწერა ხუთი თვის ხელფასის რაოდენობით.

30.000 მანეთის ნაცვლად 50.000 მანეთი

ზღვაბა, 1 ივლისი. წალენჯიხის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ განიხილა რაიონისთვის მოცემული მესამე გადამწყვეტი წლის სესხის საკონტროლო ციფრი და დაადგინა 30 ათასი მანეთის ნაცვლად რაიონის მუშა - მოსამსახურეთა შორის გასაღებულ იქნეს 50.000 მანეთის ობლი[illegible]ა.

ორი თვის ხელფასი

ზღვაბა, 1 ივლისი. წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა მესამე გადამწყვეტ სესხზე ხელი მოაწეროს ორი თვის ხელფასის რაოდენობით და ამავე მიზნით სოცშეჯიბრებაში გამოიწვია აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

სესხის რეალიზაციის შედეგების აღრიცხვა

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო 1-დან 10 ივლისამდე ჩაატარებს ახალ სესხზე კოლექტიური ხელის მოწერის შედეგების აღრიცხვის დეკადას. დეკადამ სისწორით უნდა გამოარკვიოს და საბოლოოდ ჩამოყალიბოს სესხზე ხელის მოწერის შედეგები, როგორც თბილისში. ისე საქართველოს სხვა ქალაქებში. პროფკავშირების, საზოგადოებრიობისა და პრესის ფართო მონაწილეობით ეწყობა პრემიების მიცემა სესხზე ხელის მოწერის საუკეთესოდ ჩატარებისათვის. პრემიები მიეცემათ როგორც ცალკე ორგანიზაციებს, ისე პერსონალურად აქტიურ დამკვრელებსა და აქტივის საზოგადოებრივ მუშაკებს.

დამახინჯებათა წინააღმდეგ სესხის რეალიზაციაში

სესხის რეალიზაციის დროს ცალკე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გადახვევებს, რაც იმაში გამოიხატა, რომ საზოგადო კრებებზე გამოტანილ იქნა დადგენილებები თვენახევრისა და ორი თვის ხელფასზე ხელის მოწერის, კოლექტიური ხელის მოწერით პირველი შესატანის ვადად ივნისის დასაწყისის გამოცხადებისა და ვადის გადადების შემცირების შესახებ.

ა.-კ. ხელშემწყობი კომისია წინადადებას აძლევს პროფკავშირულ ორგანიზაციებს და სესხის გამსაღებელ აპარატს არ გაადიდონ შემხვედრი გეგმები იმ კოლექტივებში, რომლებიც ატარებენ სესხზე ხელის მოწერას თვიური ხელფასის რაოდენობით. ამის მეტ რაოდენობაზე ხელის მოწერა დასაშვებია მხოლოდ სოცშეჯიბრების წესით. ა.-კ. ხელშემწყობი კომისია მიუთითებს აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეთა ზოგიერთი საზოგადო კრების მიერ გამოტანილ დადგენილებათა მიზანშეუწონლობაზე — პირველი შესატანის ვადის აგვისტოდან ივლისზე გადატანის შესახებ.

(ადს).

ონის კოლმეურნეობებმა თავი დამკვრელად გამოაცხადეს

25 ივნისს ქ. ონში შესდგა პროფესიონალურ კავშირების და რაიონის კოლმეურნეობათა წარმომადგენლების გამაერთიანებელი თათბირი სესხის რეალიზაციის შესახებ.

სოფ. ჭიბრევის სას. სამ. არტელის წარმომადგენელმა კოლმეურნე ონისიმე მაჩაიძემ არტელის სახელით განაცხადა, რომ სოფ. ჭიბრევის სას. სამ. არტელმა გადასწყვიტა ხელი მოაწეროს მესამე გადამწყვეტი წლის სესხზე ორი კვირის შემოსავლის რაოდენობით, სესხის რეალიზაციის ჩატარებაში თავი დამკვრელად გამოაცხადა და სოცშეჯიბრებაში იწვევს რაიონის დანარჩენ კოლმეურნეობებს.

ასეთივე განცხადებით გამოვიდნენ სოფ. ბოყვის და შრომის უბნის კოლმეურნეობათა წარმომადგენლები, რომლებმაც მიიღეს სოფ. ჭიბრევის კოლმეურნეობის გამოწვევა.

კოლმეურნეთა მოთხოვნით, ონის რაიონმა სესხის რეალიზაციის უკეთ ჩატარების მიზნით სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ამბროლაურის და ცაგერის რაიონები.

შ. თ—ძე

83 პროცენტის გადაჭარბებით

ოზურგეთი, 30 ივნისი ოზურგეთის რაიონის კავშირგაბმულობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე განხილულ იქნა მესამე გადამწყვეტი წლის სესხის საკითხი. დამსწრეთა შორის გაიმართა სოცშეჯიბრება ხელის მოწერაში და საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულ 3.800 მანეთის ნაცვლად შეგროვილ იქნა 7.185 მანეთი. კრებამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მუშა-მოსამსახურენი.

როგორ მიმდინარეობს სესხის რეალიზაცია

● **დიდი ჭყონის, ჩაის საბჭოთა მეურნეობის** მუშებმა სესხზე მოაწერეს ერთი თვისა და თვენახევრის ხელფასის რაოდენობით, რაც 6.000 მანეთს შეადგენს.

● **აცანის თემის (ლანჩხუთის რაიონი)** მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 5.565 მანეთზე, რაც მათი თვიური ხელფასის 13,9 პროც. შეადგენს და სოცშეჯიბრში გამოიწვიეს შუხუთის და აკეთის თემების მუშა-მოსამსახურეები.

● **ბაკურიანის სატყეო მეურნეობის** 165 მუშა-მოსამსახურემ ხელი მოაწერა თითომ ერთი თვის ხელფასზე და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს ბორჯომის სატყეო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები.

● **ქუთაისის დეპოს** მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს სესხზე თვიური ხელფასის 110 პროც. რაოდენობით.

● **სამტრედიის რაიპროფსაბჭოს** მუშაკებმა ორი თვის ხელფასზე.

● **ფოთის რკინის გზის** მუშა-მოსამსახურეებმა 1,5 თვის ხელფასზე.

● **ბათომის სადგურის** მუშა-მოსამსახურეებმა—1,5 თვის ხელფასზე (სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს თბილისის სადგურის მუშა-მოსამსახურეები).

● **სარეწ. კოოპ. არტელ „გუტტრანსპორტი“-ს** 647 წევრმა ხელი მოაწერა 68.135 მანეთზე. მათი თვიური ხელფასი უდრის 66.846 მანეთს.

● **კოპიტნარის სადგურის** მუშა-მოსამსახურეებმა 1,5 თვის ხელფასზე.

● **წალენჯიხის რაიონის** მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ წარმოადგინა მესამე გადამწყვეტი წლის სესხის რეალიზაციის შემხვედრი გეგმა, რომლის მიხედვითაც რაიონის მუშა-მოსამსახურეთა შორის 30.000 მან. ნაცვლად გასაღებული იქნება 50.000 მანეთის ობლიგაცია.

● **ზუგდიდის რაიონის** მუშა-მოსამსახურეებს 26 ივნისისთვის შესრულებული ჰქონდათ საკონტროლო დავალების 92 პროცენტი. ხელის მოწერა გრძელდება.

● **მცხეთის ბავშვთა კოლონიის** პედაგოგიურმა პერსონალმა და მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს დუშეთის და ავჭალის საბავშვო კოლონიები.

● **სუფსის თემის** მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს სესხზე 22.000 მანეთის რაოდენობით, რაც მათი თვიური ხელფასის 220 პროც. შეადგენს.

● **სამტრედიის მედსანშრომის** მუშათა კავშირის 104 წევრმა (სულ გაერთიანებულია 111 კაცი) ხელი მოაწერა 11.505 მანეთზე (მათი თვიური ხელფასი 10.409 მანეთს უდრის.

● **ფასანაურის** თემის კომუჯრედის, კომკავშირის და მშრომელი მოსახლეობის საერთო კრებამ სესხის რეალიზაციაში თავი დამკვრელად გამოაცხადა, ხელი მოაწერა სესხზე ერთი თვისა და თვენახევრის ხელფასის რაოდენობით და სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ანანურის თემის კომუჯრედი, კომკავშირი და მშრომელი მოსახლეობა.

● **საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის პედაგოგიურმა პერსონალმა** და ტექნიკურმა თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს სესხზედ 17.135 მანეთის რაოდენობით.

● **ნატახტარის წყალსადენის** მუშა-მოსამსახურეებმა 23 ივნისამდე ხელი მოაწერეს სესხზე 28.235 მან. რაოდენობით. ხელის მოწერა გრძელდება.

● **ლიის განათლების** მუშაკებმა მესამე გადამწყვეტი წლის სესხის საკონტროლო ციფრი 143 პროც. გადაჭარბებით შეასრულეს და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს წალენჯიხის განათლების მუშაკები, რომლებმაც საკონტროლო ციფრი დაფარეს 50 პროც. გადაჭარბებით.

● **მარტვილის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებმა** დაადგინეს ხელი მოაწერონ ერთი თვის ხელფასზე, გაიმართა სოციალისტური შეჯიბრება და 12-მა კაცმა ხელი მოაწერა 1.770 მანეთზე. მათი თვიური ხელფასი კი 1242 მანეთს უდრის.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოს და უკრაინის კულტურული კავშირი

თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა

უკანასკნელ დღეებში თბილისში მოხდა ერთი დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობის ფაქტი. მოხდა ის, რომ საძირკველი ჩაეყარა სოციალიზმისათვის პირველ რიგში მებრძოლ უკრაინასა და საქართველოს შორის ძმობას. ასეთ დაახლოებას, რომლის უშუალო მოწამეა თბილისის მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა, არ შეიძლებოდა ადგილი ქონოდა სხვა დროს და სხვა ეპოქაში.

რომ ეს ასეა, კიდევ ერთხელ დამტკიცდა გუშინ, საბჭოთა უკრაინის, ახალი უკრაინის კულტურის წარმომადგენლების თანდასწრებით, მოწვეულ თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომაზე.

დანიშნულ დროისთვის ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ვეებერთელა ბაღი ხალხით ივსება. ეს ხალხი არ გავს ჩვეულებრივ სასეირნოთ მოსულთ. აქ დღეს შეკრებილია თბილისის პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლები, სოციალისტურ მშენებლობის ენტუზიასტები, რომ საბჭოთა უკრაინაში პროლეტარულ კულტურისათვის მებრძოლისაგან კიდევ ერთხელ გაიგონ და გაიგონონ იმ გმირობის ამბავი, რომელსაც იჩენს უკრაინის მშრომელი მასები, კერძოდ დონბასის გმირები ხუთწლედის ოთხწლედში და უფრო ადრე შესასრულებლად, გაიცნონ მათი საშუალებით ახალ, სოციალისტურ უკრაინის მშენებელთა მიღწევები და გამოცდილებანი.

მქუხარე ტაშის ქვეშ და „ინტერნაციონალი"-ს მგზნებარე ხმებში ამხ. პ. მელაძე თბილისის საბჭოს სხდომას გახსნილად აცხადებს. ის დამსწრეთ აცნობს სხდომის მიზანს და თბილისის პროლეტარიატის სახელით ესალმება უკრაინელ სტუმრებს.

უკრაინულ კულტურის დეკადის მნიშვნელობის შესახებ ვრცელ სიტყვას ამბობს ამხ. ა. კვირიკაძე, მას ცვლის პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. ანთიძე, საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის მდივანი ამხ. ბენ. ბუაჩიძე, შემდეგ სიტყვას ამბობს სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ სახელოსნოს მუშა ლორთქიფანიძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელით ტ. ტაბიძე, მეცნიერების მუშაკთა წარმომადგენელი ამხ. ი. ვაშაყმაძე, „26"-ის კომუნარის სახ. ქარხნის მუშა და სხ.

თბილისის პროლეტარიატის წარმომადგენლებმა—დაზგის მუშებმა განაცხადეს, რომ უკრაინელ მუშებთან კავშირის კიდევ უფრო განმტკიცების ნიშნით ისინი დღეიდან მეტი ენერგიით და თავდადებით უდგებიან გადამწყვეტი წლის მესამე კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლას.

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა უკრაინის სახ. განათ. კომისრის მოადგილემ ამხ. პოლიცკიმ. მან მეტად შინაარსიანი თავისი სიტყვა დაიწყო და დაამთავრა ქართულად:

— გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და უკრაინის ძმურ, პროლეტარულ კავშირს!

—გაუმარჯოს მთელ საბჭოთა კავშირს და კომუნისტურ პარტიის ბელადს სტალინს.

„ხაი ჟივე ბერეზილ"

„ბერეზილ"-ის შეხვედრა მეორე სახელმწიფო თეატრში

ეს ოთხი დღეა თბილისის თეატრალური საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში მოიქცა უკრაინის თეატრი „ბერეზილი". თეატრს ჯერ არ დაუწყია თავისი გასტროლები, ჯერ არ დამთავრებულა ის მასპინძლური გულუხვობა და გულწრფელი აღტაცება, რომელიც დაიწყო შარშან ხარკოვში და მეორდება ეხლა თბილისში.

30 ივლისს უკრაინელ სტუმრებს საზეიმო შეხვედრა მოუწყო კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულმა მეორე სახელმწიფო თეატრმა. თეატრის დარბაზი მორთულია ფართო წითელი პლაკატებით, რომელზედაც უზარმაზარი ასოებით გამოხატულია „ხაი ჟივე ბერეზილ", „ხაი ჟივე რადიანსკა უკრაინა".

ბერეზილელების საპატივსაცემად იდგმება ნაწყვეტები კ. კალაძის პიესიდან „როგორ" და „არსენას ლექსი"-დან.

აი ჩაქრა დარბაზში სანათურები, ზღვა ხალხი მიწყნარდა და უცდის 1905 წლის ამბების გახსენებას. ორკესტრმა დაამთავრა უვერტიურა და ფარდაც ჩუმი შრიალით გადაეშვა მარცხნივ და მარჯვნივ.

სცენა ცარიელია. მსახიობები არ ჩანან. უეცრად დაბნელებულ დარბაზში ვიღაცა მქუხარე ხმით შესძახებს: „ამხანაგებო! ხაი ჟივე ბერეზილ! ხაი ჟივე ლეს კურბას"! ეს ვასო გოძიაშვილია. დარბაზიც თითქოს სიგნალს ელოდებოდაო და მქუხარე ტაშით თავს დაატყდა ლეს კურბასს. ეს უკანასკნელი სდგას პარტერის პირველ რიგში და იღიმება. ყოველი მხრიდან კურბასისკენ მიფრინდება ცისფერი ყვავილები. ზოგიერთ მათგანს კურბასი იჭერს და ისვრის სცენისაკენ, საიდანაც კ. მარჯანიშვილი და მისი თანამშრომლები ესალმებიან ძვირფას სტუმრებს.

აი მიწყნარდა ყველაფერი. დარბაზში ისევ სული განაბა წარსული რევოლუციონური ბრძოლის მოგონების მოლოდინში. ამ დროს ისევ ვიღაცას მქუხარე ხმა აყრუებს თეატრს: „ხაი ჟივე ბერეზილ! ხაი ჟივე ლეს კურბას"! ეს ს. ზაქარიაძეა. თეატრი ისევ შეინძრა. ისევ აბობოქრდა ზღვა ხალხი და ნიშანში კვლავ კურბასი ამოიღო.

ასე გრძელდება დიდხანს. დარბაზში გაბნეული მსახიობები ესალმებიან თავის უკრაინელ კოლეგებს, რომლებთანაც მათ შარშან გააბეს მეგობრული კავშირი „ბერეზილ"-ის თეატრის სცენაზე ხარკოვში.

იწყება წარმოდგენა, კ. კალაძის პიესა „როგორ" წელს განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა. თითქმის მთელი წარმოდგენა მაყურებელთა დაუსრულებელი ტაშის ქვეშ მიმდინარეობდა ყოველთვის. განსაკუთრებით უყვარს ეს წარმოდგენა ახალგაზრდობას, რომელიც არ მოსწრებია 905 წელს და სცენაზე ეძებს იმ ამბებს, რომელიც მან გადმოცემით თუ წიგნებით იცის.

ეჭვს გარეშეა, პიესის ასეთ წარმატებას ხელს უწყობს მსახიობთა მშვენიერი თამაში და პიესის მოხდენილი მონტაჟი.

ამ საღამოსაც მაყურებელი ტაშით ხვდებოდა პიესის მთავარ გმირებს. წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებს ის ადგილი, როდესაც წითელ რაზმელების მეთაური ბეგლარი ჰკლავს მის მეგობარ რაზმელ გოჩას მხოლოდ იმისათვის, რომ მან მატარებელზე თავდასხმის დროს ერთ ქალს ყელიდან ჩამოგლიჯა ოქროს ჯვარი.

—იცოდეს ყველამ, რომ წითელ რაზმელი მძარცველი არ არის!—ბეგლარის ეს სიტყვები უაღრესად დამაჯერებელია და რევოლუციონური სიმტკიცით აღსავსე.

ანტრაქტის შემდეგ დაიწყო ისევ მისალმებები. თეატრის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს კოტე მარჯანიშვილი.

—არც ჩვენი თეატრი და არც თქვენი თეატრი ჯერ კიდევ არ არის პროლეტარული თეატრი. ჩვენ ორივე ვიბრძვით ასეთი თეატრის შესაქმნელად. ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ პირველი აგურები მივიტანეთ პროლეტარული თეატრის შესაქმნელად.

თქვენი თბილისში ჩამოსვლა არ არის უბრალო გასეირნება. თქვენ ჩამოხვედით აქ იმ მიზნით, რომ დაგვიტოვოთ რაც კი კარგი გაქვთ და წაიღოთ ჩვენგან ზოგიერთი რამ, რაც ჩვენ მოგვეპოვება კარგი და სასარგებლო.

გაუმარჯოს საბჭოთა უკრაინას! გაუმარჯოს მის რევოლუციონურ თეატრს—„ბერეზილს"!

როდესაც თეატრი დაწყნარდა ტაშისა და „ვაშა"-ს ძახილისაგან, სცენაზე ადის ლეს კურბასი.

—კოტე მარჯანიშვილს მე დიდიხანია ვიცნობ, — იწყებს კურბასი, — ვიცნობ იმ დროიდან, როდესაც მან მუშაობა დაიწყო სოლოვცოვის რუსულ თეატრში კიევში. 1919 წელში, როდესაც მთელი უკრაინა სამოქალაქო ომის ცეცხლში იყო ჩაბმული, მარჯანიშვილმა კიევში დადგა ერთი შესანიშნავი წარმოდგენა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა. ეს იყო „ფუენტე ოვეხუნა". ბურჟუაზიული მწერლის ნაწარმოები, რომელიც უმღერს და აქებს ფეოდალურ წესწყობილებას, მარჯანიშვილმა ისე შესცვალა და გარდაქმნა, რომ მისგან გამოვიდა რევოლუციონური წარმოდგენა, რომელიც ბრძოლის ცეცხლს უნერგავდა და აღაფრთოვანებდა ფრონტზე მიმავალ წითელ არმიელებს.

იმ სამი დღის განმავლობაში, რაც ჩვენ თბილისში ვიმყოფებით, ჩვენ სულ გვესმის: „გაუმარჯოს ბერეზილს, გაუმარჯოს მის ხელმძღვანელს„! ეხლა ჩვენ გვინდა შევძახოთ: გაუმარჯოს თქვენ თეატრს, რომელსაც მეთაურობს გამოცდილი ოსტატი კ. მარჯანიშვილი.

კურბასის უკანასკნელი სიტყვები აღარ ისმის ტაშის გრიალში. გაუმარჯოს მარ-ჯა-ნიშ-ვი-ლის თე-ა-ტრს—ჯგუფ-ჯგუფათ გაიძახიან „ბერეზილ"ის აქტიორები და ყვავილებით ავსებენ სცენას.

ეს ურთიერთი სიყვარულის გამოცხადება გაგრძელდა წარმოდგენის დამთავრების შემდეგაც.

თეატრიდან სტუმრები მიწვეული იქნენ ბანკეტზე, სადაც გაგრძელდა თეატრის დარბაზში დაწყებული დაძმობილება.

ერთ-ერთი სიტყვის დროს კურბასმა განაცხადა, რომ „ბერეზილი" სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს კ. მარჯანიშვილის თეატრს.

ამ დღეებში ორივე თეატრის ხელმძღვანელები შეიმუშავებენ პუნქტებს, რომელიც საფუძვლად დაედება სოცშეჯიბრების ხელშეკრულებას.

შ—ო.

უკრაინის ხელისუფლებისა და კულტურის მუშაკების ჩამოსვლა

გუშინ, თბილისში ჩამოვიდა უკრაინის სახ. განათლების კომისარის მოადგილე ამხ. პოლიცკი, უკრაინელი პროლეტარული მწერლების ერთი ჯგუფი უკრაინის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გენერალურ მდივნის ამხ. მიკიტენკოს მეთაურობით, უკრაინის კინო-რეჟისორები და უკრაინულ კულტურის სხვა დარგის მუშაკები.

მათ სადგურზე შეხვდა საქართველოს ხელისუფლების, ლიტერატურულ ორგანიზაციების, თეატრების და სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებების წარმომადგენლები.

სადგურში ნელა შემომავალ მატარებლის ქშენას ფარავს მუსიკის გუგუნი და ხალხით გაჭედილი ბაქანი ძვირფას სტუმრებს „ვაშა"-ს ძახილით ეგებება.

იქვე იმართება სახელდახელო მიტინგი. საქ. ხელისუფლების და საქართველოში უკრაინულ კულტურის დეკადის ჩამტარებელ კომიტეტის სახელით სტუმრებს ესალმება განათ. სახ. კომისარი ამხ. არ. კვირიკაძე, შემდეგ სიტყვას ამბობს საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მდივანი ბენ. ბუაჩიძე, საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის წარმომადგენელი ამხ. სიმ. ჩიქოვანი, საქ. კინო-მუშაკების დავალებით—ამხ. სიკ. დოლიძე და სხვ.

ამხ. პოლიცკის და მიკიტენკოს საპასუხო სიტყვებს ფარავს დამსწრეთა მხურვალე ტაში, რომელიც მანამ არ შეწყვეტილა, ვიდრე სტუმრებით სავსე ავტომობილები თვალს არ მიეფარნენ.



კუზნეცკის ელსადგურის პროექტი

პარტიული მშენებლობა

კომუჯრედების გადაწყვეტილებათა მასიური თვითშემოწმების კამპანია დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს

პარტიული მასების მობილიზაციით, პარტიულ-მასიური მუშაობის გაძლიერებით დავრაზმოთ უპარტიო მუშები სახალხო მეურნეობის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმების გადაჭარბებით შესასრულებლად

გავაღრმავოთ პარტიულ-მასიური მუშაობა

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილებით უჯრედების დადგენილებათა შესრულების მასიური თვითშემოწმება—უკვე ჩატარებულ ქვედა პარტორგანოების გადარჩევების შედეგებთან დაკავშირებით—უნდა დაწყებულიყო 10 ივნისიდან. ცენტრალური კომიტეტის სამდივნო წინადადებას აძლევდა ადგილობრივ პარტ-ორგანიზაციებს, რომ მათ საქ. კ.პ. (ბ) ცეკას ბიუროს 3 მაისის დადგენილება ქვედა პარტ-ორგანოების გადარჩევების კამპანიის შედეგებზე დაემუშავებიათ 15 ივნისამდე. ამავე პერიოდში ადგილობრივ უჯრედებს უნდა გამოეყოთ თვითშემმოწმებელი კომისიები. 15-25 ივნისამდე უნდა მომხდარიყო უჯრედების გადაწყვეტილებათა შესრულების მასიური თვითშემოწმება 25-დან 30 ივნისამდე. კი უნდა ჩატარებულიყო უჯრედების მდივნების საანგარიშო მოხსენებები დადგენილებათა შესრულების შესახებ.

ადგილებიდან მიღებულ ცნობებიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. მთელ რიგ რაიონებსა და სოფლებში თვით შემმოწმებელ კომისიებს არ დაუწყიათ მუშაობა, არ დამუშავებულა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას ბიუროს დადგენილება ქვედა პარტ-ორგანოების გადარჩევის კამპანიის შედეგებზე. არამც თუ ადგილებზე, თბილისშიაც არის უჯრედები, რომელნიც ჯერ კიდევ არ შესდგომიან დადგენილებათა შესრულების მასიურ თვითშემოწმებას. მაგალითად: ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის სამქროების პარტუჯრედებს 25 ივნისამდე არ დაუმუშავებიათ საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას ბიუროს 3 მაისის დადგენილება, არ გამოუყვიათ თვითშემმოწმებელი კომისიები და სხვა. თბილისის აღმასკომის საფინანსო უჯრედის ბიუროს „არ სცალია", ის „სხვა მიმდინარე მუშაობით არის დატვირთული" და ამიტომ მან ვერ შესძლო ამ მეტად მნიშვნელოვანი კამპანიის ჩატარება.

უჯრედების გადაწყვეტილებათა შესრულების მასიურ თვითშემოწმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიულ-მასიურ მუშაობის გაძლიერებისათვის. მრავალი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია იმის საილუსტრაციოთ, რომ ზოგიერთი უჯრედები თავიანთი გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას ყურადღებას არ აქცევენ. არ ზრუნავენ თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში პარტიის უმაღლეს ორგანოების დადგენილებები. ამის გამო ადგილებზე უხეშად მახინჯდება პარტიის ხაზი. ამ შემთხვევაში უჯრედების ბიუროები თვითმიმდინარეობაზე ეყრდნობიან და ავიწყდებათ, რომ „დადგენილებათა შესრულების შემოწმება მათი მუშაობის მთავარი ღერძია".

უჯრედების გადაწყვეტილებათა შესრულების მასიური თვითშემოწმება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ გამოვარკვიოთ როგორ გარდაქმნეს უჯრედებმა მუშაობა, იბრუნეს თუ არა პირი საწარმოო-სამეურნეო საკითხებისაკენ, როგორ არის დაყენებული პარტიული მასიური მუშაობა საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებათა უჯრედებში და სხვა. გარდა ამისა მასიური თვითშემოწმება გააძლიერებს ხელმძღვანელობას საწარმოო - საფინანსო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ გაზეთებში სუსტად შუქდება უჯრედების გადაწყვეტილებათა შესრულების მასიური თვითშემოწმების კამპანია. ამ კამპანიის ასეთ შეუფასებლობას ბოლო უნდა მოეღოს. პრესის ფურცლებზე გამოვამზეუროთ ის უჯრედები და პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ჩამორჩენ. რაიონულმა გაზეთებმა მეტი ადგილი უნდა დაუთმონ ამ მნიშვნელოვანი კამპანიის გაშუქებას.

უჯრედების გადაწყვეტილებათა შესრულების მასიურ თვითშემოწმების კამპანიის ჩატარებამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ბრძოლა გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. მასიურ თვითშემოწმებამ უნდა გამოაშკარავოს თუ როგორ შესძლეს საწარმოო უჯრედებმა პარტიულ მასიურ მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის უმაღლეს საფეხურზე აყვანა, თუ როგორ შესძლეს სათავეში ჩასდგომოდნენ მუშათა შრომითი ენტუზიაზმს მესამე გადამწყვეტ წლის გეგმების შესრულებაში.

ლი—კა.

ჩამორჩენას ბოლო მოუღოთ

(ამხ. სტალინის სახ. ქარხანა)

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სამდივნოს დადგენილება, უჯრედების გადაწყვეტილებათა მასიური თვითშემოწმების შესახებ. ამხ. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის სამქროების პარტუჯრედების ყურადღების გარეშე დარჩა. სახელოსნოს არც ერთ სამქროს პარტუჯრედს ცეკას დადგენილება არ დაუმუშავებია. საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას სამდივნოს დადგენილებით უჯრედების ბიუროების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის შედეგების დამუშავება და თვითშემმოწმებელი კომისიების გამოყოფა უნდა მომხდარიყო 10-დან 15 ივნისამდე. მაგრამ დადგენილების დამუშავება ამხ. სტალინის სახელობის პარტბიუროკოლექტივის კედლებს არ გასცილებია. სამქროების პარტუჯრედებს არ აურჩევიათ თვითშემმოწმებელი კომისიები, რომ მოეხდინათ შემოწმება იმ გადაწყვეტილებების, რომელიც უჯრედების საერთო კრებაზე მიიღეს.

სამქროების პარტუჯრედების მდივნები დაკმაყოფილდნენ მხოლოდ კომიტეტის პლენუმზე 13 ივნისს საკითხის დამუშავებით. მიუხედავად იმისა, რომ ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა მისცა წინადადება სამქროების უჯრედებს, შემოწმების კამპანია დაეყენებიათ პარტიული მასის ყურადღების ცენტრში და ამ მიმართულებით გაეშალათ მუშაობა, სამქროების პარტუჯრედებმა ეს ვერ შესძლეს; ამ გარემოებას ქარხნის პარტ-კოლექტივის ბიურომ დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება.

ზეინკალი.

ვამოწმებთ უჯრედის მუშაობას

(თბილისის დეპო)

თბილისის დეპოს ადგილობრივი საყუდის პარტუჯრედი აერთიანებს პარტიის 195 წევრს. უჯრედმა დროულად დააყენა საკითხი ცეკას სამდივნოს დადგენილების დამუშავების შესახებ, რომელიც ეხებოდა საგადარჩევო კამპანიის შედეგების დამუშავებას და თვითშემოწმებელ კომისიების გამოყოფას.

თბილისის ადგილობრივ დეპოს პარტუჯრედის საერთო კრებამ, რომელიც შესდგა ამას წინად, გამოყო 5 ბრიგადა. ბრიგადა უკვე შეუდგა მუშაობას. ბრიგადა თავის მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენებას გააკეთებს უჯრედის მდივნის მოხსენების შემდეგ. ადგილობრივ საყუდის პარტუჯრედმა შესძლო პარტიული მასის უმრავლესობის ჩაბმა უჯრედის გადაწყვეტილებათა თვითშემოწმების საქმეში.

დეპოს მუშა.

შემმოწმებელ კომისიების მუშაობა გამოცოცხლდა

(ტრამვაი)

თბილისის ქალაქის რკინის გზის (ტრამვაი) პარტკომიტეტი აერთიანებს 14 პარტიულ უჯრედს პარტიის 525 წევრ-კანდიდატით.

პარტკომიტეტი დროულად შეუდგა სამზადის უჯრედების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის დროს მიცემულ პრაქტიკულ მითითებების განხორციელების შემოწმებას.

7 ივნისს მოწვეულ იქნა უჯრედის მდივნების, სექტორების გამგეების და გამოყოფილ თვითშემმოწმებელ ბრიგადების თათბირი, სადაც დამუშავებული იქნა საკითხი ახლად არჩეულ უჯრედებზე მიცემულ პრაქტიკულ მითითებანის განხორციელების შემოწმების შესახებ.

9 ივნისს მოწვეულ იქნა არა მორიგი უჯრედის კრებები, სადაც დამუშავებული იქნა საკითხი ყველა პარტიულ ამხანაგების მონაწილეობის მიღების შესახებ ამ კამპანიის ჩატარებაში.

შემმოწმებელი ბრიგადა არის სულ ოთხი: 1 საორგანიზაციო ბრიგადა ამოწმებს ადგილობრივ პარტკომიტეტის და უმაღლეს ორგანოების დადგენილებების შესრულებას.

აგიტმასიური ბრიგადა აწარმოებს მასიურ საკითხების მსვლელობის შემოწმებას.

გარდა ამისა, ჩამოყალიბებულია საწ.-საფ. გეგმის შესრულების და სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემმოწმებელი ბრიგადები.

ამ კამპანიის კარგად ჩატარებისათვის პარტკომის დადგენილების თანახმად თვითეულ უჯრედზე მიმაგრებულია პ.-მგებელი ამხანაგები.

უკვე დამთავრდა უჯრედების მდივნების საანგარიშო მოხსენებები.

ალ. ბუჯაბიძე.

მუშაობა ძლიერდება

(მაუდის ფაბრიკა)

მაუდის ფაბრიკის საქსოვ სამქროს უჯრედი აერთიანებს პარტიის 47 წევრს. უჯრედი დროულად შეუდგა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ბიუროს დადგენილების ცხოვრებაში გატარებას, უჯრედების გადაწყვეტილებათა მასიური თვითშემოწმების შესახებ 9 ივნისს მოწვეულ იქნა პარტუჯრედის საერთო კრება, სადაც დამუშავდა საკითხი პარტუჯრედების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის შედეგებზე. გამოყოფილი იქნა კომისია იმ გადაწყვეტილებათა შემოწმების შესახებ, რომელიც უჯრედმა გამოიტანა საანგარიშო საგადარჩევო კამპანიის დროს.

უკვე მიმდინარეობს პრაქტიკული წინადადებების მომზადება უჯრედის ბიუროს მომავალ საანგარიშო მოხსენებისათვის.

სამქროს უჯრედის ბიურომ შესძლო მაქსიმალურად ჩაება პარტიის წევრები თვითშემოწმებელ კომისიებში.

ბრიგადირი.

კოლმეურნეობების და ღარიბ-საშუალო გლეხების მჭიდრო დარაზმვით

უზრუნველვყოთ პურის დამზადების წარმატებით ჩატარება

მწვავედ დავარტყათ პურის დამზადების ხელის შემშლელთ

პურის დამზადებისათვის მზადება გორის რაიონში ფართოდ იშლება. ამ მიზნით უკვე ჩატარდა პ.-მგ. მუშაკების მობილიზაცია. სოფლად გაიგზავნენ კომკავშირის ბრიგადები, რომელნიც წინასწარ ახსნა-განმარტებითი მუშაობას ატარებენ კოლმეურნეობებში და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასებში.

სოფ. მეჯვრისხევში საბჭოს აქტივის სხდომამ და ღარიბთა ჯგუფების კონფერენციამ წამოაყენა პურის დამზადების შემხვედრი გეგმა, რომლითაც 11.000 ფ. მაგიერ უნდა დამზადდეს—13.000 ფუთი პური. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი კარალეთის, მერეთის, ატენის და ქვ. ახალსოფლის სას. საბჭოებში შემავალ სოფლებში.

სოფ. მერეთში ქალთა კონფერენციამ პურის დამზადების შემხვედრი გეგმები წამოაყენა და მეზობელ სას. საბჭოების ქალები გამოიწვია სოცშეჯიბრებაში. ამავე კონფერენციამ თავი დამკვრელად გამოაცხადა — ტომრების, ქილობების და ტარის შეგროვებაში; ქალებმა საწყობების დასუფთავების ვალდებულებაც აიღეს თავის თავზე.

კარალეთის სას. საბჭოში შემავალ სოფლებში მოეწყო სპეციალური კულტბრიგადა, რომელიც პურის დამზადების დროს მოსახლეობას გაუწევს კულტმომსახურეობას, მოეწყო აგრეთვე საინფორმაციო ბრიგადა, რომელიც დამზადების შესახებ მიაწვდის სისტემატიურად ინფორმაციას რაიონს.

კულაკები თვითონ იშვიათად ბედავენ კრებაზე აშკარად გამოსვლას, ისინი მეტწილად თავიანთი აგენტების საშუალებით მოქმედებენ. ზოგჯერ კი ისინი დაშინებას და ტერორსაც მიმართავენ. მაგ., სოფ. ფხვენისში (შინდისის თემი) შეძლებულმა გლეხმა სცემა მეზობელ კომკავშირელს იმიტომ, რომ იგი მიდიოდა კომკავშირის კრებაზე, სადაც პურის დამზადების საკითხი ირჩეოდა.

იმავე სოფელში კულაკებისაგან მოსყიდულმა აგენტმა ლენტო ბითაძემ გაილაშქრა პურის დამზადების დამხმარე კომისიაში ღარიბ გლეხთა კანდიდატის გაყვანის წინააღმდეგ და წამოაყენა კულაკის კანდიდატურა. კულაკის აგენტი, ღარიბ და საშუალო გლეხების მოთხოვნით, გაძევებულ იქნა კრებიდან.

სოფ. უფლისციხეში, სპეკულიანტები და კულაკების აგენტები—წყალობა გაბიძაშვილი და პეპა ნაზარაშვილი შეიჭრენ ღარიბთა კრებაზე და სას. საბჭოს თავმჯდომარეს ცემა მოუნდომეს. ღარიბმა გლეხებმა თავხედი ვაჟრები კრებიდან გააძევა.

კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათა გამოაშკარავება მიმდინარეობს. შინდისის სას. საბჭოში გამოაშკარავებული იქნა 45 კულაკურ-შეძლებული მეურნეობა, რომელთაც მიეცათ პურის მტკიცე დავალება—1865 ფ. ასეთივე მდგომარეობაა ქვ. ახალსოფლის, ვარანის, მერეთის, კარალეთის და ატენის სასოფლო საბჭოებში.

აქა-იქ იყო კულაკურ მეურნეობათა მიჩქმალვის ცდები. მეჯვრისხევის სას. საბჭო ოპორტუნისტულ გულგრილობით მოეპყრო სას. სამ. ობიექტების აღრიცხვას. მან მთელ რიგ თემში ერთი კულაკის მეტი ვერ აღმოაჩინა, ფაქტიურად კი მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოში კულაკურ შეძლებული მეურნეობანი ათობით მოიპოვებიან.

სოფ. შინდისის კომკავშირის უჯრედი დამზადებაში სუსტ მონაწილეობას იღებს. იმ დროს, როდესაც ტარდებოდა კრება პურის დამზადების შესახებ, კ.კ. უჯრედის მდივანმა წაიყვანა 5 კომკავშირელი ქოხსამკითხველოში და იქ რეპეტიციას გადიოდა. გულგრილმა კომკავშირელებმა მიიღეს სათანადო სასჯელი.

სამზადისში სუსტ მონაწილეობას ღებულობენ ქალთა სადელეგატო პუნქტები, თავისუფალი საზოგადოებანი და ზოგიერთი ორგანიზაციები.

კოლმეურნეობები პურის დამზადებას მომზადებულნი ხვდებიან და მაგალითს უჩვენებენ ინდივიდუალურ, ღარიბ და საშუალო გლეხებს. რაიონული გაზეთი „სოციალიზმის გზით" და კედლის გაზეთები ფართოდ აშუქებენ პურის დამზადების საკითხებს.

შ. სიხარულიძე.

ბრძოლა 26.200 ფუთი პურისათვის

(სიღნაღის რაიონი)

სიღნაღის რაიონში მოსამზადებელი მუშაობა პურის დამზადების კამპანიის ჩასატარებლად უკვე დაიწყო. საკონტროლო ციფრის მიხედვით რაიონში უნდა დამზადდეს 262.000 ფუთი პურეული, აქედან—ქერი—26 ათასი, დანარჩენი კი ხორბალი.

პური კოლმეურნეობებში დამზადდება — 60.000 ფუთი (საკონტროლო ციფრის 26 %), ქერი—7.000 ფუთი (საკ. ციფრის 27 %), კონტრაქტაციის პური დამზადდება — 34.000 ფუთი, ანუ გეგმის 15 %, ინდივიდუალურ მეურნეობებში (აქ შედის კულაკური და შეძლებული მეურნეობანიც) პური დამზადდება—142.000 ფუთი, ანუ გეგმის 58 პროც., ქერი კი 19.000 ფუთი.

ამ დღეებში შესდგა პურის დამზადების ხუთეულის სხდომა მიმაგრებულ ამხანაგებთან ერთად, სადაც განხილულ იქნა პურის დამზადების კამპანიის საკითხები. სხდომამ გამოჰყო პასუხისმგებელი ამხანაგები სოფლებში გასაგზავნად.

სასოფლო საბჭოები პურის დამზადებაში ჯერ კიდევ ვერ იჩენენ საკმაო უნარიანობას; საბჭომ ხშირად არ იცის, თუ რომელ სექტორს რამდენი ნათესი აქვს (სოფ. ტიბაანი და სხვ.). მთელ რაიონში ჯერ კიდევ არაა დამთავრებული კულაკურ და შეძლებულ მეურნეობათა გამომჟღავნება, რაც აფერხებს მათთვის მტკიცე დავალებების მიცემას.

წარსული წლის მაგალითებიდან ვიცით, რომ ბევრგან საწყობების მოუწყობლობის გამო, პურს მიწაზე ყრიდნენ (ს. ქედი, არხილოს კალო და სხვ.), ამიტომ წელს დროზე უნდა იქნას მიღებული ზომები საწყობების, ტომრების და სასწორების მოსამარაგებლად; მიმღები პუნქტები უზრუნველყოფილ უნდა იქნან შესაფერისი მუშაკებით.

ადგილებზე პურის დამზადებისათვის მუშაობა ჯერ კიდევ არაა გაშლილი. საჭიროა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის წარმოება მოცემულ საკონტროლო ციფრის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ქიზიყელი.

როგორ ვემზადებით

(სტალინისის რაიონი)

სტალინისის რაიონში პურის დამზადების წინასწარი სამზადისი დასასრულს უახლოვდება. სოფლებში ტარდება კოლმეურნეებისა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეთა კრებები, რომლებიც იხილავენ ღონისძიებებს მის შესასრულებლად.

სარაიონო კონფერენციამ პურის დამზადების კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად და მოცემული გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად სოცშეჯიბრებაში გამოიწვია გორის რაიონი. სასოფლო საბჭოებს შორის უკვე გაიშალა სოცშეჯიბრება და დამკვრელობა.

სასოფლო - საბჭოებთან გამოყოფილია პურის დამზადების ხელმძღვანელი შტაბები. საკითხის დამუშავება მიმდინარეობს ღარიბთა ჯგუფების კრებებზე, პარტიისა და კოლმეურნეობის გაერთიანებულ კრებებზე საშუალო გლეხობის აქტივთან ერთად ამჟამად სწარმოებს პურის დამზადების გეგმის დაყვანა სოფლამდე და კოლმეურნეობამდე. კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს ეძლევათ პურის დამზადების მტკიცე დავალებები.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა:
ტ. გოზალოვი, ვ. ქველაძე.

გარე - კახეთ.

მიღებულ საკონტროლო ციფრის მიხედვით, გარე - კახეთის რაიონში მიმდინარე წელს უნდა დამზადდეს 42 ათასი ფუთი პური. საკონტროლო ციფრი უკვე განაწილებულია ცალკე სოფლის საბჭოების მიხედვით.

ადგილებზე მიმაგრებული იქნენ პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ გეგმის სოფლამდე და კოლმეურნეობამდე დაყვანას და კულაკური მეურნეობებისათვის მტკიცე დავალებების მიცემის საქმეს. დამზადებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ჩამოყალიბებულია სარაიონო შტაბი.

კულაკებისათვის მტკიცე დავალება ჯერ კიდევ არ მიუციათ

მემინდვრეობა - მესაქონლეობის კავშირის ცნობით, პურის დამზადების გეგმა დაყვანილია სოფლის საბჭომდე და კოლმეურნეობამდე. კულაკურ მეურნეობამდე პურის დამზადების გეგმა ჯერ კიდევ არ არის ვანილი, ვინაიდან ამჟამად მიმდინარეობს კულაკურ მეურნეობათა გამომჟღავნება.

როგორც მიღებულ ცნობებიდან ჩანს, დამზადება ჯერჯერობით მხოლოდ სიღნაღის რაიონში დაიწყო, დანარჩენ რაიონებში პურის გაჭრა ჯერ კიდევ არ დაწყებულა.

საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და საბჭოებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ, რომ კულაკურ მეურნეობებს დაჩქარებით მიეცეთ მტკიცე დავალებები და ამ სექტორიდან ამოსაღები პური კალოდანვე ჩაბარდეს დამამზადებელ ორგანიზაციას.

—ძე



ჩონჩხის სამუშაოებზე

აზერბეიჯანის მებამბეობის რაიონებში

ამას წინად მე ამხ. სულთანოვთან ერთად მომიხდა მუღანისა და მილის ველების მებამბეობის მთავარ რაიონებში ყოფნა. გზადაგზა ვინახულეთ აგრეთვე ბარდის, ტერტერის და აღდაშის რაიონები, მაგრამ ჩვენი ყურადღება უმთავრესად მიიპყრო აღნიშნული ველების რაიონებმა, რადგან იქ მოიპოვება ბამბის დიდი ფართობი და ყველა პირობები ბამბის კულტურის ფართოდ განვითარებისათვის მომავალში.

ეს ველები უშუალოდ ესაზღვრებიან სპარსეთს: ერთ ადგილას მილის ველს სპარსეთისაგან ჰყოფს არაქსი, მუღანის ველი კი უშუალოდ გადადის სპარსეთში.

ამასთან ბელასუვარის, ყარადოლის და აღჯაბედის რაიონები ყველაზე უფრო საშიში ადგილებია კალიის მხრით. კალიას კერა სწორედ ამ რაიონებშია, გარდა იმ კალიისა, რომელიც სპარსეთიდანაც მოდის.

მგზავრობის დროს გავეცანი იმ ბრძოლას, რომელიც წელს სწარმოებდა კალიას წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ მოწყობილია ნამდვილი სამხედრო შტაბი- ყველა საჭირო იარაღით კალიის კერის მოსასპობად. არის იქ რამდენიმე ათეული რაზმი, რომლებიც შესდგებიან სპეციალისტებისაგან და რომლებსაც ამხ. იბრაგიმოვი მეთაურობს. როცა ჩვენ ჩავედით, კალიის საწინააღმდეგო კამპანია თავდებოდა, თუმცა ზოგიერთ ადგილას (აღჯაბედის რაიონი) იგი კიდევ მოიპოვებოდა.

კალიის მოსასპობად შემუშავებულია სპეციალური ხუთწლიანი გეგმა; ამხ. იბრაგიმოვის სიტყვით, განზრახული აქვთ ეს ხუთწლიანი გეგმა განახორციელონ ერთ წელიწადში, იძლევიან გარანტიას, რომ მომავალ წელს კალია საბოლოოდ იქნება მოსპობილი.

იმ ცნობების მიხედვით, რომლებსაც ჩვენ გავეცანით, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს დავალება შესრულდება.

მუღანისა და მილის ველების დასახელებული რაიონების დასახასიათებლად საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ ველებზე საუკეთესო პირობებია ბამბის განვითარებისათვის, მაგრამ ამისათვის საჭიროა დიდი წინასწარი მუშაობის ჩატარება. ამ რაიონებში სულის შემხუთავი ჰავა, მცენარე და წყალი სრულიად არ მოიპოვება, მრავალი სხვადასხვა მწერი და ქვემძრომი: ბუზანკალი, კოღო, მორიელი, გველი და სხ.

სარწყავი წყლის საკითხი გადაჭრილად შეიძლება ჩაითვალოს იმ მიწის რაოდენობისათვის, რომლის დამუშავებაც ამჟამად ხდება. ამ დარგში უდიდეს წარმატებას მიაღწიეს შედარებით მოკლე ხანში. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეს ველი უწყლო და უნაყოფო იყო. მცირე გამონაკლისს გარდა, თითქმის სრულიად გამოუყენებელი იყო უწყლო ნაყოფიერი მიწები.

განსაკუთრებით მოხერხებულად არის გაყვანილი ამხ. ორჯონიკიძის სახელობის არხი (გეურარხი) მილის ველზე. იგი 10 კილომეტრით არის დაშორებული იმ ალიათ-ჯულფის რკინის გზის სადგურს ტაშბურუნს, რომელიც ეხლა გაჰყავთ. ეს არხი უკვე საკმაო რაოდენობის წყალს აწვდის აღჯაბედის რაიონის ბამბის ფართობს, კერძოდ, ამხ. სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობას მილის ველზე. მომავალი წლიდან ფიქრობენ ამ არხის უფრო მეტად გაფართოებას. ამ პროექტის განხორციელებას არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობება. იგი მორწყავს დაახლოვებით 65 ათას ჰექტარს.

ბევრად უფრო ცუდ მდგომარეობაშია იმავე მდინარე არაქსიდან გამოყვანილი არხი, რომელიც მუღანის ველს რწყავს. უნდა ითქვას, რომ ეს არხი უკვე რამდენიმე წელიწადია არსებობს, მაგრამ მთავარი საფარი (შლიუზი) ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

წელს, დავალების თანახმად, საგრძნობლად უნდა გაძლიერებიათ ეს არხი ახალი საფარის მოწყობით წყლის მოსაწესრიგებლად იქ მომქმედ წვრილ არხებში. მუღანმშენს ეს საფარი უნდა დაემთავრებია დაახლოებით ერთი თვის წინად. 15 ივნისისათვის მას წყალი უნდა მიეწოდებია მებამბეობის ორი რაიონისათვის: ყარადოლის და ბელასუვარის რაიონებისათვის, მათ შორის ამხ. აზიზბეკოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობისათვისაც ყარადოლის რაიონში.

მაგრამ ეს დავალება არ შესრულებულა, ამასთან ვადის უკანასკნელ დღეს, 20 ივნისს, მუღანმშენის წარმომადგენლებმა ხელი აიღეს ამ საფარის მოწყობაზე და წამოაყენეს სხვა კომბინაცია, რომელიც, მათი აზრით, უზრუნველჰყოფს ამ რაიონებს წყლით. ეს ვარიანტი მეტად საეჭვო უნდა იყოს, აქ საქმე რაღაც კარგად ვერ არის. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება იმისათვის, რომ არ დაზიანდეს ბამბის ფართობი, რომელიც წელს ამ არხით უნდა მორწყულიყო.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი. მე მხედველობაში მაქვს განსაკუთრებით ბამბის საბჭოთა მეურნეობანი, რომლებიც ახლა მოეწყო და რომლებშიც დიდძალი მუშაა. ეს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას, მით უფრო, რომ ზაფხულობით დიდი სიცხის გამო ადამიანს მეტი სასმელი წყალი სჭირდება. ამჟამად იყენებენ არაქსის წყალს, რომელსაც მეტად მარტივი წესით წმენდავენ. საჭიროა ზომების მიღება იმისათვის, რომ მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნას საკმაო რაოდენობის სათანადოთ გაწმენდილი წყლით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, ის დიდი წარმატება, რომელიც მიღწეულია ამ დარგში, თუნდაც ალაზნის საბჭოთა მეურნეობასთან შედარებით, სადაც სასმელი წყლის მხრით პირდაპირ კატასტროფიული მდგომარეობაა. წყლის გარდა, ამ რაიონებში საჭიროა სხვა პირობების შექმნაც. უწინარეს ყოვლისა საჭიროა საცხოვრებელი ბინების აგება. ეს საქმე ძალზე ნელი ტემპით მიდის წინ. საამშენებლო ორგანიზაციები არ არიან საკმაოდ მომზადებულნი ამ მხრით, მათ ვერ შესძლეს თუნდაც დროებითი ხასიათის საცხოვრებელი ბინების და სხვა სადგომების აგება,

საბჭოთა მეურნეობების მუშების დაბინავების ამოცანა სრულებითაც არ არის გადაჭრილი. თუ არ შევქმენით სათანადო საყოფაცხოვრებო და კულტურული დაწესებულებები მუშების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ისე, რა თქმა უნდა, მეტად ძნელი იქნება იმ საბჭოთა მეურნეობების წარმატებული მუშაობის უზრუნველყოფა, რომლებიც შენდება. არც საბჭოთა მეურნეობებში, არც კოლმეურნეობებში სრულიად არ არის არავითარი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება—კლუბი, სამკითხველო, საბავშო ბაგა, რადიო და სხ. ამავე დროს კი ამ რაიონებში ამჟამად თავს იყრის დიდძალი მუშა-ხელი, რომელსაც იქ აგზავნიან როგორც სხვადასხვა რაიონებიდან. ისე ამიერ-კავკასიის ცენტრებიდან—ბაქოდან და თბილისიდან.

ველებში, სადაც რამდენიმე წლის წინად ბანდიტიზმი და კონტრაბანდა დიდად იყო განვითარებული, სადაც მოსახლეობა თითქმის არ მისდევდა მიწადმოქმედებას, ამჟამად უაღრესი გარდატეხის მოწმენი ვართ. ველი ცოცხლდება, სახლდებიან ახალი ადამიანები, შენდება ელექტრონის სადგურები, ეწყობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, მექანიკური სახელოსნოები და სხვ.

არ შეიძლება არ აღვნიშნო აქ ასეთი ფაქტი, როგორიც არის ალიათ-ჯულფის გზის მშენებლობის შეფერხება. ეს გზა ერთად ერთი არტერიაა ამ რაიონში და მისი წესიერი მუშაობა ბევრ ცვლილებას შეიტანს ამ ველების მოსახლეობის ცხოვრებაში.

საერთოდ საგზაო მშენებლობას ამ რაიონებში არავითარი ყურადღება არ ექცევა. საგზაო მშენებლობა იქ ფაქტიურად არ სწარმოებს. თუ დღემდე შეიძლებოდა იქ არსებული ბილიკებით და უბრალო გზებით დაკმაყოფილება, ახლა ეს ყოვლად შეუძლებელია. ამ რაიონებში დიდძალი რაოდენობით შეაქვთ ყოველგვარი საშენი მასალა, რომ არაფერი ვსთქვათ იარაღზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე, ტრაქტორებზე და ადამიანების დიდ რაოდენობაზე, რომელიც ყოველდღე მიდიან და მოდიან.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ, სატრანსპორტო საშუალებათა უქონლობის გამო, საბჭოთა მეურნეობები იყენებენ ტრაქტორებს, რითაც საბოლოოდ ფუჭდება იქ არსებული გზები და ინგრევა ხიდები.

ეს საკითხი სრულებით არ არის მოწესრიგებული და უყურადღებოდაა დატოვებული. ამის მოთმენა შემდეგში არ შეიძლება. რაც დრო გავა, მით უფრო კატასტროფიული მდგომარეობა შეიქმნება. უგზოობის დროს იქიდან ბამბის მოტანა მეტად გაძნელდება. როცა საგზაო მშენებლობაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს არა მარტო ამ ველების რაიონების შეერთება ამიერ-კავკასიის ცენტრებთან, არამედ გზებიც თვით საბჭოთა მეურნეობების შიგნით. მილის საბჭოთა მეურნეობას, მაგალითად, უჭირავს რამდენიმე ათი კვადრატიული კილომეტრის ტერიტორია. ამჟამად იქ ბამბა დათესილია დაახლოვებით 10 ათას ჰექტარზე. მომავალ წელს ეს ფართობი აყვანილი იქნება 16-17 ათას ჰექტარამდე. საბჭოთა მეურნეობის შიგნით აუცილებელია გზების გაყვანა. აზიზბეკოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობას მუღანის ველში ამჟამად უჭირავს შედარებით პატარა უბანი—დაახლოვებით 1.500—1.600 ჰექტარი, მაგრამ განზრახული აქვთ მომავალ წელს ეს ფართობი გაადიდონ 10 ათას ჰექტარამდე.

მოსახლეობა ყველა ამ რაიონებში შესდგება მარტო თურქებისაგან, რომელნიც მხოლოდ უკანასკნელ წლებში ებმებიან საამშენებლო მუშაობაში და რომელთაც გასწყვიტეს კავშირი ბანდიტიზმთან და კონტრაბანდასთან. ეს, რა თქმა უნდა, უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მოსახლეობა გადადის ახლად ბამბის კულტურის დამუშავებაზე, მარცვლეული კულტურები თითქმის მთლიანად იდევნება.

ამ უკანასკნელ გარემოებას არა საკმაო ანგარიშს უწევენ ამიერ-კავკასიის მებამბეობის ორგანიზაციები, რომელნიც ზომებს არ ღებულობენ მოსახლეობის მოსამარაგებლად საჭირო სამრეწველო და სასურსათო საქონლით, პურით, მანუფაქტურით და სხ., რამაც შეიძლება საფრთხე განუმზადოს მებამბეობის წარმატებით განვითარებას.

ერთ-ერთ ამ რაიონში აღჯაბედის რაიონში—წელიწად ნახევარი ორი წლის წინად გადასახლებულ იქნენ უზბეკები, დაახლოვებით 500 მეურნეობა. ამჟამად დარჩა 325 მეურნეობა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან კოლმეურნეობებში. ამ ადგილას ისინი საბოლოოდ დაბინავდნენ. ეს უზბეკები მეტად კარგი მებამბეები არიან. უნდა ითქვას, რომ მათ ჩინებულად იციან თავიანთი საქმე და მშვენივრად უვლიან ისინი ბამბის კულტურას.

მათთან მოწყობილია პარტუჯრედი პარტიის 28 კანდიდატით, მათ აქვთ თავიანთი სასოფლო საბჭო, თავიანთი სკოლები, რომლებშიც სწავლება უზბეკურ ენაზე სწარმოებს, აქვთ სავადმყოფო, საბავშო ბაგები და სხ. ერთის სიტყვით, იქმნება ყველა პირობები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ადგილობრივმა თურქულმა მოსახლეობამ ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ისწავლა უზბეკებისაგან ბამბის კულტურის მოვლის საქმეში.

მე მგონია, რომ ბამბის კულტურა ჯერ კიდევ არ არის ისე შესწავლილი, როგორც ეს საჭიროა. არის ძალიან ბევრი საკითხი, რომელიც ჩიხში ამწყვდევს სპეციალისტებსაც კი. მილის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. ასად ყარაევმა გადმოგვცა, რომ დღემდე არ არის გამორკვეული, რამდენი წყალია საჭირო ბამბის მინდვრების მოსარწყავად. ზოგიერთი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ რაც უფრო მეტი იქნება წყალი, მით უფრო მეტ მოსავალს მივიღებთ, სხვები კი ამბობენ, რომ დიდი მორწყვის დროს ბამბის მცენარე ისხამს ბევრ ფოთოლს, მაგრამ თვით ბამბა ნაკლები გამოდის. ეს საკითხი დღემდე სადაოა. აშკარაა, არის კიდევ ბამბის კულტურის მრავალი სხვა საკითხიც, რომელიც გამორკვევას საჭიროებს.

სამწუხაროდ, საკითხის ამ მხარეს ცოტა ყურადღება ექცევა. დღემდე უფრო ზრუნავენ ფართობის გადიდებაზე, ვიდრე მოსავლიანობის აწევაზე ბამბის კულტურის უკეთ მოვლის გზით.

ბამბის მოსავალი მიმდინარე წელს ყველგან საუცხოვოა, როგორც საბჭოთა მეურნეობებში, ისე კოლმეურნეობებშიც. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ კულტურას უკეთ ამუშავებენ და უვლიან კოლმეურნეობებში, ვიდრე საბჭოთა მეურნეობებში. ეს იმით აიხსნება, რომ საბჭოთა მეურნეობები მხოლოდ მიმდინარე წელს და სასწრაფოდ არიან მოწყობილნი, მათ ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს და ვერ შესძლეს ამ საქმის სათანადოდ დაყენება. ამავე დროს კი საბჭოთა მეურნეობებს მეტად დიდი ამოცანები აქვთ დაკისრებული. საჭიროა მომავალში მთელი ძალღონე მოვიკრიფოთ, რომ საბჭოთა მეურნეობები გადაიქცნენ ხელმძღვანელ ძალად კოლმეურნეობათა მიმართ. ამჟამად ასეთი მდგომარეობა, სამწუხაროდ არ არის, რაც სავსებით გასაგები მიზეზების გამო.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მიმდინარე წელს გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა უმაღლესი პარტიული ორგანოების (ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი და აზერბეიჯანის ცენტ. კომიტეტი) დირექტივებთან შეფარდებით.

მაგრამ ცენტრის ხელმძღვანელობას ახასიათებს დეფექტები, რომლებსაც ყურადღება უნდა მიექცეს. სხვათა შორის, ადგილი აქვს ერთ მეტად სასიხარულო მოვლენას, სახელდობრ: როგორც პარტიული, ისე საბჭოთა ორგანოების სათავეში დგანან ნაცადი ძველი ბოლშევიკები—ბაქოს მუშები, მაგრამ ადგილობრივი კადრები თითქმის სრულებით არ მოიპოვებიან. ეს ამხანაგები აკეთებენ ყველაფერს, რაც მათზე დამოკიდებულია, ისინი გმირულად მუშაობენ.

გზების და მიმოსვლის საშუალებათა უქონლობის გამო, ცენტრთან კავშირი მეტად ცუდადაა მოგვარებული, ფოსტა ცენტრიდან რაიონამდე აღწევს 4-5 დღის შემდეგ. ამ რაიონში თავს გრძნობ მსოფლიოსაგან სრულებით მოწყვეტილად. იქ რამდენიმე დღით ყოფნის დროს მე ვერაფერი გავიგე იმის შესახებ, თუ რა ხდება ქვეყნად. ეს მოწყვეტილობა მძიმე გავლენას ახდენს ადამიანზე.

ადგილობრივი მუშაკების მდგომარეობას ის გარემოებაც ართულებს, რომ ადგილობრივი ორგანოების ყოველგვარ მიმართვაზე, სატელეგრაფო შეკითხვებზე ცენტრალური ორგანოები პასუხს არ იძლევიან. ცენტრალური ორგანოების ეს უსულო, ბიუროკრატიული და პირდაპირ დანაშაულებრივი დამოკიდებულება რაიონების მუშაკებისადმი უაღრესად მძიმე გავლენას ახდენს მუშაობაზე. ეს გულს უტეხს და აბნევს ადგილობრივ მუშაკებს.

ცენტრიდან იქ პასუხსაგებ სამუშაოზე გაგზავნილი პირები განუწყვეტლად შრომობენ, დღისა და ღამეს ასწორებენ. ამავე დროს ისინი მოკლებულნი არიან ცხოვრების ელემენტარულ პირობებს. აი, მაგალითად, ისეთი ბუმბერაზის დირექტორს, როგორიცაა მილის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც უზარმაზარი ფართობი უჭირავს, თავის განკარგულებაში ერთი მანქანაც კი არა აქვს. ასევე უნდა ითქვას აგრეთვე უაღრესად მივარდნილ ბელასუვარის რაიაღმასკომზე, რომელსაც სრულებით არ გააჩნია მიმოსვლის რამე საშუალება.

მე უნდა დავადასტურო, რომ ყველა ეს ორგანიზაციები ადგილებზე ნამდვილად შეუსვენებლივ მუშაობენ. ყველა ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ბამბის კულტურას. ერთად-ერთ და სამწუხარო გამონაკლისს წარმოადგენენ ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის ორგანიზაციები, რომელთაც თითქო ხელმძღვანელი ადგილი უნდა ეკავოთ ამ მუშაობაში. მიუხედავად მთელი ჩემი სურვილისა, რომ აღმომეჩინა თუ გინდ რამე დადებითი მხარეები ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის მუშაობაში, ეს მე ვერ შევსძელი. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ ა. კ. ბამბმშენის მუშაობის გამო.

ეს რაიონები ნამდვილად რომ ითქვას, არაფრისგანაა შექმნილი. მათ უთხრეს, რომ ისინი გამოყოფილნი არიან ცალკე რაიონად, განუმარტეს მათი უფლებები და ამის მეტი არაფერი გაუკეთებიათ. ავიღოთ, მაგალითად, სოფელი პუშკინო, რომელიც წარმოადგენს ბელასუვარის რაიონის ცენტრს, და სოფელი აღჯაბედი — აღჯაბედის რაიონის ცენტრი. კონსტიტუციით, ამ რაიონებს უნდა ჰქონდეთ ისეთივე დაწესებულებები, როგორც წინად მაზრებსა და ოლქებში არსებობდნენ. ვერ ხერხდება რაიონული ორგანიზაციების დაბანაკება. მუშებს და მოსამსახურეებს საცხოვრებელი არ აქვთ. არ არის სათანადო პირობები მუშაობისათვის.

ბოლო დროს რაიონების დასახმარებლად ცენტრიდან ბევრი მუშაკი გაიგზავნა, მაგრამ ზოგჯერ ეს პირები მძიმე ტვირთს წარმოადგენენ: მათთვის უნდა გამონახონ სადგომები და მიმოსვლის საშუალებები.

რაიონულ ორგანიზაციებს დაკისრებული აქვთ დიდი მოვალეობები, მაგრამ არ არის პირობები იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ამ მოვალეობათა შესრულება. ზოგჯერ ცდილობენ რაიონული ორგანიზაციების მუშაობა უარყოფითად დახატონ. ეჭვს გარეშეა, რომ მათ მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ბევრ დეფექტებს და გადახრებს როგორც მარცხნივ, ისე მემარჯვენე ოპორტუნიზმისაკენ. მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს დავინახოთ მათი მუშაობის დადებითი მხარეებიც. მე გავიგონე ადგილობრივი მუშაკების ბევრი სამართლიანი ჩივილი. მე მოვაგროვე შეჯამებული მასალები, რომელიც იბეჭდება ჩვენს ორგანოებში — „ზარია ვოსტოკა"-სა და „ბაკინსკი რაბოჩი"-ში. ადგილებზე მე მომიხდა ამ მასალის შემოწმება და ბევრ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ის ცნობები, რომლებიც ჩვენს პრესაში იბეჭდება, სინამდვილეს არ შეეფერებიან, ამასთან ცნობები რატომღაც შემცირებულია. ეს ითქმის ცნობებზე პირველ გამარგვლის შესახებ. ესევე მიამბეს ცენტრიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა. რაიონების მუშაობის ეს არა სამართლიანი შეფასება გულს უტეხს ადამიანებს. ამასთან საჭიროა მეტად ფრთხილი მიდგომა და მეტი ყურადღება იმ ადამიანებისადმი, რომელთაც დაკისრებული აქვთ ასეთი დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა. სინამდვილე არ უნდა შევალამაზოთ, მაგრამ არც უნდა შევამციროთ ის მიღწევები, რომლებიც ადგილებზე აქვთ.

ბამბის პირველი ძირითადი გამარგვლა შეფერხდა. ეს აიხსნება, პირველი, მუშა ხელის ნაკლებობით, მეორე, ამინდის არახელსაყრელი პირობებით და, მესამე, იმით, რომ ზოგიერთ ადგილას კალიამ მოსპო ნათესი.

ჩემი იქ ყოფნის დროისათვის პირველი გამარგვლა მეტ წილად დამთავრებული იყო და უკვე იწყებდნენ მეორე მარგვლას. ჩვენი იქ ყოფნის პერიოდი შეხვდა ბამბის მორწყვის პერიოდს; ბევრ ადგილას საგრძნობი იყო წყლის სიმცირე, რაც უნდა აეცილებიათ. მაგრამ მომრწყავების დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ, განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობებში.

ბევრ რაიონში კოლმეურნეობები იოლად გადიან თავიანთი საკუთარი მუშა ხელით. ეს საკითხი მწვავედ დგას საბჭოთა მეურნეობებისათვის. ადგილებზე ზედმეტი მუშა ხელი არ მოიპოვება. საჭირო ხდება დაემყარონ მოსულ მუშებს.

საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობა იმ გარემოებითაც რთულდება, რომ არ არის შექმნილი პირობები ქალის შრომის გამოყენებისათვის.

კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში თურქი ქალის შრომას ფართოდ მიმართავენ ბამბის მინდვრების დამუშავებაში. სასიხარულო იყო გენახათ მუშაობა კოლმეურნე ქალებისა, რომელნიც წარმატებით ასრულებენ მათთვის დაკისრებულ სამუშაოს.

მე დავრწმუნდი, რომ ეს კოლმეურნეობები, არსებითად, წარმოადგენენ მეტად მკვიდრ ორგანიზაციებს და რომ თურქ ქალების შრომის გამოყენების საქმეში დიდი გარდატეხა მოხდა. მხოლოდ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მათ საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

უნდა ვსთქვათ, რომ უკვე აქვს ადგილი გარდატეხას, რომელსაც ესწრაფებოდნენ ამიერ - კავკასიის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მებამბეობის დარგში.

ბამბის რაიონების დათვალიერებისას დავრწმუნდი, რომ ბამბის მიმდინარე წლის პროგრამა რეალური იყო და რომ ადგილებზე არის ყველა პირობები მისი განხორციელებისათვის. საჭიროა მხოლოდ მთელი ძალღონის მოკრება.

ამიერ - კავკასიაში არის უდიდესი შესაძლებლობა ბამბის ფართობის გადიდებისათვის. მუშაობას აფერხებს მხოლოდ ჩვენი გამოუცდელობა წარსულში და ზოგიერთი ორგანიზაციის უუნარობა.

უაღრესად ძნელია იმ უდიდესი მუშაობის შეფასება, რომელიც ამჟამად რაიონებში სწარმოებს და რომლის მოწმეც მე შევიქენი ამ მოგზაურობის დროს. მე მეტად კმაყოფილი დავრჩი იმით, რაც ვნახე. ის მიღწევები, რომლებიც ამჟამად ადგილებზე აქვთ, არის როგორც ადგილობრივი მუშაკების, ისე ცენტრალური ორგანოების გმირული მუშაობის და ენტუზიაზმის შედეგი.

უნდა შევინარჩუნოთ ეს ტემპები. საჭიროა ახლავე შევქმნათ პირობები მოსავლის თავის დროზე აღებისათვის. ახლავე უნდა ავიცილოთ ის დეფექტები, რომლებიც ხელს უშლიდნენ და აფერხებდნენ ბამბის დამუშავებას და რომელნიც მოსავლის აღების დროს უფრო დიდ დაბრკოლებას შეგვიქმნიან.

უნდა აღმოვფხვრათ ის დეფექტები, რომელთა შესახებაც ზევით ვილაპარაკე.

მთელი ძალღონე უნდა მივმართოთ მიმდინარე წლის ამოცანის განსახორციელებლად, ვინაიდან ამა წლის სრული წარმატება განსაზღვრავს ბამბის კამპანიის წარმატებით ჩატარებას მომავალ წელშიც.

ფ. მახარაძე.

ოპორტუნისტებმა ჩაშალეს კასპის ცემენტის ქარხნის 1-ლი და მე-2 კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმა

გეგმის შეუსრულებლობით 100.000 კასრი ცემენტი დააკლდა ჩვენს ქვეყანას

> დაუღალავი ბრძოლა ჩამორჩენის სალიკვიდაციოთ, მუშათა მასების შემოქმედებითი ენტუზიაზმის სათავეში ნამდვილი ჩადგომა, ორ ფრონტზე ბრძოლა, მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც დღევანდელ პერიოდში მთავარი საფრთხის, და „მემარცხენე“ გადახვევების, თვალთმაქცობის და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, — უზრუნველყოფს ქარხნის საწარმოო პროგრამის შესრულებას და მის გადაჭარბებას“ (საქ. კ. პ. (ბ) დადგენილებიდან)

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. კომიტეტმა მოისმინა რა მოხსენება საწარმოო და პარტიულ - მასსიურ მუშაობის შესახებ კასპის ცემენტის ქარხანაში, საქართველოს კომპარტიის ცეკას 1930 წლის 12 დეკემბრის დადგენილების შესრულების თვალსაზრისით, აღნიშნავს, რომ ქარხნის პარტიულმა, სამეურნეო, პროფესიონალურმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ვერ უზრუნველჰყვეს აღნიშნულ დირექტივის გატარება და ამით ჩაშალეს პირველ და მეორე კვარტალის საწარმოო - საფინანსო გეგმა, რითაც დააკლეს ქვეყანას 100.000 კასრი ცემენტი.

გეგმის შეუსრულებლობა წარმოადგენს მემარჯვენე ოპორტუნისტულ თვითმდინარეობაზე დაყრდნობისა და ცემენტის ქარხნის ხელმძღვანელ შემადგენლობაში უპრინციპო ბრძოლის შედეგს, რომელმაც მიიღო ურთიერთ სახელის გატეხის და მტრობის ფორმები. ამის გამო ქარხნის პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ვერ გარდაქმნეს თავისი მუშაობა წარმოების ამოცანებთან შეფარდებით, ვერ გაშალეს ბრძოლა ურთიერთ-დაცვის ფაქტების გახრწნილების და კუდში მაჩანჩალობის ელემენტების წინააღმდეგ ცემენტის ქარხნის ხელმძღვანელ შემადგენლობის ნაწილში, ვერ ჩაუდგნენ სათავეში სოცშეჯიბრება - დამკვრელობას, ვერ უზრუნველჰყვეს ერთმმართველობის პრინციპის გატარება, ვერ გაშალეს ბრძოლა წამლეკავ ელემენტთა, შრომის დისციპლინის კონკრეტულ დამრღვევთა და ინჟინერ-ტეხნიკოსთა ნაწილის მხრივ თავის მოვალეობისადმი დანაშაულებრივ დაუდევარ მოპყრობის წინააღმდეგ, არ გაატარეს არავითარი ღონისძიებები წარმოების ტეხნიკის დასაუფლებლად და არ მიიღეს არავითარი ზომები ქარხნის აპარატის გასაწმენდათ კლასიურად უცხო ელემენტებისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა საბოლოოდ ხელი შეუწყო გარღვევათა შემდეგომ გაღრმავებას (1-ლი კვარტალის გეგმა შესრულებულია 70 პროც. და მეორე კვარტალის 2 თვე—60 პროც.).

ცენტრალური კომიტეტი სცნობს რა საწარმოო და პარტიულ - მასსიურ მუშაობას კასპის ცემენტის ქარხანაში სრულიად არადამაკმაყოფილებლად, ადგენს:

1. ქარხნის საწარმოო მუშაობის პარტიულ ხელმძღვანელობით არა უზრუნველყოფისათვის, გახრწნილების ელემენტებისა და უპრინციპო ბრძოლისათვის ყურადღების მიუქცევლობისათვის, რომელსაც ადგილი ქონდა ცემენტის ქარხნის ხელმძღვანელ მუშაკთა შორის, დაიშალოს ქარხნის ბიურო - კოლექტივის შემადგენლობა.

2. ერთმმართველობის შესახებ პარტიის დირექტივებისადმი უხეშ უყურადღებობისათვის და უპრინციპო ჯგუფურ ბრძოლისათვის, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით კოლექტივის ბიუროს ყოფ. მდივანს ამხ. კონტრიძეს და მოიხსნას იგი ტყიბულის მაღაროების პარტიულ კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან.

3. გამოეცხადოს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით ცემენტის ქარხნის დირექტორს ამხ. ქიბაძეს, რადგან მან თავის დროზე არ აცნობა ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს იმ ავადმყოფურ მოვლენების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცემენტის ქარხნის ხელმძღვანელ მუშაკებში, და არ მიიღო გადამწყვეტი ზომები აპარატის გასაჯანსაღებლად.

4. მოიხსნას სამუშაოდან კომკავშირის კოლექტივის ბიუროს მდივანი ამხ. ჩიღ-[illegible]ლიძე, ვინაიდან მან ვერ შესძლო უზრუნველეყო კომკავშირის აქტიური მონაწილეობა საწფინგეგმისათვის ბრძოლაში.

5. წინადადება მიეცეს პროფსაბჭოს ფრაქციას დაშალოს უმოქმედობისათვის ქარხკომის შემადგენლობა. სისტემატიურ ლოთობისა და უცხო ელემენტებთან მჭიდრო კავშირისათვის გამოწვეული იქნეს ს.ს.ბ. კურსებიდან ქარხკომის ყოფილი თავმჯდომარე კავაზოვი და მისი საქმე გადაეცეს საკონტროლო კომისიას. სასტიკი საყვედური გამოეცხადოს ქარხკომის ახალ თავმჯდომარეს ამხ. არიშილაძეს ჯგუფურ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის და დაუყოვნებლივ მოიხსნას იგი სამუშაოდან.

6. აღინიშნოს კასპის რაიკომის მხრივ ცემენტის ქარხნის პარტორგანიზაციაზე არასაკმარისი ხელმძღვანელობა უკანასკნელ მომენტამდე, რაც წარმოადგენს უმთავრეს მიზეზს ავადმყოფურ მოვლენათა დაგვიანებით გამოაშკარავებაში.

წინადადება მიეცეს რაიკომს ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მომავალში უზრუნველჰყოს ქარხნის ყველა სამეურნეო, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციების მუშაობა ნამდვილი ხელმძღვანელობით.

7. წინადადება მიეცეს ცენტრალურ კომიტეტის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებას წამოაყენოს კოლექტივის ბიუროს მდივანი. წინადადება მიეცეს საქართველოს პროფსაბჭოს ფრაქციას ამავე ვადაში უზრუნველჰყოს ქარხნის პროფხელმძღვანელობა სათანადო მუშაკებით.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ სოციალისტური მრეწველობის თანდათან გაზრდილი მოთხოვნილება საამშენებლო მასალაზე მწვავედ აყენებს კასპის ცემენტის ქარხნის წლიურ საწარმოო გეგმის სრულ შესრულების და გადაჭარბების ამოცანას, რომლის პროდუქცია შეადგენს ამ.-კავკ. ცემენტის მრეწველობის მთელი წლიური პროდუქციის 45,5 პროცენტს.

გამოდის რა აქედან ცენტრალური კომიტეტი, როგორც საქარხნო პარტორგანიზაციის, ისე პარტიის კასპის რაიკომის წინაშე აყენებს საბრძოლო ამოცანას: გაშალონ მუშაობის ისეთი ტემპები, რომლებიც უზრუნველყოფენ პირველ ორი კვარტალის გარღვევათა გადაჭარბებით დაფარვას დაფქვისა და გადატვირთვის დარგში მესამე კვარტალში, ხოლო გამოწვაში — მიმდინარე წლის ნოემბრამდე.

ივნისის თვის და მესამე კვარტალის საწარმოო პროგრამა დაწესდეს შემდეგი სახით:

ა) ივნისში გამოწვა 72.000 კასრი; დაფქვა—83.160 კასრი და გადატვირთვა — 95.000 კასრი.

ბ) მესამე კვარტალში გამოწვა 225.060 კასრი, დაფქვა — 286.440 კასრი და გადატვირთვა—285.000 კასრი.

ამ საწარმოო გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა:

1. პარტიის რაიკომმა და ქარხნის სამკუთხედმა ერთი დეკადის ვადაში დაიყვანონ წარმოების გადიდებული პროგრამის გეგმა საამქრომდე, აგრეგატამდე, ცვლამდე და თვითეულ მუშამდე, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოფილი იქნას საამქროებისა და აგრეგატების გადასვლა სამეურნეო ანგარიშზე და გაიშალოს მასიური მუშაობა მუშათა მასების ყურადღების მობილიზაციისათვის, სამეურნეო ანგარიშის და ახალი საკრედიტო რეფორმის პრაქტიკულ საკითხების გარშემო, გადამწყვეტი ბრძოლა იქნეს წარმოებული პარტიის დირექტივების შეუფასებლობის ელემენტების წინააღმდეგ ერთმმართველობის საკითხში, მისი ნამდვილად გატარებისათვის.

2. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რა ქარხნის მუშა-ხელით მომარაგების საქმეში შეფერხებას, მუშათა კვალიფიციურ კადრების მწვავე სიმცირეს და ქალთა შრომის სუსტ გამოყენებას, წინადადებას იძლევა რაიკომს ხუთი დღის ვადაში უზრუნველყოს ქარხნის მუშა ხელით მთლიანი მომარაგება, გაშალოს მასიური მუშაობა მუშების თვითმიმაგრებისათვის ქარხანაზე და საჭირო ყურადღება მიაქციოს ქალთა შრომის გამოყენებას, პირველ რიგში—იმ დარგებში, რომლებიც არ მოითხოვენ მძიმე ფიზიკურ შრომას, კონკრეტულ ამოცანად დაისახოს წარმოებაში არა ნაკლებ 100 ქალის ჩაბმისა უახლოეს ორ თვეში.

წინადადება მიეცეს შრომის სახ. კომისარიატს ერთი დეკადის ვადაში უზრუნველყოს ქარხანა საჭირო კვალიფიციურ მეტალისტებით, უმთავრესად პარტიულებიდან. ამასთან ერთად ქარხნის სამკუთხედმა დაუყოვნებლივ მოაწყოს ქარხანაში მოკლე ვადიანი კურსები მუშების და მუშა-ქალების კვალიფიკაციის ასაწევად.

3. ქარხანაში შრომის დისციპლინის შესამჩნევ შესუსტების ფაქტების არსებობა: არასაპატიო მიზეზით გაცდენების ზრდა, რომელიც 38 პროცენტს აღწევს, მუშათა ჩამორჩენილ ფენების შორის წამლეკავი განწყობილებები და მექანიზმთან დაუდევარი მოპყრობა, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების დაცემას, აგრეგატების შესამჩნევი გაცდენა და სათბობის გადახარჯვა, მთელი სიმწვავით სვამენ გადამწყვეტი ზომების მიღების ამოცანას აღნიშნულ უარყოფით მოვლენათა სასწრაფოდ ლიკვიდაციისათვის.

ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ქარხნის სამკუთხედს მობილიზაცია უყოს მუშათა ყურადღების ბოროტგამცდენთა და წამლეკავ ელემენტების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლისათვის, მათი წარმოებიდან განდევნით.

დაუყოვნებლივ დამთავრდეს მუშაობა ნარადი სისტემაზე გადასასვლელად და ნორმების და შეფასებების გადასათვალიერებლად. გაიშალოს მუშაობა სოცშრომის ახალი ფორმების (შეჯიბრება, დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი) განსამტკიცებლად. გაძლიერდეს ყოველდღიური ხელმძღვანელობა ამ მუშაობაში და მოწესრიგდეს ამ მიმართულებით მოპოვებულ მიღწევათა ხარისხობრივი და რიცხობრივი მაჩვენებლების აღრიცხვა.

უზრუნველყოფილ იქნას საამქრო საწარმოო თათბირების მუშაობის ხელმძღვანელობა მუშათა წინადადებების თავის დროზე შესრულებაზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით. ფართოდ გაიშალოს მუშაობა პარტიის და კომკავშირის წევრთა და აგრეთვე დამკვრელთა და სოცშეჯიბრების მონაწილეთა მთლიანად ჩასაბმელად ტეხნიკის დაუფლების წრეებში.

4. მუშათა ახალი ფენების საგრძნობ საწყისი დაბალი კულტურული დონე, მათ შორის ტეხნიკურ უცოდინართა 25 პროცენტის ყოლა და მასთან ერთად მასიურ კულტურულ პოლიტიკური საგანმანათლებლო მუშაობის სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მოითხოვს ქარხნის პარტორგანიზაციისაგან ანბანის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მუშაობის გაძლიერებას, კულტურულ - განმანათლებელ წრეების ქსელის გაფართოებას, მუშათა ძირითად კადრების პოლიტსწავლებაში მაქსიმალურად ჩაბმას და საკლუბო მუშაობის გაძლიერებას.

ცენტრ. კომიტეტი წინადადებას იძლევა, დაიშალოს კედლის გაზეთის რედკოლეგია და ახალი შემადგენლობა უზრუნველყოფილი იქნას საუკეთესო მუშკორებით დამკვრელებიდან და გაძლიერდეს ხელმძღვანელობა როგორც ქარხნის, ისე საამქროების კედლის გაზეთებზე.

5. რაიკომმა გააძლიეროს მუშკოოპის შემადგენლობა საკმაო მუშათა კადრებით, უზრუნველყოს დახურულ მუშკოოპის შეუფერხებელი მუშაობა და დააწესოს მასზე მუშათა კონტროლი სამრეწველო საქონლის და სურსათის სწორად განაწილების მიზნით.

წინადადება მიეცეს საქართველოს მომარაგების სახკომისარიატს და ცეკავშირს უზრუნველყონ ცემენტის ქარხნის მუშათა განუწყვეტელი მომარაგება სამრეწველო საქონლით და სურსათით დაწესებულ ნორმების მიხედვით.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს რა საზ. კვების ცუდ მდგომარეობას ქარხანაში, წინადადებას აძლევს ქარხნის დირექციას ერთი დეკადის განმავლობაში გამოძებნოს თანხები სასადილოსთვის ბინების ასაშენებლად როგორც ქარხანაში, ისე კარიერებზე.

წინადადება მიეცეს საქართველოს ჯანსახკომს ერთი დეკადის ვადაში უზრუნველჰყოს ქარხნის და კარიერის (ყველა ცვლების) მუშები საექიმო დახმარებით და შესაბამად გაზარდოს მედპერსონალის რიცხვი.

აღნიშნავს რა წარმოების ძირითადად სრულიად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობას (ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღება) ამასთანავე ცეკა ხაზს უსვამს ქარხნის ამუშავების დროისათვის დაუმთავრებელ ცალკე აგრეგატების ბოლომდე მოწყობის აუცილებლობას. აგრეგატების მოწყობის დაგვიანება იწვევს მუშა-ხელის და პროდუქციის თვითღირებულების ზრდას.

გამოდის რა აღნიშნულიდან ცენტრალური კომიტეტი ამიერ-კავკასიის ს.მ.უ.ს. და საამშენებლო მასალათა გაერთიანების ამიერ-კავკასიის განყოფილების წინაშე აყენებს შემდეგ ღონისძიებათა გატარების აუცილებლობის საკითხს.

1. აღნიშნულმა ორგანიზაციებმა ერთი თვის ვადაში დაამუშავონ საცხოვრებელი ბინების დამატებითი აღმშენებლობის, კლუბის და მუშათა დახურული კოოპერატივის შენობის აგების საკითხი და უახლოეს ვადაში არსებული მუშათა უბანი უზრუნველყონ ელექტრო-გაყვანილობით და წყალსადენით.

2. გააერთიანონ ქარხანაში ხაზვის საქმეები და ზუსტი გენერალური გეგმა მორიზონტალების.

3. მიიღონ ყოველმხრივი ზომები ბაქოს № 5 ქარხნის მიერ იმ შეკვეთის დროზე შესასრულებლად (შესრულების ვადა 31 წლის აპრილში), რომელიც ეხება საკანატო გზის ვაგონების „როლიკების“ დამზადებას.

4. ვინაიდან წყლის უქონლობის გამო შეუძლებელია კარიერზე საკომპრესო სადგურის ამუშავება კირნარის მექანიკურად დამუშავებისათვის, აუცილებლად იქნას ცნობილი უახლოეს ხანში დროებითი წყალსადენის გაყვანა და ეს მუშაობა მიეკუთვნოს დამკვრელ სამუშაოთ. მუშაობა დამთავრდეს ერთი თვის ვადაში. ამ საქმისათვის გამოყენებულ იქნას ქარხნის ყველა შინაგანი რესურსები.

5. ქარხანა უზრუნველყოფილი იქნას ორი ელევატორის მოწყობილობით, რომლის უქონლობაც აფერხებს ქარხნის მუშაობას.

6. ცემენტის წისქვილების ნაყოფიერების გადიდებისა და დანაკარგების შემცირების მიზნით დეკადის ვადაში დაამთავრონ ცემენტის განყოფილებაში გაუპიროვნებელ დადგმულობათა და მოწყობილობათა მონტაჟი.

7. ვინაიდან გრაიფერის ონკანში აღმოჩნდა მრავალი დეფექტი, როგორც წმინდა კონსტრუქტიულ ხასიათის, ისე მონტაჟის მხრივ, რომელთა აღმოფხვრის გარეშე უახლოეს ხანში შეუძლებელი იქნება მისი შემდგომი ექსპლოატაცია, ორი კვირის ვადაში სპეციალისტების კონსულტაციის აქტების თანახმად ჩატარებული იქნეს გრაიფერის ონკანის საყრდენის გამაგრება და მონტაჟის დეფექტების აღმოფხვრა.

8. აღინიშნოს უახლოეს ვადაში უმაღლეს კვალიფიკაციის ტეხნიკური ძალებით ქარხნის განმტკიცების აუცილებლობა. ქარხნის მმართველობამ შესწყვიტოს მექანიზმების გაუპიროვნებული მომსახურეობა და დეკადის ვადაში ჩაატაროს ცალკე მექანიზმებზე ტეხნიკურ ძალების მიმაგრება.

9. აღინიშნოს რა სოციალისტური მშენებლობის თანდათან გაძლიერებულ მოთხოვნილება საამშენებლო მასალებზე, კასპის ცემენტის მაღალ ხარისხს, ნედლეულის დიდ მარაგს და აგებული აგრეგატების გაფართოების შესაძლებლობას პირველ პროექტთან შედარებით, ამიერ-კავკასიის ს.მ.უ.ს.-მა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომები, როგორც პროექტის შედგენის, ისე ქარხნის გაფართოების დასაჩქარებლად იმ ანგარიშით, რომ 1932 წლის ბოლოს ქვეყანას მიეცეს ერთი მილიონ 500.000 კასრი ცემენტი.

10. მიენდოს საქართველოს მუშგლეხინსს შეამოწმოს ქარხნის ფინანსიური მდგომარეობა, პროდუქციის თვითღირებულება და „სტრომსტროის“ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

კასპის ცემენტის ქარხნის წინაშე არსებულ მებრძოლ ამოცანების შესრულება მოითხოვს თვით საქარხნო პარტორგანიზაციის მუშაობის ფორმების, მეთოდების და შინაარსის გადახალისებას.

კოლექტივის ბიუროს ახალმა შემადგენლობამ განსაკუთრებით უნდა გაამახვილოს ყურადღება პარტორგანიზაციის რიგების შემდგომ განსამტკიცებლად მოწინავე მუშების ხარჯზე, რომლებიც აქტიურად იბრძვიან ხუთწლედის გადამწყვეტი წლის გეგმების შესასრულებლად. სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს ცალკე კომუნისტების მხრივ ტეხნიკის დაუფლებისათვის ბრძოლის ამოცანის შეუფასებლობის ფაქტებს. ძირფესვიანად აღმოიფხვრას პარტიის ცალკე წევრებზე ჩამორჩენილი გლეხური განწყობილებების გავლენები, კუდში მაჩანჩალობის ელემენტები და სოციალისტურ შრომის ახალი ფორმებისადმი, მემარჯვენე ოპორტუნისტული შეუფასებლობა, საბოლოოდ აღმოიფხვრას ჯგუფური ბრძოლის ნაშთები, დაუყოვნებლივ გაირიცხონ პარტიის რიგებიდან გახრწნილი ელემენტები, რომლებიც ვერ ამართლებენ ბოლშევიკის საამაყო სახელს.

გაძლიერდეს პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირზე და გაეწიოს მას პრაქტიკული დახმარება თავის მუშაობის გარდაქმნაში პირით წარმოებისაკენ. გაბედულად იქნეს ჩაბმული კომპარტიის რიგებში მოწინავე კომკავშირელი მუშები და სისტემატიურად გაიწმინდოს კომკავშირის რიგები უვარგის ელემენტებისაგან. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კომკავშირელების პოლიტაღზრდას და მათ მაქსიმალურად ჩაბმას საწარმოო თათბირებში, საკლუბო მუშაობაში და სხვ.

ცენტრალური კომიტეტი მიუთითებს რაიკომს და კოლექტივის ბიუროს თვითკრიტიკის გარდამწყვეტ გაშლის აუცილებლობაზე და მის გადაქცევაზე მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, „მემარცხენე“ გადახრებთან და შემარიგებლობასთან—ბიუროკრატიზმთან და წამლეკავ ელემენტებთან ბრძოლის ნამდვილ მძლავრ იარაღად.

დაუღალავი ბრძოლა გარღვევის სალიკვიდაციოთ, მუშათა მასების შემოქმედებითი ენტუზიაზმის სათავეში ნამდვილი ჩადგომა, ორ ფრონტზე ბრძოლა, მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც დღევანდელ პერიოდში მთავარი საფრთხის, „მემარცხენე“ გადახვევების, თვალთმაქცობის და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ — უზრუნველყოფს ქარხნის საწარმოო პროგრამის შესრულებას და გადაჭარბებას.

ჩაის კულტურის დამუშავება-გამარგვლის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1931 წლის 28 ივნისის დადგენილება

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც მოისმინა „საქართველოს ჩაის“ გამგეობის მოხსენება ჩაის დამუშავება-გამარგვლის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ, მიუხედავად დამუშავება-გამარგვლის კამპანიის დიდი მნიშვნელობისა მოსავლიანობის გადიდებისა და ჩაის ბუჩქის ნორმალური ზრდის თვალსაზრისით, მთელ რიგ რაიონებში არ იცავენ მუშაობის ცალკე პროცესების შესრულების დაწესებულ ვადებს და არ არის მიღებული გადამწყვეტი ზომები მთელი დამუშავება-გამარგვლის კამპანიის წარმატებით დამთავრების უზრუნველსაყოფად. კამპანიის მიმდინარეობის ასეთი მდგომარეობის გამო, მთელ რიგ ადგილებში სარეველა ბალახები და ტყის მცენარეები იმდენად მოჭარბებულია, რომ ხელს უშლიან ჩაის ბუჩქების ზრდას, განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობის სექტორში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ასეთ მდგომარეობას ყოვლად დაუშვებლად სთვლის, აღნიშნავს მთელ რიგ რაიონებში შემჩნეულ სადემობილიზაციო განწყობილებას დამუშავება-გამარგვლის კამპანიის ჩატარების საქმეში და წინადადებას აძლევს ჩაის რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს—დაუყოვნებლივ გაშალონ გადამწყვეტი ბრძოლა ყოველგვარი სახის სადემობილიზაციო განწყობილების წინააღმდეგ, რომელიც დამუშავება-გამარგვლის კამპანიის სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის არასათანადოთ შეფასების შედეგია.

დამუშავება-გამარგვლის კამპანიის ვადებში თავის დროზე შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. დაევალოთ ჩაის რაიონების რაიკომებს, „საქართველოს ჩაის“ საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრს და ჩაის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს—მოახდინონ ყველა ძალების და სახსრების მობილიზაცია დამუშავება-გამარგვლის კამპანიის სანიმუშოდ ჩასატარებლად საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში.

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს 1930 წელს და წინად გაშენებული პლანტაციების დამუშავება-გამარგვლის კამპანიის ჩატარების უკვე გაშვებულ ვადებს და ერთი დეკადის ვადაში უზრუნველყოფილი იქნას ჩამორჩენის ლიკვიდაცია ამ მხრით.

2. კოლმეურნეობებში შრომის სწორი ორგანიზაციის და ზედმეტი მუშა-ხელის გამოაშკარავების მიზნით, წინადადება მიეცეთ ჩაის რაიონების ოლქკომებს და რაიკომებს და საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრს—ერთი დეკადის ვადაში დაამთავრონ მუშაობა ჩაის ყველა კოლმეურნეობების ფაქტიური გადაყვანისათვის შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაზე—სანარდო სისტემაზე (გამომუშავების სწორი ნორმების დაწესება, დახარჯული შრომის აღრიცხვის მოგვარება, ბრიგადების მოწყობა და სხვ.).

ამასთან წინადადება მიეცეთ ჩაის რაიონების ყველა ოლქკომებს და რაიკომებს—დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი მთელი მუშა-ხელის (კოლმეურნეობების და ინდივიდუალური მეურნეობების) სავსებით გამოსაყენებლად დამუშავება-გამარგვლის კამპანიის პერიოდში, კერძოდ, ამ მიზნით საჭიროა ჩაითვალოს რაიონულ აქტივიდან პასუხისმგებელი მუშაკების მიმაგრება ცალკე კოლმეურნეობებზე და სოფლებზე.

3. წინადადება მიეცეთ საქ. კ. პ. (ბ) ოლქკომებს და რაიკომებს—გაშალონ მასიური მუშაობა შრომის სოციალისტური ფორმების (სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირის მოწყობა ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სოფლებში და სხ.) ფართოდ გასავრცელებლად კოლმეურნეობებსა და ღარიბ საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებში და კოლმეურნეობების და ღარიბ და საშუალო გლეხების მთელი მასის ყურადღება დარაზმონ დამუშავება-გამარგვლის კამპანიის ცალკე სამუშაოთა გეგმის თავის დროზე შესრულების გარშემო.

4. რადგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალის შრომის გამოყენებას დამუშავება-გამარგვლის კამპანიაში, ოლქკომებმა და რაიკომებმა დაამუშაონ მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ქალის შრომის უფრო ფართოდ გამოყენებას, კერძოდ, წინადადება მიეცეთ საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს და განათლების სახ. კომისარიატს—2 დღის ვადაში გადასინჯონ საბავშვო ბაღების, ბაგების და კერების გახსნის გეგმა გაფართოების მხრით და უახლოეს დღეებში დაამთავრონ მუშაობა ამ საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მოსაწყობად.

5. ჩაის საბჭოთა მეურნეობების უზრუნველსაყოფად მუშა-ხელით, წინადადება მიეცეს აჭაროლქკომს—გამოჰყოს, საბჭოთა მეურნეობებში მყოფ მუშებს გარდა, 100 მუშა სილიბაურის საბჭოთა მეურნეობისათვის და 800 მუშა ქობულეთის საბჭოთა მეურნეობისათვის.

სამტრედიის რაიკომმა გამოჰყოს	800	მუშა	ჩაქვის საბჭ. მეურნეობისათვის
ვანის რაიკომმა „	200	„	ლაითურის „ „
ოზურგეთის რაიკომმა „	500	„	ლაითურის „ „
ჩოხატაურის რაიკომმა „	300	„	ნასაკირალის „ „
ლანჩხუთის რაიკომმა „	200	„	ნასაკირალის „ „
ხონის რაიკომმა „	300	„	ხონის „ „
მარტვილის რაიკომმა „	500	„	დიდი ჭყონის „ „
სენაკის რაიკომმა „	300	„	დიდი ჭყონის „ „
ზუგდიდის რაიკომმა „	1.000	„	ნარაზენის „ „
ხობის რაიკომმა „	300	„	ნარაზენის „ „
წალენჯიხის რაიკომმა „	500	„	კორცხელის „ „
ჩხოროწყუს რაიკომმა „	400	„	კორცხელის „ „
აფხაზეთის ოლქკომმა „	650	„	ოჩიგვარის „ „

მუშების შეგროვება და გაგზავნა დამთავრდეს არა უგვიანეს ა. წ. 2 ივლისისა.

6. წინადადება მიეცეთ „საქართველოს ჩაის“ გამგეობას და ჩაის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს—დაუყოვნებლივ გაგზავნონ თავიანთი რწმუნებულები იმ რაიონებში, სადაც მუშა ხელის შეგროვება სწარმოებს, უზრუნველჰყონ მუშების შეუფერხებლად მიღება, მოამზადონ მათთვის შესაფერი საცხოვრებელი ბინები.

7. წინადადება მიეცეთ მომარაგების სახალხო კომისარიატს და ცეკავშირს—უზრუნველჰყონ საბჭოთა მეურნეობების მუშები საკვები პროდუქტებით.

8. აგრომინიმუმის ხაზით ღონისძიებათა გასატარებლად დამუშავება-გამარგვლის პერიოდში მოეწყოს მასიური აგროტეხნიკური ლაშქრობა სოფლად, ამ ლაშქრობის ჩატარება დაეკისროს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს.

9. რადგან ჩაის კულტურის ზოგიერთ რაიონში გავრცელებულია მალარია, რომელიც საგრძნობი რაოდენობის მუშა ხელს აცდენს ჩაის დამუშავება-გამარგვლის კამპანიის პერიოდში, წინადადება მიეცეს საქართველოს ჯანსახკომს—გაგზავნოს არა უგვიანეს პირველი ივლისისა ჩაის რაიონებში ექიმთა ბრიგადა შესაფერი მედიკამენტებით და ამასთან დასახოს მალარიის საწინააღმდეგო და პროფილაქტიური კონკრეტული ღონისძიებანი.

10 საქართველოს კ. პ. (ბ) ოლქკომებმა და რაიკომებმა, საქართველოს მიწსახკომისა და კოლმეურნეობათა ცენტრის 1931 წ. 31 მაისის დადგენილების თანახმად, გამოაცოცხლონ სასოფლო შემმოწმებელი კომისიების მუშაობა შემმოწმებელი ბრიგადების გამოყოფით და გაგზავნით, სოცშეჯიბრების მოწყობით მათ შორის და სხ.

11. წინადადება მიეცეს „საქართველოს ჩაის“ გამგეობას—და[illegible] დამუშავება-გამარგვლის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ ცნობების წარმოდგენა ყოველ ხუთ დღეში. საქ. კ. პ. (ბ) ოლქკომებმა და რაიკომებმა თვალყური ადევნონ ამ გადაწყვეტილების შესრულებას.

12. საბჭოთა მეურნეობებში დამუშავება-გამარგვლის კამპანიის მოწყობისა და ხელმძღვანელობისათვის მიმაგრებულ იქნან შემდეგი პასუხისმგებელი ამხანაგები, როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულები:

სილიბაურის საბჭ. მეურნეობაზე—ამხ. ვასილ იტრიევი.

ჩაქვის საბჭ. მეურნეობაზე—ამხ. დ. ნასარიძე.

ქობულეთის საბჭ. მეურნეობაზე—ამხ. ს. ლომიძე.

ლაითურის საბჭ. მეურნეობაზე— ამხ. მორჩილაძე.

ნასაკირალის საბჭ. მეურნეობაზე—ამხ. ლაშხი.

ხონის საბჭ. მეურნეობაზე—ამხ. ს. ცხოვრებაშვილი,

დიდი ჭყონის საბჭ. მეურნეობაზე —ამხ. ს. თოხაძე.

ნარაზენის საბჭ. მეურნეობაზე—ამხ. ნიკ. ენუქიძე.

კორცხელის საბჭ. მეურნეობაზე—ამხ. ა. ტაგიშვილი.

ოჩიგვარის საბჭ. მეურნეობაზე—ამხ. ლ. ენუქიძე.

13. წინადადება მიეცეს სამიწადმოქმედო საბჭოთა მეურნეობების მუშათა კავშირის ცენტრალურ გამგეობას—2 დღის ვადაში გაგზავნოს საბჭოთა მეურნეობების პროფორგანიზაციების დასახმარებლად ცენტრალური გამგეობის პასუხისმგებელი მუშაკების ჯგუფები, გაშალოს ფართო მასიური მუშაობა (შრომის სოციალისტური ფორმების ორგანიზაცია) და სათავეში ჩაუდგეს მუშათა ინიციატივას დამუშავება-გამარგვლის კამპანიის გეგმის შესასრულებლად.

14 ვინაიდან ადგილი აქვს „საქართველოს ჩაის“ სამანქანო-სატრაქტორო ბაზების განკარგულებაში ადგილობრივი ორგანიზაციების ჩარევის და სხვა კულტურებისათვის ტრაქტორების გამოყენების (კოდორი) შემთხვევებს, გადაჭრით აეკრძალოთ რაიონულ ორგანიზაციებს ბაზების ოპერატიულ მუშაობაში ჩარევა და ტრაქტორების გადაგზავნა „საქართველოს ჩაის“ თანხმობის გარეშე.

15. „სოიუზხლებ“-მა უზრუნველჰყოს დაწესებული ნორმებით პურის პროდუქტების გაცემა ჩაის პლანტატორებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის „საქართველოს ჩაის“ დაკვეთის თანახმად. პურის პროდუქტების გაცემა კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის მოხდეს დამუშავება-გამარგვლის სამუშაოთა შესრულების ვადებთან და ხარისხთან ხისტად შეფარდებით.

16. ჩაის რაიონების კოლმეურნეთა უშუალო ოპერატიული ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით, წინადადება მიეცეს—საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრს—შეაწყოს, არა უგვიანეს პირველი ივლისისა, საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრთან „ჩაის კოლმეურნეობათა კავშირი“ და ხუთი დღის ვადაში დაამთავროს ჩაის საკოლმეურნეო სისტემის რაიონული ქსელის მოწყობა.

17. წინადადება მიეცეს ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილებას—ერთი დღის ვადაში წარუდგინოს სამდივნოს დასამტკიცებლად საქართველოს „ჩაის კოლმეურნეობათა კავშირის“ ხელმძღვანელი შემადგენლობა.

18. წინადადება მიეცეს „საქართველოს ჩაის“ გამგეობას—გადასცეს 1 ივლისისათვის „ჩაის კოლმეურნეობათა კავშირს“ მთელი აგროპერსონალი შესაფერი კრედიტებით, ქონებით და ინვენტარით ჩაის რაიონების კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის სამსახურის გასაწევად.

19. წინადადება მიეცეს „საქართველოს ჩაის“, „ჩაის კოლმეურნეობათა კავშირთან“ ერთად, გამოჰყოს საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობათა დასაჯილდოვებელი ფონდი დამუშავება-გამარგვლის კამპანიის უკეთ ჩატარებისათვის და 5 დღის ვადაში დაამუშაოს და გამოაქვეყნოს დაჯილდოვების პირობები.

20. დაევალოთ რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს—არ შეასუსტონ დამუშავება-გამარგვლის კამპანიის პერიოდში მუშაობა ნიადაგის მომზადებისათვის ჩაის პლანტაციების გასაშენებლად.

21. დაევალოს შრომის სახ. კომისარიატს, „საქართველოს ჩაის“ გამგეობასთან ერთად, ერთი დეკადის ვადაში დაამუშაოს 1931 წლის მთელი პერიოდისათვის ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშა-ხელით უზრუნველყოფის კონკრეტული გეგმა და დასახოს რაიონები საჭირო რაოდენობის მუშების შესაგროვებლად.

22. დაწესდეს ჩაის დამუშავება-გამარგვლის კამპანიის ჩატარების შემდეგი ვადები: პირველი გამარგვლა, გათოხნა და გამოწმენდა დამთავრდეს 5 ივლისისათვის; მეორე გამარგვლა, გათოხნა და გამოწმენდა დაიწყოს 20 ივლისს და დამთავრდეს 15 აგვისტომდე; მესამე გათოხნა და გამოწმენდა მწვანე სასუქის შეტანით დაიწყოს 20 აგვისტოს და დამთავრდეს 10 სექტემბრამდე.

23. წინადადება მიეცეთ ცენტრალური და ადგილობრივი რაიონული გაზეთების რედაქციებს—ფართოდ გააშუქონ დამუშავების კამპანიის მიმდინარეობა ჩაის რაიონებში.

მუშაობა უნდა გარდაიქმნას

საქ. ცაკის დადგენილება ჩხარის რაიაღმასკომის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა რა ჩხარის რაიონში წარმოებული მუშაობათა გამოკვლევათა შედეგები — სცნო:

1930-31 წლის საბჭოების გადარჩევის შემდეგ ჩხარის რაიაღმასკომის და რაიონის სხვა ორგანოების მუშაობას ემჩნევა ერთგვარი გაუმჯობესება, (წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, საყოველთაო - სავალდებულო სწავლის საქმე, ნაწილობრივ კოლმეურნეობრივ მშენებლობაში), საერთოდ კი რაიონში წარმოებულ მუშაობას ახასიათებს უმთავრესად შემდეგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი:

რაიაღმასკომის ხელმძღვანელობა სასოფლო საბჭოებზე ძლიერ სუსტია.

რაიონის აღმასკომმა და სოფლის საბჭოებმა დღემდე ვერ შესძლეს თავიანთი მუშაობის გარდაქმნა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციიდან გამომდინარე ამოცანებთან დაკავშირებით.

რაიონის აღმასკომი და სოფლის საბჭოები არასაკმარის ხელმძღვანელობას უწევენ კოლმეურნეობრივ მშენებლობას და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას.

რაიაღმასკომმა და სოფლის საბჭოებმა ვერ დარაზმეს პოლიტიკურ და სამეურნეო კამპანიების ირგვლივ სოფლის მშრომელი მასა (დამზადებები, თესვა, თავისუფალი სახსრების მობილიზაცია, კოლმეურნეობების მშენებლობა, სანარდო სისტემის შემოღება კოლმეურნეობებში და სხვ. შეუსრულებლობა). საერთოდ მუშაობაში ფართოდ არ არის გამოყენებული შრომის სოციალისტური მეთოდები.

ქალთა შორის მუშაობა სუსტია. არ ჩანს მათი მონაწილეობა სამ. პოლიტიკურ და კულტურულ მშენებლობაში.

რაიაღმასკომის მუშაობას ახასიათებს კლასიური ხაზის გამრუდება; დაბეგვრის დროს კულაკების ხაზი მოხვდა მრავალი საშუალო და ღარიბ მეურნეთა (219 კულაკურ მეურნეობიდან 83 აღმოჩნდა საშუალო და ღარიბი), რასაც შედეგად მოჰყვა ამ საშუალო და ღარიბ მეურნეობების ინდივიდუალური დაბეგვრა.

მეორე მხრივ, სისრულით არ არის გამომჟღავნებული ყველა კულაკური მეურნეობა, რის გამო ბევრმა კულაკმა თავი დააღწია ვალდებულებებს რამაც გამოიწვია დამზადებების (ხილი, ღვინო, ხორცი, სიმინდი, ყურძენი, აბრეშუმის პარკი და სხვ.) შეუსრულებლობა.

რაიონს არ მოეპოვება სათანადო კვალიფიკაციის მუშა - მოსამსახურეები და, საერთოდ, კადრების მომზადების საკითხი მოწესრიგებული არ არის.

არ ეწევა კონტროლი ტეხნიკურ კულტურების ნათესების გეგმის შესრულებას.

რაიონის საბჭოთა დაწესებულებები არ არიან უზრუნველყოფილნი ბინებით.

თუმცა საბჭოებთან არსებობენ სექციები, ღარიბთა ჯგუფები, მაგრამ მათი მუშაობა არსებითად არაფერში არ გამოიხატება.

საბჭოები ყურადღებას არ აქცევენ სოფლის კეთილმოწყობის საკითხებს (შეკეთება, გზების, ხიდების, სკოლების, შენობების მოწყობა, საექიმო პუნქტის, სამკითხველოს და სხვ.).

საბჭოებს არა აქვთ შედგენილი თავიანთი მუშაობის გეგმა.

მიწსახკომი, კოლმეურნცენტრი, ფოსტა-ტელეგრაფი და სახელმწიფო პროკურატურა ამ რაიონს არ უწევენ ცოცხალ ხელმძღვანელობას.

ცაკის პრეზიდიუმი იღებს რა მხედველობაში ჩხარის რაიონში წარმოებულ მუშაობის ყველა ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებს, ჩხარის რაიაღმასკომის მუშაობას სცნობს არადამაკმაყოფილებლად და ადგენს:

1. მთელ რიგ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ კამპანიების ჩაშლისა, გეგმების შეუსრულებლობისა და მუშაობაში დაშვებულ სხვა შეცდომების გამო. გადასინჯულ იქნას რაიაღმასკომის პრეზიდიუმის და აღმასკომთან არსებული სამ. საგადასახადო კომისიის მთელი შემადგენლობა.

2. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომს, რათა მან გააჯანსაღა თავისი აპარატის შემადგენლობა, და გარდაქმნა მისი მუშაობა იმ მიმართულებით, რომ ყველა სასოფლო საბჭოებთან დამყარებულ იქნას სისტემატიური კავშირი და ეწეოდეს სწორი, ცოცხალი ხელმძღვანელობა, სოფლის საბჭოების [illegible]ოსნობის გასაძლიერებლად პოლიტიკურ-კულტურულ - სამეურნეო ცხოვრებაში.

3. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომს, შემოიღოს მტკიცე გეგმიანი მუშაობა და გეგმის შესრულება დაწესებულ ვადებში, სისტემატიური ხასიათი მიეცეს როგორც აღმასკომის განყოფილებების, ისე რაიონის ფარგლებში მომქმედ ყველა საბჭოთა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობის პერიოდულად შესწავლა შემოწმებას და პრეზიდიუმის სხდომაზე მათ მოსმენას.

4. კოლმეურნეობრივ მშენებლობის დარგში: გაძლიერდეს ხელმძღვანელობა და სისტემატიური დახმარება არსებულ სას.-სამეურნეო არტელების მიმართ; მოხდეს მათი გაწმენდა კლასიურად უცხო ელემენტებისაგან: რეგულიარულად ხდებოდეს კოლმეურნეობათა მოხსენებების მოსმენა საბჭოს სხდომებზე; მოეწყოს ყველა კოლმეურნეობათა გადაყვანა სანარდო მუშაობაზე; გამომჟღავნდეს ყველა ცრუკოლმეურნეობანი, გაძლიერდეს მუშაობა საკოლმეურნეო მშენებლობაში ღარიბ და საშუალო გლეხობის ახალი კადრების ჩასაბმელად.

5. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომს, მოაწყოს ვადამდე გაწვევა საბჭოს ისეთი წევრების, რომლებიც მუშაობაში აქტივობას არ იჩენენ.

6. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომს დაუყოვნებლივ მიიღოს შესაფერისი ზომები, რათა თავის ვადაზე აუცილებლივ შესრულებულ იქნას ყველა სამეურნეო გეგმები, დავალებათა ზუსტად დაყვანით კულაკურ და შეძლებულ მეურნეობამდე.

7. გაიგზავნოს კომისია ჩხარის რაიონში უკანონოდ დაბეგრილი 83 ღარიბ და საშუალო გლეხების თავის უფლებებში აღსადგენად.

8. დაევალოს როგორც ჩხარის რაიაღმასკომს, ისე რაიონის სოფლის საბჭოებს, ერთი კვირის განმავლობაში ღარიბთა ჯგუფების და აქტიურ კოლმეურნეობების მონაწილეობით გადასინჯონ მოსახლეობის მთლიანი სია, იქ დაშვებულ შეცდომათა გამოსასწორებლად და გამოამჟღავნონ ნამდვილი კულაკური მეურნეობანი.

9. როგორც რაიაღმასკომმა, ისე სოფლის საბჭოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გზების და ხიდების შეკეთებას. პირველ რიგში შეკეთდეს ჩხარის რკინის გზასთან დამაკავშირებელი გზა, რისთვისაც დაუყოვნებლივ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული შრომითი ბეგარა.

10. მოსახლეობის ნებაყოფლობითი თვით დაბეგვრის საფუძველზე რაიაღმასკომისა და საბჭოების ხელმძღვანელობის გაწევით მოხდეს სკოლისა და ქოხ - სამკითხველოების უვარგის შენობების შეკეთება. უკვე დაწყებულ სასოფლო - სამეურნეო სკოლის დამთავრების შესახებ განსახკომმა დაჩქარებით მიიღოს სათანადო ზომები.

11. რაიაღმასკომმა სრული გარდატეხა უნდა მოახდინოს სექციების მუშაობაში, სადაც ჩაბმულ უნდა იქნეს საბჭოს ყველა წევრები, კანდიდატები და აგრეთვე საბჭოს არა წევრი აქტიური კოლმეურნეები და ღარიბი - საშუალო გლეხები.

12. დაევალოს სახკომსაბჭოს გამოჰყოს საჭირო თანხა ჩხარის რაიონის ორგანიზაციების ბინებით უზრუნველსაყოფად.

13. წინადადება მიეცეს ფინსახკომს, მიწსახკომს, კოლმეურნეობათა ცენტრს. ცაკის საორგანიზაციო განყოფილებას და ყველა ცენტრალურ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს — გააძლიერონ ხელმძღვანელობა რაიონზე.

14. მიეთითოს სახელმწიფო პროკურატურას ჩხარის რაიონში საპროკურატურო ზედამხედველობის სისუსტეზე.

დაევალოს რაიაღმასკომს გაუწიოს დახმარება ბინებით და გადასასვლელი საშუალებით სასამართლოს გამსვლელ სესიებს.

15. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომს და სოფლის საბჭოებს ეს დადგენილება დაამუშაონ თავიანთ სხდომებზე.

16. დადგენილება გამოქვეყნებულ იქნას პრესაში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—
ფ. მახარაძე

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი —
ს. თოდრია

1931 წ. ივნისი

ისევ აკადემიურ თეატრების შეფასების შესახებ*)

გაზ. „მოლოდოი რაბოჩი“-ს ა. წ. 26 მაისის №-ში დაიბეჭდა ამხ. ქ. გორდელაძის წერილი „როგორ არ უნდა შევაფასოთ ქართული აკადემიური თეატრები“. ავტორი ცდილობს გააკრიტიკოს ამ თეატრების ის შეფასება, რომელიც მოცემული იყო გაზ. „ზარია ვოსტოკა“, „კომუნისტი“ და „მუშა“-ში ჩემი ხელმოწერით მოთავსებულ სპეციალურ წერილში.

წერილში „როგორ არ უნდა შევაფასოთ ქართული აკადემიური თეატრები“—ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ ბრძოლა ქართული აკადემიური თეატრების გარშემო „ხშირად ღებულობს კინკლაობის, ინტრიგების, „პირადი ანგარიშების გასწორების ხასიათს და, რა თქმა უნდა, საკითხის რაიმე პრინციპიალურ კლასობრივ დასმაზე და თეატრალური პრობლემების მარქსისტულ გადაჭრაზე აქ ლაპარაკიც არ შეიძლება“. ამხ. ქ. გორდელაძის გამოსვლა აღვიძებს ამ არაჯანსაღ ატმოსფერას, რომელიც შექმნეს ქართული ინტელიგენციის მემამულურ-ნაციონალისტურმა და წვრილ-ბურჟუაზიულმა ჯგუფებმა, რითაც იგი ზურგს უმაგრებს ამხ. ამაღლობელის და სხვა მის მსგავსთა ტიპის ერთეულ ინტელიგენტ-პარტიელებს, რომელნიც მთელი წლების განმავლობაში უპრინციპო თეატრალური კინკლაობით იყვნენ გართულნი.

ამხ. გორდელაძის დიდი წერილი უფრო გამოხატავს წერილის ავტორის სრულიად არაშემთხვევით მერყეობას ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში.

ამხ. გორდელაძე ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს პირველ და მეორე აკადემიურ თეატრებს შორის. ისინი მისთვის „მხოლოდ თანამგზავრული“ თეატრები არიან. ჩვენ კი ვსცნობთ, რომ მათ შორის განსხვავება არის. საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებაში რუსთაველის სახელობის თეატრი წარმოადგენს ჩვენთან უფრო მახლობელ, მემარცხენე-თანამგზავრულ თეატრს, ხოლო მეორე თეატრი, რომელსაც რეჟ. მარჯანიშვილი ხელმძღვანელობს მემარჯვენე-ოპორტუნისტულ თეატრს. ჩვენ ვწერდით, რომ „თეატრი (რუსთაველის სახელობის) თავისი რევოლიუციონური დადგმებით მტკიცედ დაადგა ნამდვილად საბჭოთა თეატრის გზას, მაშინ, როცა მეორე სახელმწიფო თეატრი, რომელსაც მარჯანიშვილი ხელმძღვანელობს, ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ბურჟუაზიულ-თეატრალური შემოქმედების რეციდივებისაგან, თეატრალური ფორმების ესტეტიზმისაგან“.

რა მოსაზრებები წამოაყენა ამხ. გორდელაძემ ჩვენი შეფასების წინააღმდეგ? ჩვენმა კრიტიკოსმა შეუკურთხა რუსთაველის სახელობის თეატრს, თავაზიანად თავი დაუკრა მეორე სახ. თეატრს და მის ხელმძღვანელს მარჯანიშვილს, რის შემდეგაც იგი გაიძახის: „რას წარმოადგენს თეატრი, რომელსაც მარჯანიშვილი ხელმძღვანელობს? ჯერ-ჯერობით მხოლოდ თანამგზავრულ თეატრს. ამხ. ამაღლობელმა გადაჭარბებით შეაფასა ეს თეატრი, როცა განაცხადა, რომ იგი მემარცხენე - თანამგზავრულ თეატრს წარმოადგენსო“.

მე-2 სახელმწიფო თეატრი, მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით, არ არის მემარცხენე-თანამგზავრული თეატრი. ასეთი მანდატი თეატრს შეუძლიათ მისცენ მხოლოდ ამხ. ამაღლობელის მსგავსმა „შინაურმა“ კრიტიკოსებმა, რომელნიც დაბრმავებულნი არიან შინაურული მეგობრობის და სიძულვილის ობიექტიური კრეტინიზმით. ჩვენ გადაჭრით უარვყოფდით ამხ. ამაღლობელის მიერ მოცემულ შეფასებას.

მე-2 სახელმწიფო თეატრი ჯერ ისევ რჩება მემარჯვენე-ოპორტუნისტულ თეატრად, რამდენადაც მან ვერ შესძლო თანამიმდევრობით და გადაჭრით გარდაქმნილიყო როგორც იდეოლოგიურად, ისე მხატვრული სტილის მხრით. „მხოლოდ“ თანამგზავრები ბუნებაში არ არსებობენ. ლიტერატურის, ხელოვნების, სამეცნიერო ფრონტის დარგში მოიპოვებიან მემარჯვენე და მემარცხენე თანამგზავრები; ეს უკანასკნელნი ჩვენ მოკავშირეებად ხდებიან.

მე-2 სახელმწიფო თეატრი ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს მემარჯვენესაც, თანამგზავრულსაც, ე. ი. მემარჯვენე-ოპორტუნისტულ თეატრს. მემარჯვენეს იმიტომ, რომ ორი წლის განმავლობაში (1928-30 წ.) თეატრის სცენა დატვირთული იყო ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული, პროლეტარიატისადმი მტრული კლასობრივი იდეოლოგიით (პიესები და დადგმები „ბეატრიჩე“, „კაკალ გულში“, „ყაჩაღი არსენა“, „სამი ბღენძი“, „ბაილ“, „წმინდა ქალწული“ და სხვ.), ხოლო მხატვრული სტილის თვალსაზრისით თეატრის შემოქმედებით ფორმებში დღესაც ბატონობს ამხ. ამაღლობელის და გორდელაძის მიერ ცუდად დაფარული ბურჟუაზიული ესთეტიზმი და ინდივიდუალიზმი, რომელიც გამოუსადეგარია რევოლიუციონური იდეოლოგიისა და თემატიკის გაფორმებისათვის და რომელიც გამოხატავს ბურჟუაზიული კლასების გემოვნებას და განწყობილებას. თანამგზავრული ეს თეატრი იმიტომაა, რომ მან მაინც დასდგა პროლეტარული მწერლების რამდენიმე რევოლიუციონური პიესა „როგორ“, „რელსები გუგუნებენ“ და განსაკუთრებით „პოემა ფოლადის შესახებ“, „პური“).

ამხ. გორდელაძეს ჰგონია, რომ რევოლიუციას გააჩნია „მხოლოდ თანამგზავრები“ ხელოვნებაში, მაშინ, როცა ცხოვრება აუცილებლად, მუდმივად ახდენს თანამგზავრების დიფერენციაციას.

ფორმულა „მხოლოდ თანამგზავრები“ ჩქმალავს თანამგზავრების იმ დიფერენციაციას, რომელიც ხდება მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების მუშაკთა შორის. ცნობილია, რომ რეკონსტრუქციის პერიოდში გაშლილი სოციალისტური შეტევა მთელ ფრონტზე, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიურ დარგში, არამედ კულტურულ იდეოლოგიურ ფრონტზედაც, აუცილებლად იწვევს თანამგზავრების დიფერენციაციას,—იგი საუკეთესო ელემენტებს რევოლიუციის მხარეზე იზიდავს, ყველა ცუდ, ჩვენდამი კლასობრივად მტრულ ელემენტებს კი უკუაგდებს რევოლიუციის მტრების ბანაკში. ამიტომ ჩვენი ეპოქა თანამგზავრს ახალ მოთხოვნებს უდგენს, სხვანაირად აყენებს თანამგზავრობის საკითხებს. თუ რეკონსტრუქციის პერიოდის დადგომამდე პარტიული პოლიტიკა ანსხვავებდა და ჰყოფდა თანამგზავრობას მემარცხენე და მემარჯვენე ფლანგებად, ახალმა პერიოდმა პირდაპირ დასვა მემარჯვენე თანამგზავრების წინაშე გზის არჩევანის საკითხი. თანამგზავრობის გუშინდელი პოზიციები დღეს არა თუ საკმარისი არ არიან, არამედ მტრულიცაა ჩვენ მიმართ. დღეს თანამგზავრი ის არის, ვინც აირჩია პროლეტარულ რევოლიუციასთან თანმიმდევარი, პრაქტიკული და შემოქმედებითი თანამშრომლობის გზა. [illegible] თანამგზავრისათვის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. გუშინდელი თანამგზავრიდან მემარცხენე თანამგზავრად, რევოლიუციის მოკავშირედ—ასე სდგას ამოცანა.

ამგვარად, ჩვენი რევოლიუციის ახლანდელი ეტაპი ახდენს გუშინდელი თანამგზავრების დიფერენციაციას. გამოიყოფიან ახალი ელემენტები; ჩნდებიან ისეთი პირები; ჯგუფები და მიმართულებანი; რომელნიც ცდილობენ დადგნენ ნამდვილად თანამგზავრულ ანუ მემარცხენე-თანამგზავრულ პოზიციებზე. მეორე კატეგორიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ მე-2 სახელმწიფო თეატრი მისი რევოლიუციონური დადგმების წყალობით („პოემა ფოლადის შესახებ“, „კომუნა ველში“), თუმცა თეატრის ხელმძღვანელმა, მარჯანიშვილმა, არ უწყის, „როგორ და საით მიდის თეატრი და სად უნდა მივიდეს იგი“ (მარჯანიშვილის სიტყვიდან პლეხანოვის სახელობის კლუბში, 1930 წ.). თქვენ, ამხ. გორდელაძევ, თუ არ „სამსახურისათვის“, მეგობრობისათვის დაეხმარეთ თეატრს, ხოლო ამისათვის საჭიროა არა რევერანსი, არამედ მხატვრული ფაქტების მარქსისტული კრიტიკა.

ასეთია ცხოვრების დიალექტიური წინააღმდეგობა; არ უნდა დავივიწყოთ, რომ დიალექტიკა თეატრებსაც უდგება. რა თქმა უნდა, თეატრს ნამდვილ საბჭოთა თეატრის გზაზე დააყენებს, ე. ი. მემარცხენე-თანამგზავრულ თეატრად გადააქცევს არა ამხ. ამაღლობელის და მის მსგავსთა აპოლოგია, არამედ შეურიგებელი მარქსისტული კრიტიკა და ულმობელი ბრძოლა ბურჟუაზიული ესთეტიზმის გამოხატულების წინააღმდეგ.

ამხ. გორდელაძე სწერს: „რუსთაველის სახელობის თეატრი ჯერ კიდევ არ დამდგარა მტკიცედ ნამდვილ საბჭოთა თეატრის გზაზე და საეჭვოა დადგეს მანამდე, სანამ არ განთავისუფლდება ნაციონალური გეზისაგან. ეს თეატრი დღემდე მხოლოდ თანამგზავრულ თეატრად რჩება“. ეს პოლიტიკური შეფასება თითქო „მემარცხენულად“ გამოიყურება, მაგრამ იგი ნამდვილად თავიდან ბოლომდე წინააღმდეგობითაა აღსავსე. ისე გამოდის, რომ რუსთაველის სახელობის თეატრი ნაციონალისტურია, ვინაიდან იგი „არ განთავისუფლდება ნაციონალისტურ გეზისაგან“, მაგრამ იგი მაინც „დღემდე მხოლოდ თანამგზავრულ თეატრად რჩება“. მაშასადამე, რუსთაველის სახელობის „ნაციონალისტური“ თეატრი ცხადდება თანამგზავრულად! არა იშვიათი სანახაობაა! ვერასოდეს, ვერავითარ პირობებში ნაციონალისტური გეზის მატარებელ ან, რაც იგივეა, ნაციონალისტურ თეატრს ჩვენ არ შეგვიძლია ვუწოდოთ თანამგზავრული თეატრი. მაგრამ გორდელაძეს შეუძლია მემარჯვენე-ოპორტუნისტულად, მეტაფიზიკურად განმარტოს თანამგზავრის ცნება, რადგან მას არა გაეგება ამ ცნების ახალი შინაარსი, მას შეუძლია ყველა ლიტერატურულ-სამხატვრო მიმართულებანი, თვით ნაციონალისტური მიმართულებითაც, დამშვიდებით გამოაცხადოს თანამგზავრულად.

ჩვენ ვთვლით, რომ რუსთაველის სახელობის თეატრი ამჟამად დაადგა ნამდვილად საბჭოთა თეატრის გზას, მემარცხენე თანამგზავრობის გზას. ამის [illegible] თეატრის რეპერტუარი და მხატვრული სტილი. თეატრის სცენის იდეოლოგიურ გეზს განსაზღვრავს არა „ლამარა“, არამედ ისეთი რევოლიუც. პიესები და დადგმები, როგორიცაა „რღვევა“, „რელსები გუგუნებენ“, „ქარავა ქალაქი“, „ყამირი“, „ანზორ“, „განგაში“, „სამნი“ და სხვ. რუსთაველის სახელობის თეატრი წარმატებით ცდილობს გამოიმუშაოს ახალი მხატვრული სტილი. აი რას სწერდა ამ საკითხის გამო გაზეთი „რაბოჩი ი ისკუსტვო“: „რუსთაველის სახელობის თეატრი ბრძოლას უცხადებს ძველ ფსიქოლოგიურ თეატრს, უარჰყოფს ყველა მის კანონებს, ჰქმნის თავის ახალ კანონებს და ამ გზაზე აღწევს ერთ გამარჯვებას მეორეზე, თამაშობს მის მიერვე დაწერილი თეატრალური ნოტებით“.

ამხ. გორდელაძეს ავიწყდება, რომ ამხ. სტალინის დიალექტიური ფორმულა პროლეტარული კულტურის, როგორც ფორმით ნაციონალური, ხოლო შინაარსით ინტერნაციონალური კულტურის შესახებ, უნდა წარმოადგენდეს მეთოდოლოგიურ საწყისს საბჭოთა თეატრის მშენებლობაში. რუსთაველის თეატრი „ანზორის“ დადგმაში მიუდგა ამ პრობლემის გადაჭრას. სასაცილოა, რომ არა ვსთქვათ—უვიცობაა, იმის მტკიცება, თითქო თეატრის გაგებით შურისძიება წარმოადგენს ანზორის რევოლიუციონერობის ფაქტორს და რომ ეს რევოლიუციონერობა ამოცანად ისახავდეს „მისი შეურაცყოფილი ღირსების რეაბილიტაციის“ ამოცანას.

აქ ამხ. გორდელაძე ამჟღავნებს სპექტაკლის უცოდინარობას, უფრო სწორად, იგნორირებს ზოგიერთი უსაქმური პირის ჭორებს. მთიელთა მეიარაღეულ აჯანყებას ამზადებენ და ქალაქიდან ხელმძღვანელობენ ბოლშევიკები, და ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ანზორი ყველაფერს გაიგებდეს, მას უკვე აბრალებენ ბოლშევიკებთან კავშირს (პირველი აქტი), ასე რომ მისი აქტიური გადასვლა რევოლიუციის მხარეზე კანონზომიერად დასაბუთებულია და ლოღიკურად გამომდინარეობს მთელი მისი, როგორც საშუალო გლეხის, სოციალური მდგომარეობიდან.

ამ სპექტაკლის, როგორც რევოლიუციონური სპექტაკლის, ღირებულება, როგორც ეს აღიარა მოსკოვის, ხარკოვის და თბილისის პროლეტარულმა საზოგადოებრიობამ, იმაში მდგომარეობს, რომ რუსთაველის სახელობის თეატრმა სრულიად სხვანაირად გადასჭრა მასიური სცენების პრობლემა. „მასა“ აქ მთლიანი კოლექტივია, რომელიც ცოცხლობს რევოლიუციით, კონტრ-რევოლიუციაზე გამარჯვებით; აქედან—თეატრის გადასვლა ინდივიდუალურ გმირობიდან კოლექტივის გმირობაზე. შედეგი—თეატრის საშუალებებით ინდივიდუალური და კოლექტიური საწყისის პრობლემის წარმატებით გადაჭრა. მაგრამ ეს რევოლიუც. თემატიკა თეატრმა გაშალა ნაციონალურ ფორმებში, და თუ მთიელ გლეხ-ქალის ლეკური გამოყენებულია იმ ამოცანის გადასაჭრელად, თუ ვინ უნდა დაწვეს ჯავშნიანი მატარებლის ქვეშ, თუ კენჭის ყრის ეს ძველი ჩვეულება გამოყენებულია დადებითი მიზნებისათვის, რატომ უნდა ეწოდოს ამას კლასობრივი მოვალეობის დავიწყება? კლასობრივი მოვალეობა მთიელ პარტიზანებს ესმით, როგორც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კონტრ-რევოლიუციასთან. და ამ მოვალეობას ისინი ანხორციელებენ იმ ფორმებით, იმ სახეებით, რომლებიც მათთვის გასაგები და ნაცნობია,—ეს სავსებით ბუნებრივი და სავსებით კანონზომიერია.

პარტიზანებს სიკვდილის არ ეშინიათ. პირველი ეჭვი გამოწვეულია არა შიშით, არამედ იმის სურვილით, რომ მოკვდნენ მხოლოდ „თოფით ხელში“, „მოცეკვავე ქალი“ მთიელთა ჩვეულებების ფორმაა, მაგრამ ის არ წააგავს ვარიეტეს ბალერინას დადგმიდან „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, რომლის გეზსაც ტაშს უკრავს ამხ. გორდელაძე. რელსებზე წვება და ჯავშნიანი მატარებლის ქვეშ კვდება არა ჩინელი, არამედ ერთ-ერთი მთიელი პარტიზანი. ტყუილად გვგონიათ, რომ კრიტიკისათვის საჭიროა თეატრკრიტიკის ფანტაზიაც.

„პრავდა“ 1930 წლის 27 ივნისის ნომერში „ანზორ“-ის შესახებ წერდა: „ანზორი“ ისეთი სპექტაკლია, რომელიც სავსებით თავსდება ფორმულაში „ფორმით ნაციონალური, შინაარსით პროლეტარული“.

რუსთაველის სახელობის თეატრს აქვს სერიოზული იდეოლოგიური გარღვევები („ლამარა“, „პროტესტი“). ნაციონალისტური პიესის „ლამარა“-ს დადგმა არის ნაციონალიზმის გამოხატულება, გადახრა ნაციონალიზმისაკენ. ჩვენ აღვნიშნავდით თეატრის ამ ნაციონალისტურ გადახრას და ვწერდით, რომ საჭიროა „დაუზოგავი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ნაციონალიზმის, ყველა წვრილ ბურჟუაზიული ტენდენციების წინააღმდეგ. განა ესაა შემარიგებლური დამოკიდებულება ნაციონალიზმთან?

მაგრამ საქმე თურმე ამაში როდია. საკითხი ეხება არა თეატრალურ-შემოქმედებით ფაქტებს, არამედ ნაციონალ-შოვინიზმის პოლიტიკურ ქადაგებას. ამხ. გორდელაძე სწერს:

„არ შეიძლება ასეთი ლიბერალური პოლიტიკური შეფასება მივსცეთ მოყვანილ ფაქტებს“.

რომელ ფაქტზეა აქ ლაპარაკი?

თურმე რეჟისორი ახმეტელი მოსკოვში ქადაგებდა ნაციონალ-შოვინიზმს. დიდი ხანია ეს იცის ამხ. გორდელაძემ? რატომ არ არის აქამდის გამოაშკარავებული ეს ნაციონალურ-პოლიტიკური ქადაგება? ამხ. გორდელაძეს არა ერთხელ გაუკეთებია მოხსენება ინტელიგენციის კრებებზე და როგორ მოხდა რომ მას დაავიწყდა ეს ნაციონალიზმის ქადაგება?

ერთი წელიწადია, რაც ამხ. გორდელაძე იცნობს იმ დოკუმენტს, რომელსაც ეწოდება „რუსთაველის სახელობის თეატრის ხელმძღვანელის რეჟ. ახმეტელის იდეოლოგია“ და რომელიც დართული აქვს ამხ. ამაღლობელის განცხადებას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დოკუმენტი აქამდის არ გამოქვეყნებულა, რადგან, როგორც ეტყობა, საქმე [illegible]. მხოლოდ ეხლა გამოჩნდა იგი ამხ. გორდელაძის წერილში.

მაგრამ აქ ლაპარაკია არა ამ აბდაუბდაზე, — ეს კიდევ საჭიროებს შემოწმებას,—არამედ იმ მხატვრულ-შემოქმედებით ფაქტებზე, რომლებსაც ჰქმნის არა მარტო რეჟისორი ახმეტელი, არამედ თეატრის მთელი კოლექტივი საბჭოთა საზოგადოებრიობის (სამხატვრო-პოლიტიკური საბჭო) აქტიური მონაწილეობით.

ეს მხატვრული ფაქტები (რეპერტუარი, თეატრალური ფორმები) საერთოდ მემარცხენე თანამგზავრულად ხდიან თეატრს.

ამხ. გორდელაძე ფიქრობს, რომ ნამდვილი საბჭოთა თეატრის გზაზე დადგომა ნიშნავს საბჭოთა თეატრის გადაქცევას პროლეტარულ თეატრად. მისთვის გაუგებარი დარჩა, რომ ჩვენს წერილში სიტყვებში „იგი დაადგა ნამდვილ საბჭოთა თეატრის გზას“ გულისხმობენ მემარცხენე თანამგზავრულ თეატრს. მან ვერ გაიგო, რომ ჩვენ არ გვითქვამს ხელაღებით, თითქოს თეატრი უკვე გადაიქცა ნამდვილ საბჭოთა თეატრად, რომ ასეთი ფორმულა—რასაკვირველია, მეტად პირობითად—მოყვანილ იქნა იმისთვის, რომ ხაზი გაგვესვა თანამგზავრის ახალი გეზებისათვის ხელოვნების სფეროში.

ჩვენ ვსწერდით, რომ მეორე სახელმწიფო თეატრსაც შეუძლია დაადგეს ნამდვილ საბჭოთა თეატრს, ე. ი. მემარცხენე თანამგზავრული თეატრის გზას; ამხ. გორდელაძემ კი გადასწყვიტა, რომ მეორე სახელმწიფო თეატრი შეიძლება გახდეს პროლეტარული: საკითხის ისე დაყენება მოწმობს, რომ ავტორს სრულიად არ ესმის ახალი პროლეტარული თეატრის მშენებლობის ამოცანები. არა თუ ახლო მომავალში, არამედ საერთოდ ეხლანდელ ეტაპზე ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია ამ ორი ქართული აკადემიური თეატრის გადაქცევა პროლეტარულ თეატრად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მუშათა თვითმოქმედ თეატრში, რომელიც წარმოადგენს პროლეტარული თეატრალური შემოქმედების ბაზას (მუშა-ახალგაზრდობის თეატრი, მუშათა კლუბები, მუშათა დრამატიული წრეები და სხვ.), მზადდებიან ახალი მუშაკები, რომელნიც გამოსჭედენ ახალი ტიპის რეჟისორს, მსახიობს, მხატვარს. სწორედ აქ მზადდებიან პროლეტარული საზოგადოებრიობის მხატვრულ-იდეოლოგიური ელემენტები. და ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ უყოველმხრივ განვავითაროთ ეს მოძრაობა. შემთხვევითია თუ არა ეს?

ყოველი მიუდგომელი მკითხველისათვის აშკარაა ქ. გორდელაძის წერილის მიზანი: რუსთაველის სახ. თეატრისათვის სახელის გატეხა, მეორე სახელმწიფო თეატრის გამოცხადება რევოლიუციონურ თეატრად, რომელსაც აქვს მხოლოდ ცალკე დეფექტები და „სუსტი ადგილები“.

ისმება კითხვა: შემთხვევითია თუ არა ის გარემოება, რომ ამხ. გორდელაძე სათანადო კრიტიკის გარეშე, კრიტიკის, რომელიც საჭირო და სასარგებლოა თვით თეატრისათვის, დაჟინებით იცავს იმ თეატრის შემოქმედებით გზას, რომელსაც მარჯანიშვილი ხელმძღვანელობს და რომელიც არსებითად არის მემარჯვენე თანამგზავრული თეატრი, დაავადებული ბურჟუაზიული ესთეტიზმის რეციდივებით?

არა, ეს არ არის შემთხვევითი.

თუ გავიხსენებთ, რომ არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ამხ. გორდელაძე საკმაოდ დაბნეული იყო სალიტერატურო პოლიტიკის და პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედებითი გზების საკითხებში, რამაც რომ ვსთქვათ, შემარიგებლურ დამოკიდებულებას იჩენდა სირცოვ-ლომინაძე-დოლობერიძის ბლოკის სალიტერატურო აგენტურისადმი (ტატულოვის მომხრეები), ავითარებდა ისეთ შეხედულებებს, რომლებიც ეხმაურებოდნენ „ლიტფრონტს“, თუ გავიხსენებთ შემდეგ, რომ სწორედ ეს თვალთმაქცური მემარჯვენე-„მემარცხენე“ ბლოკი კულტურულ ფრონტზე ახორციელებდა მემარჯვენე ხაზს, იცავდა „აშკარა მემარჯვენე ელემენტებს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის შიგნით და ბურჟუაზიულ-რეაქციონურ ფენებს ქართულ ლიტერატურაში“ (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის პირველ ნოემბრის დადგენილებიდან), თუ გავიხსენებთ ყოველივე ამას, აშკარა გახდება—რომელი არსენალიდან აქვს აღებული ამხ. გორდელაძეს არგუმენტაციები იმ თეატრის არარევოლიუციონერობის შესახებ, რომელსაც მარჯანიშვილი ხელმძღვანელობს, ვინაიდან ლიტფრონტელთა „რომანტიზმიდან“ არც ისე შორსაა მეორე ქართული აკადემიური თეატრის ბურჟუაზიულ-ესთეტიური შემოქმედებით კონცეპციამდე. ეს არის თანამგზავრობის ოპორტუნისტული გაგება, ინტელიგენციის ძველი გვარდიის იდეალიზაცია ამხ. გორდელაძის მხრით.

გორდელაძის „თეორიით“, „სამეცნიერო მუშაკთა ძველი გვარდია წარმოადგენს სამეცნიერო ფრონტის ძირითად კაპიტალს. ეს კაპიტალი იქნება საფუძველი, რომელზედაც ჩვენ განვახორციელებთ მეცნიერებათა, სამეცნიერო ძალთა და სამეცნიერო კადრების ფართო რეპროდუქციას“ (ამხ. გორდელაძის მოხსენებიდან საქართველოს სამეცნიერო მუშაკთა მეორე ყრილობაზე).

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ძველი გვარდიის თეორია წარმოადგენს მეორე სახელმწიფო თეატრის იმ აპოლოგიის საფუძველს, რომელსაც მიმართავს ამხ. გორდელაძე.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავუშვათ საბჭოთა თეატრალური მიმართულებების შეჯიბრება და არა ერთ-ერთი მათგანის მონოპოლია, ვიხელმძღვანელოთ სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის კრიტერიუმით და ამავე დროს ვეცადოთ, რომ შეჯიბრებამ მიგვიყვანოს იმ სოციალური ამოცანების რაც შეიძლება სავსებით და ნაყოფიერად შესრულებამდე, რომელნიც გაშლილი სოციალისტური შეტევის პერიოდში დასმულნი არიან საბჭ. თეატრის წინაშე. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის იარაღით ვაწარმოოთ დაუზოგავი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ნაციონალიზმის, ბურჟუაზიულ-თეატრალური ფორმების წინააღმდეგ თეატრალური შემოქმედების სფეროში, გავატაროთ ეს კრიტიკა ამხანაგურ ფორმებში და ამით ხელი შევუწყოთ საბჭოთა თეატრალური შემოქმედების რევოლიუციონურ გარდაქმნას.

ან. ბედია.

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

გარდავქმნათ აგურის ქარხნების მუშაობა ახალ ტეხნიკურ საფუძველზე

ამხ. ა. მელიას გამოგონება ტეხნიკურ რევოლიუციას ახდენს აგურის მრეწველობაში

მისი სისტემის პრესი 8 საათის განმავლობაში იძლევა 60.000 ცალ აგურს მაშინ, როდესაც მსოფლიოში ცნობილი „დორნბუში“-ს პრესი უშვებს მხოლოდ 25.000 ც.

ტეხნიკური რევოლიუცია აგურის მრეწველობაში

გაშლილი სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირში სწარმოებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშენებლობის საამშენებლო მასალის უზრუნველყოფას.

როგორც ყველასათვის ცნობილია, ძირითად საამშენებლო მასალას წარმოადგენს აგური.

თუ რამდენად დიდია და რამდენად იზრდება მოთხოვნილება აგურზე, ამას ნათელყოფენ შემდეგი ციფრები: 1927-28 წლის განმვლობაში საბჭოთა კავშირის აგურის მრეწველობამ დაამზადა ერთი მილიარდი 800 მილიონი ცალი აგური. ეს რაოდენობა 5 წლიან გეგმის უკანასკნელ 1932-1933 წლისათვის 10 მილიარდ ცალამდე უნდა გაიზარდოს.

ცხადია, რომ საამშენებლო აგურის დამზადების გადიდება ხუთწლიან გეგმით დაპროექტებულ რაოდენობამდე შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მთელი რიგი ახალი ქარხნების აგებით, სადაც წარმოების ყველა პროცესები იქნება მექანიზაციაქმნილი. გარდა ახალი ქარხნების აგებისა აგურის დამზადების გეგმის შესრულება შეიძლება ამჟამად არსებულ ქარხნების მექანიზაციის და რაციონალიზაციის გზით.

ჩვენი წარმოების გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს გამომგონებლობა. სწორედ ამიტომ არის, რომ პარტია და ხელისუფლება უდიდესად დიდ ყურადღებას აქცევენ გამომგონებლობის საქმეს.

საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა შორის თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ახალგაზრდა სტუდენტმა გამომგონებელმა ა. მელიამ, რომელიც არის ავტორი 8 გამოგონების, მათ შორის ჯერჯერობით ორმა მიიქცია, როგორც სამეურნეო ორგანოების, ისე საბჭოთა საზოგადოებრივობის ფრიად დიდი ყურადღება.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გავაშუქოთ მისი ერთ-ერთი გამოგონება, რომელსაც საამშენებლო მასალების მრეწველობაში უსათუოდ მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

სარეწაო კავშირის გამომგონებელთა ბიურომ ამხ. ალ. მაისურაძის ხელმძღვანელობით 14 ივნისს მოიწვია სპეციალური სხდომა, რომელსაც დაესწრნენ მეტად ავტორიტეტული სპეციალისტები. ამ სხდომაზე გამომგონებელმა მელიამ დაიცვა თავისი გამოგონების პროექტი, რომელსაც ხვდა ბრწყინვალე გამარჯვება. პროექტი იმდენად სწორად დამუშავებული იყო და თვით ავტორის მიერ ზუსტად დასაბუთებული, რომ სპეციალისტ-ექსპერტთა სხდომამ ერთხმად მოიწონა და დაამტკიცა იგი (აგურის მშრალი წესისა). კრებაზე გამოთქმული იქნა აზრი რომ მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები მანქანის საჩქაროდ დამზადებისათვის.

მშრალი წნეხვის უპირატესობამ აიძულა გერმანია, ამერიკა და სხვა სახელმწიფოები გადაეყვანათ აგურის წარმოება მშრალ წნეხვის მეთოდზე. მშრალი წნეხვა საამშენებლო მასალის საერთოდ და კერძოთ აგურისა არის წარმოების სრულიად ახალი სახე საბჭოთა კავშირში, მიუხედავად მისი დიდი უპირატესობისა, როგორც ტეხნიკური, ისე ეკონომიური ეფექტის მხრივ.

დღემდე მთელ კავშირში მხოლოდ ურალშია გადაყვანილი აგურის მრეწველობა მშრალ წნეხვაზე. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საბჭოთა სისტემის პრესი არ არსებობდა და ჩვენ გვიხდებოდა ამერიკული და გერმანული სისტემის პრესების გამოწერა, რაც მოითხოვდა ვალიუტის დიდ რაოდენობის დახარჯვას. ამიერიდან უკვე არსებობს პირველი საბჭოთა სისტემის პრესი, რომელიც გაგვანთავისუფლებს ამგვარი მანქანების იმპორტისაგან. მელიას სისტემის პრესი ბევრად სჯობს მსოფლიოში ცნობილ სისტემის პრესებს თავისი მოხერხებული კონსტრუქციით, რის დამამტკიცებლად საკმარისია შევადაროთ მელიას სისტემის პრესი გერმანულ და ამერიკულ სისტემის პრესებს: ამერიკული სისტემის პრესი „რიდელ“, „სპეციალი“ უშვებს 8 საათის განმავლობაში მაქსიმალურად 15 ათას ცალ აგურს. გერმანული სისტემის პრესები — „დორსტენი“, „ბერგერი“ უშვებენ 15-18 ათას 8 საათის განმავლობაში; მსოფლიოში ცნობილი „დორნბეში“-ს სისტემის პრესი 8 საათის განმავლობაში უშვებს 25.000 ცალს; მელიას სისტემის პრესი კი 8 საათის განმავლობაში ნორმალურად გამოუშვებს 60.000 ცალ აგურს. გამომგონებელ მელიას ეს სარეკორდო მიღწევა აიხსნება მისი პრესის სრულ ავტომატიურობით და დროის ზუსტი მათემატიკური გამოყენებით.

ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება გამომგონებელ მელიასი დადასტურებულია ისეთი ავტორიტეტების მიერ, როგორიც არიან: პროფესორი გედევანიშვილი, პროფ. პიტკევიჩი, ინჟ. არუთინოვი და ცნობილი ინჟ. ტეხნოლოგები ფიცხელაური, ვალკი და მასლიკი, რომლებმაც ერთხმად მოიწონეს გამოგონება და მის მნიშვნელობას მისცეს კიდევ უფრო ფართე ხასიათი, რადგან დღემდე არ არსებობს მსოფლიოში ეგზომ დიდი პროდუქციის მომცემი პრესი.

მიუხედავად გამოგონების დიდ მნიშვნელობისა, ახალგაზრდა გამომგონებელს მრავალი წინააღმდეგობები ჰხვდებოდა, სანამ სარეწაო კავშირის გამოგონებათა ბიურომ განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქცია და არ უზრუნველჰყო გამომგონებელი ყოველგვარი საშუალებებით, რის გამო გამოგონების პროექტის დამზადება და დამტკიცება შესაძლებელი გახდა სრულიად მცირე დროის განმავლობაში. გამომგონებელის თხოვნით მთელი მასალები გადაგზავნილ იქნა საამშენებლო მასალათა საკავშირო საგამოკვლეო ინსტიტუტში დასკვნისათვის, ინსტიტუტი დამატებით კიდევ უდასტურებს ავტორს მის მიღწევას და მნიშვნელობას მანქანისას საამშენებლო მასალათა დამზადების საქმეში. ინსტიტუტი აღნიშნავს, რომ მელიას მანქანა, გარდა აგურის დამზადებისა, შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალი საამშენებლო მასალის დამზადებისათვის, როგორიც არის თერმობეტონი და თბო-ბეტონი, რომლებიც ამჟამად იჭერენ საბჭოთა კავშირში მეტად თვალსაჩინო ადგილს საამშენებლო მასალათა შორის. დასკვნაში აღნიშნულია, რომ მელიას გამოგონება საშუალებას გვაძლევს შევწყვიტოთ ამგვარი მანქანების იმპორტი მით უფრო, რომ მელიას პრესი საზღვარგარეთის პრესებთან შედარებით უკეთეს შედეგს იძლევა.

სარეწაო კავშირს მიღებული აქვს ყოველგვარი ზომები მელიას სისტემის პრესის დამზადებისათვის. მანქანა შეკვეთილი იქნება საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ სპეციალურ ქარხანაში. ამხ. მელია ივლისის პირველ რიცხვებში იგზავნება მოსკოვში, რათა საკავშირო ს.მ.უ.ს.-ში დასმულ იქნას გამოგონების საკავშირო მასშტაბით გამოყენების საკითხი. სარეწაო კავშირის ბიუროს მიერ მიღებულია ზომები გამოგონების საზღვარგარეთ დასაპატენტებლათ.

სარეწაო კავშირის გამოგონებათა ბიურო.

გადავლახოთ ბიუროკრატიული დაბრკოლებები

ლოზუნგი ტეხნიკის დაუფლების შესახებ მასიური ხდება და ხორცს ისხამს. პარტიისა და ხელისუფლების დახმარებით და ხელმძღვანელობით მასები დაიძრენ ტეხნიკის დაუფლებისაკენ. ამის მაჩვენებელია მუშების საქმიანი წინადადებები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი განვითარებისათვის. დღეს რომ ყველა გამომგონებელს ფართო გზა აქვს გახსნილი მოქმედებისათვის — ეს უდაოა. მაგრამ ზოგი დაწესებულება - ორგანიზაციის მესვეურებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ ამ უდიდესი ამოცანის მნიშვნელობა, რითაც საგრძნობ დაბრკოლებას უქმნიან გამომგონებლებს თავის მუშაობაში. მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო იმ დაბრკოლებებზე და პირობებზე, რომელშიაც კერძოთ მე მიხდებოდა ჩემი გამოგონების განხორციელება.

1930 წლის ივნისის პირველ რიცხვებში მე საშუალება მომეცა შემედგინა პირველი გამოგონების ნახაზები, რის შემდეგაც ერთი ამხანაგის რჩევით მივმართე საქ. ს.მ.უ.ს.-ის გამომგონებლობის ბიუროს. გამოგონება 9 თვე იდვა უძრავათ ბიუროში, სადაც მან განვლო ყველა ბიუროკრატიული საფეხურები და ბოლოს მიიღო სასურველი ფორმალური სახე. ვრწმუნდები რა, რომ პირველი გამოგონება იძლევა სასურველ შედეგებს, ვამუშავებ მეორეს, მხოლოდ უკვე სიფრთხილით, რადგან ეჭვი მეპარება მის განხორციელებაში. პირველი გამოგონების გაჭიანურების გამო მთელი ამ ხნის განმავლობაში იძულებული ვხდები სისტემატიურად ვიარო ს.მ.უ.ს.-ში გამოგონების გატარების დასაჩქარებლად. მთელი ჩემი დრო ამას უნდებოდა და მეცადინეობას ვეღარ ვასწრებდი.

ამავე ხანებში შევუდექი მესამე გამოგონებას, რომელსაც ვადგენ „საქართველოს ჩაის“ გამომგონებლობის ბიუროში (ჩემ მიერ გამოგონილი მანქანა შეკვეთილი იყო 26-ის სახელობის ქარხანაში, საიდანაც გამოშვებული იქნა ივნისის ბოლო რიცხვებში) უკვე ვხედავ, რომ მეცადინეობისათვის საგრძნობი დრო გავაცდინე. გადავწყვიტე ინსტიტუტის დატოვება მთელი წლით. სამაგიეროდ სრული იმედი მქონდა, რომ გავიმარჯვებდი გამომგონებლობის დარგში. მესამე გამოგონების შემდეგ ნათესავი წინადადებას მაძლევს გამოვიგონო რაიმე სამეურნეო იარაღი. ასეთი დავაპროექტე კიდეც. მხოლოდ უკვე აღარ მაქვს ფიზიკურად საშუალება ვხელმძღვანელო სამუშაოებს, რომელიც მეტად დიდ ენერგიას მოითხოვს. სათანადო ორგანოები კი ნაკლებ მონაწილეობას იღებენ ამ საქმეში. ყოველივე ამის შემდეგ ვკითხულობ „მეცნიერება და ტეხნიკის“ 1930 წლის იანვრის ნომერში წერილს აგურის მშრალ წნეხვის შესახებ. ამ წერილმა ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. მიუხედავად სიძნელეებისა, მაინც ვიჩენ ჯიუტობას და ვცდილობ ჩემი გამოგონება გამოვიყენო საშენი მასალის მრეწველობისათვის. მივმართე სარეწაო კავშირს, რომელიც ენტუზიაზმით ხვდება ჩემ წინადადებას. დაუყოვნებლივ ამხ. მაისურაძის განკარგულებით მომეცა სათანადო თანხები. აქვე ხელმძღვანელობას მიწევს ბიუროს ხელმძღვანელი ამხ. პაიჭაძე და მართლადაც 14 ივნისს საღამოს სპეციალურ სხდომაზე წილად მხვდა ერთი წლის დახარჯული ენერგიის აღდგენა და გამარჯვება. ასე ამგვარად სარეწაო კავშირმა გამიწია დიდი დახმარება და ხელმძღვანელობა. ამჟამად როდესაც პროექტი დამზადებულია, მრავალ ორგანიზაციებმა მიაქციეს მას ყურადღება.

ამ წერილში მე მოკლეთ დავახასიათე ის სიძნელეები, რომლებიც განვლო ჩემმა გამოგონებამ. მოუწოდებ ყველა გამომგონებლებს ნუ შეუშინდებიან დაბრკოლებებს და მტკიცეთ განაგრძონ მუშაობა. ყველა გამომგონებელმა, ყველა სპეციალისტმა და მუშებმა უნდა შეიგნონ ტეხნიკის დიდი მნიშვნელობა და იბრძოლონ მისი დაუფლებისათვის.

„რეკონსტრუქციის პერიოდში ტეხნიკა სწყვეტს ყველაფერს“ (სტალინი). ამიტომ მოუწოდებ ყველა გამომგონებლებს მედგრად იბრძოლონ ტეხნიკის დაუფლებისათვის. დაბოლოს ვალად ვრაცხ თავს მადლობა გამოუცხადო სარეწაო კავშირის თავმჯდომარე ამხ. მაისურაძეს, რომელმაც უდიდესი დახმარება გამიწია.

ალ. მელია.

სრ. საქ. პოლიტეხნიკური ყრილობა

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია და პოლიტეხნიკური განათლება

ამხ. სევ. მინდაძის მოხსენება

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და პოლიტეხნიკური განათლების შესახებ ვაკეთებულ მოხსენების პირველ ნაწილში ამხ. მინდაძემ აღნიშნა, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინური ცეკას სწორი ხელმძღვანელობით ჩვენ დიდი წარმატებით ვანვითარებთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობას. ჩვენში წარმატებით ვითარდება სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია. ჩვენ უკვე შევედით სოციალიზმის პერიოდში. ამხ. სტალინის ლოზუნგი „შევისწავლოთ ტეხნიკა, დავეუფლოთ მეცნიერებას“ დღეს უკვე დღის წესრიგშია დასმული და მისი განხორციელება წარმატებით სწარმოებს. ამბობენ თითქოს ძნელი იყოს ტეხნიკის დაუფლება. ასეთი რწმუნება ტიპიური ოპორტუნისტული ჩმახვაა და მეტი არაფერი. „არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღებაც ბოლშევიკებს არ შეეძლებათ. „ჩვენ შევიძლებთ ტეხნიკის დაუფლებისათვის არსებული სიძნელეების გადალახვასაც. წარსულში ჩვენ უფრო დიდი სიძნელეები დავძლიეთ და ეს იმის საწინდარია, რომ მომავალშიაც ვერაფერი დააბრკოლებს სოციალიზმის ძლევამოსილ მსვლელობას.

„მესამე ფრონტი“ აღარ არსებობს

სოციალიზმის მშენებლობის წინაშე მდგარ ამოცანათა ბოლშევიკურად გადაწყვეტა წარმოუდგენილია ისე, თუ არ მოხდა კულტურული მუშაობის საფუძვლიანი გარდაქმნა, მისი გადახალისება. დღეს ჩვენ კიდევ უფრო მკაფიოდ ვგრძნობთ ლენინის იმ დებულების სიმართლეს, სადაც იგი ამბობდა, რომ მთავარი, რაც ჩვენ გვაკლია — ეს კულტუროსნობაა.

სოციალიზმის შეტევა მთელ ფრონტზე მაშინ მოგვცემს დადებით შედეგს, თუ ეს შეტევა მართლაც მთელი ფრონტით და მათ შორის კულტურული ფრონტითაც იქნება გაშლილი.

დღეს კულტურ. ფრონტი აღიარებულია არა მესამე ფრონტად, არამედ სადღეისო ბრძოლის ასპარეზად. თუ ჩვენ კულტურულ ფრონტს დღესვე არ მივაქციეთ სათანადო ყურადღება და დავაგვიანეთ მისი ამოცანების გადაწყვეტაში, ამით შესაძლებელია დაბრკოლდეს მთელი ფრონტით დაწყებული სოციალისტური შეტევის განვითარების საქმე.

კულტურული მშენებლობიდან გამომდინარე ამოცანათა მნიშვნელობის შესახებ. ლენინი პარტიის მე-11 ყრილობაზე ამბობდა, რომ სრულიად საკმარისია ეკონომიური პოლიტიკური საშუალებები მტკიცე სოციალისტური აზსოგადოების შესაქმნელად. მხოლოდ საამისოდ არ გვყოფნის კულტუროსნობა, ცოდნა. მართლაც დღეს უკვე ყველასათვის ცხადი გახდა, ის დაშორება, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში სოციალისტურ მშენებლობის განვითარებასა და მასების კულტურულ-ტეხნიკური ჩამორჩენილობას შორის.

სოციალისტური შეტევისათვის ჩვენ გვჭირდებიან ახალი კადრები. საჭირო ხდება კულტურულ-ტეხნიკური ჩამორჩენილობის სასწრაფო ლიკვიდაცია, მასების კომუნისტურად აღზრდა და ამისათვის აუცილებელია საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელება და პოლიტეხნიკური განათლება.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებას ჩვენ უკვე შევუდექით. ეს უდიდესი მიღწევაა. ეს არის კულტურული რევოლიუციაში მიღებული უდიდესი გამარჯვება. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა საყოვ.-სავალდ. სწავლების განხორციელების გეგმა ჩვენ უკვე შევასრულეთ 96,5 პროცენტით.

პოლიტეხნიზმი ინდუსტრიალიზაციის მძლე იარაღია

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, ახალი ფაბრიკების, ქარხნების ამუშავება, კოლმშენებლობის მძლავრად განვითარება, საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა რადიკალურად სცვლიან ადამიანთა გამომუშავების ფსიქოლოგიას. აქ უკვე სდგება საკითხი ახალი ადამიანის მომზადების შესახებ და ეს უპირველეს ყოვლისა, არის მარქსისტული პედაგოგიკის საქმე.

ახალი კადრების მოსამზადებლად საჭირო ხდება ჩვენი სკოლების მასიური გადახალისება, მათი გადაყვანა პოლიტეხნიზმის საფუძველზე. პოლიტეხნიზმისათვის ბრძოლა ნიშნავს ბრძოლას ყოველმხრივად მომზადებული კადრებისათვის. ეს არის მხოლოდ და მარტო სახალხო განათლების ორგანოების საქმე. ესაა საერთო სახელმწიფოებრივი საქმე, პარტიის, პროფკავშირების და ყველაზე უწინ სამეურნეო ორგანიზაციების საქმე.

მიმდინარე წლისათვის, საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს ცნობით საჭიროა 320.000 მომზადებული კვალიფიციური მუშა. არსებულ საფაბრიკო-საქარხნო სკოლები კი ამ მოთხოვნილებებს მხოლოდ 20 პროცენტით ფარავენ. საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების შესახებ უარესი მდგომარეობაა.

სკოლების პოლიტეხნიზაციის მნიშვნელობა უფრო ცხადი იქნება, თუ გავიხსენებთ იმ ზარალს, რომელსაც ნახულობს სახალხო მეურნეობა მხოლოდ იმიტომ, რომ წარმოებაში ჩაბმული არიან არა კვალიფიკაციის მუშები. პოლიტეხნიზმის განხორციელებით ჩვენ შევიძლებთ სახალხო მეურნეობის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებას.

პოლიტეხნიზაციაქმნილ სკოლებში შრომის ორგანიზაცია ისე უნდა მოეწყოს, რომ მოზარდების ინტერესი არ იქნეს ჩახშული, მათთვის უნდა იქნეს მოწყობილი სახელოსნოები, ლაბარატორიები და სხვა.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა პოლიტეხნიზაციაქმნილ სკოლაში შრომის ორგანიზაციის დაყენებაზე და აღნიშნა, თუ რა პრინციპებით უნდა იხელმძღვანელონ პედაგოგებმა სკოლებში შრომის პროცესების მოწესრიგებისას.

მარქსი და ლენინი პოლიტეხნიზმის შესახებ

სკოლების პოლიტეხნიზაციის საკითხი არ არის ახალი საკითხი. ჯერ კიდევ 1866 წელს სკოლების პოლიტეხნიზაციის შესახებ საკითხი დასვა კარლ მარქსმა. იგი ამბობდა, რომ წარმოუდგენელია მომავალი საზოგადოების შექმნის იდეალის დასახვა ისე, თუ სწავლა და საწარმოო შრომა ერთიმეორესთან შეთანხმებით არ შეითვისა მოზარდმა თაობამ.

ლენინი სწერდა, რომ აღზრდისა და სახალხო განათლების საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენება შეუძლია მხოლოდ ისეთ სკოლას, რომელსაც შექმნის პროლეტარიატი, ასეთი სკოლა კი იქნება—სოციალისტური სკოლა.

1920 წელს კომკავშირის ყრილობაზე ლენინმა განაცხადა, რომ სწავლებაში გადადგმული თვითეული ნაბიჯი უნდა გამომდინარეობდეს იმ ვარაუდიდან, რომ ხელი შეუწყოს მშრომელთა განთავისუფლებას კაპიტალისტების ექსპლოატაციისაგან. „ჩვენშიო,—სწერდა ლენინი,—სწავლა - განათლება უნდა დავაყენოთ ისე, რომ იგი ხელს უწყობდეს მუშათა და გლეხთა შრომის გაადვილებას“.

მარქსი და ლენინი სწერდენ, რომ უნდა მოვამზადოთ ხალხი, რომელთაც ექნებათ არა მარტო განსაზღვრული სპეციალობა, არამედ, რომლებიც ამასთანავე იქნებიან კულტუროსნები. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ისეთი სპეციალისტები, რომელთაც გარდა სხვადასხვა ტეხნიკური საქმეების ცოდნისა, ექნებათ საერთო საზოგადოებრივი და პოლიტიკური განათლებაც. ჩვენ ეხლა უკვე აღარ გვჭირდება ისეთი სპეციალისტები, რომელთაც ზრდიდა ძველი სკოლა.

სკოლის პოლიტეხნიზაცია, ეს უპირველეს ყოვლისა არის მისი დაკავშირება წარმოებასთან. ჩვენში ამ მხრივ ჯერჯერობით არ შეგვიძლია კიდევ ვსთქვათ, რომ ბევრი მიღწევები გვაქვს. მართალია, სწარმოებს სკოლების მიმაგრება ქარხნებზე, ფაბრიკებზე და სხვ., მაგრამ ეს საქმე ჯერჯერობით სათანადო სიმაღლეზე ვერ დავაყენეთ. ჩვენ უსათუოდ მოგვიხდება, რომ გარდავქმნად არა მარტო სკოლა, არამედ მოვამზადოთ პედაგოგიური ძალებიც. ის პედაგოგი, რომელიც უკვე შეეჩვია ძველ სკოლაში მუშაობას, ადვილად ვერ შეიძლებს პოლიტეხნიზაციაქმნილ სკოლაში მუშაობას, თუ იგი სათანადოთ არ გადავამზადეთ. მასწავლებელი ჩვენში არის სოციალიზმის აქტიური მშენებელი, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენს მასწავლებლობაში მოიპოვება რეაქციონური ნაწილიც, (თუმცა ძალიან მცირე) რომელნიც მტრულ განწყობილებაში არიან სკოლების პოლიტეხნიზაციის საქმესთან.

პოლიტეხნიზაციის საქმის მდგომარეობა

სკოლების პოლიტეხნიზაციის საქმის მდგომარეობა ჩვენში არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. მხოლოდ საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედი და კოლმეურნე ახალგაზრდათა სკოლების პოლიტეხნიზაცია გვაძლევს ერთგვარ მიღწევებს და ჩვენ ამ მხრივ მნიშვნელოვანი შედეგებიც გვაქვს.

კოლმეურნე ახალგაზრდათა სკოლები მიმაგრებული არიან სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე ან ადგილობრივ კოლმეურნეობებზე. კოლმეურნეთა ახალგაზრდობის სკოლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ თვით კოლმეურნეობის მუშაობაში, მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც სკოლაში ასწავლიან ერთს, ხოლო კოლმეურნეობაში კი პრაქტიკულად ამუშავებენ სულ სხვა საქმეზე.

როდესაც უფრო დაწვრილებით გავეცანით კოლმეურნეთა ახალგაზრდობის სკოლების მუშაობას, ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ ამ მხრივ კიდევ ბევრი დეფექტები გვაქვს. კოლმეურნეობებში უკვე შემოღებულია შრომის ახალი მეთოდები და ფორმები, ხოლო სკოლის ახალგაზრდობას ამის შესახებ წარმოდგენაც არ აქვს. ამ სკოლებში თეორია ერთია, პრაქტიკა მეორე: ეს ქმნის ერთგვარ საშიშროებას, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ ამთავითვე უნდა მივიღოთ გადამჭრელი ზომები.

ერთ-ერთმა ქარხანამ სავალდებულო-საყოველთაო სწავლებისა და პოლიტეხნიზაციის გატარების კამპანიისას სათანადო კავშირი დაამყარა შესაფერის სკოლასთან. მოსწავლეები დადიოდენ ქარხანაში პრაქტიკაზე, მათ მიჩენილი ჰყავდათ ინსტრუქტორი, აძლევდენ იარაღებს და ხელსაწყოებს და გამოდიოდა ისე, რომ თითქოს პოლიტეხნიზაციის საქმე ამ ქარხანაში და სკოლაში კარგათ იყო დაყენებული, მაგრამ ბოლოს ქარხნის ადმინისტრაციამ აიღო და ისეთი ანგარიში წარუდგინა სკოლას, რომ ყველა განცვიფრებაში მოვიდოდა. ქარხანაში პრაქტიკის გავლისათვის, იარაღების და ხელსაწყოების ამორტიზაციისათვის, ქარხანამ თავის ხარჯები იანგარიშა 1.500 მანეთის რაოდენობით და მოსთხოვა სკოლას, რომ ეს თანხა გადაეხადა.

გორის რაიონში სკოლასთან სახელოსნოების მოსაწყობად შედგენილი იქნა ხარჯთაღრიცხვა, რომლის თანახმადაც თვითეულ სკოლასთან სახელოსნოს მოსაწყობათ უნდა დახარჯულიყო 10.000 მანეთი. ფინსახკომის სპეციალისტებმა განიხილეს ეს საკითხი და იფიქრეს, რომ ეს თანხა ძალიან დიდი იყო და ამიტომ აიღეს და წაშალეს სამი ნოლი, ე. ი. თვითეულ სკოლასთან სახელოსნოს მოსაწყობათ 10 ათასი მანეთის მაგიერ, დასტოვეს 10 მანეთი.

სამტრედიის დეპოს უფროსმა, როდესაც მას წინადადება მისცეს, რომ მიმაგრებული სკოლის მოსწავლეები მიეღო საწარმოო პრაქტიკაზე, განაცხადა: „კაცო რა, მოწაფეების საქმეა ქარხანაში მოსვლა და მუშაობა. ხელს შეგვიშლიან და რად გინდათ, რომ წარმოება ამით დავაბრკოლოთო“.

ასეთივე გულგრილ დამოკიდებულებას ადგილი აქვს მთელი რიგი ორგანიზაციების მხრივ. უპირველეს ყოვლისა, რათაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა დავსძლიოთ ასეთი გულგრილობა, სკოლების პოლიტეხნიზაციის საქმის ოპორტუნისტული შეუფასებლობა და უნდა გავილაშქროთ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც აბრკოლებს კულტურულ ფრონტზე წამოჭრილი ამ დაკვრითი ხასიათის ამოცანის გადაწყვეტას.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ კიდევ ვერ შევძელით შესაფერისად პოლიტეხნიზმის პრინციპების პოპულიარიზაცია. ამ საქმის ინიციატორებათ უნდა გამოსულიყო ჩვენი მასწავლებლობა, მაგრამ მასწავლებლობა საამისოდ არაა მომზადებული.

უზრუნველვყოთ სკოლები სახელმძღვანელოებით.

სკოლების პოლიტეხნიზაციის მოსახდენად ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს ახალი სახელმძღვანელოების მომარაგების საქმე. ჯერ-ჯერობით პოლიტეხნიზაციაქმნილ სკოლებისათვის ჩვენ არ მოგვეპოვება შესაფერისი სახელმძღვანელოები, მაგრამ ამ საქმეში უსათუოდ უნდა ჩავაბათ გამოცდილი მასწავლებლობა და ეს საქმე დაკვრითი წესით უნდა შევასრულოთ. ამ მხრივ საყურადღებოა ის გამოცდილება, რომელიც მიღებულია მოძმე რესპუბლიკებში. რუსეთის ზოგიერთ რაიონებში გამოყოფილი ჰყიან მასწავლებელთა ბრიგადები, რომლებსაც მიენდოთ პოლიტეხნიზაციაქმნილ სკოლებისათვის სახელმძღვანელოების კოლექტიურად შედგენა. ანალოგიური მუშაობა უნდა ჩატარდეს საქართველოშიაც და ჩვენ ამ მხრივ შესაფერისი ნაბიჯების გადადგმა არ უნდა დავაყოვნოთ.

ბრძოლა ორ ფრონტზე მთავარი პირობაა პოლიტეხნიზაციის ჩასატარებლად.

პოლიტეხნიზმის პრინციპების სახალხო განათლების სისტემაში ფართოდ შეტანა, მოითხოვს ორ ფრონტზე ბრძოლის ბოლშევიკურად წარმოებას. პოლიტეხნიკური განათლების საკითხზე მოწვეულმა სრულიად რუსეთის ყრილობამ აღნიშნა, რომ პოლიტეხნიზმის განხორციელების საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ გადამახინჯებებს და შეცდომებს. ჩვენი მუშაობის პრაქტიკაშიაც, გამომჟღავდნენ ისეთი პიროვნებები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ უნდა მოხდეს სკოლისა და ქარხნის სრული გაერთიანება, რომ სკოლების იმ ჯგუფებში, სადაც საწარმოო შრომის შემოღება შეუძლებელი ხდება, მოსწავლეთა სინორჩის გამო, არ იქნება შესაძლებელი პოლიტეხნიზმის პრინციპების შეტანა. ასეთი არის „მემარცხენეთა“ „აზრი“. ჩვენი მთავარი შეტევა წარმართული უნდა იქნეს იქეთ, რომ ნიღაბი ავხადოთ სიტყვით პოლიტეხნიზმის მომხრეებს, მხოლოდ საქმით კი მის წინააღმდეგ მომუშავეებს. ბევრს ლაპარაკობენ წარმოებებზე, მაგრამ ნაბიჯებს არ სდგამენ იმისათვის, რომ შეისწავლონ წარმოება, რომ მოსწავლეობა ჩააბან საწარმოო შრომაში. ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ სკოლების პოლიტეხნიზაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ინდუსტრიალურ ქალაქებში და ისეთ სოფლებში, სადაც გამოყენებულია მაღალი ტეხნიკა. ამ ამხანაგებს, რასაკვირველია, ავიწყდებათ, რომ პოლიტეხნიკური განათლება არის არა მარტო ტეხნიკის პროგრესის შედეგი, არამედ ინდუსტრიალიზაციის მთავარი იარაღიც.

თუ ჩვენ არ გავილაშქრეთ ყოველგვარ მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრების წინააღმდეგ, თუ ჩვენ ვერ შევსძელით ორ ფრონტზე ბრძოლის შესაფერისად გაშლა, ეჭვს გარეშეა, რომ სკოლების პოლიტეხნიზაციას დავაყენებთ უდიდესი საფრთხის წინაშე. ორ ფრონტზე ბრძოლა მთავარი პირობაა კულტურული რევოლიუციის გამარჯვებით დაგვირგვინებისათვის და პარტიის გენერალური ხაზის სწორი გატარებისათვის კულტურული მშენებლობის საქმეში.

დასასრულ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სკოლების პოლიტეხნიზაციის გატარებისას ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული დამკვრელობა და სოციალისტური შეჯიბრება. დამკვრელობასა და სოცშეჯიბრებაში უნდა იქნენ ჩაბმული ყველა ორგანიზაციები დაწყებული სკოლებიდან და გათავებული მსხვილი სამეურნეო ორგანიზაციებით.

ამხ. მინდაძის მოხსენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა განათლების სახ. კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. გ. გოგუაძის მოხსენება სკოლების პოლიტეხნიზაციის მსვლელობის, პერსპექტივებისა და ფორმების შესახებ.

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოთ

ქალაქ თბილისის კომენდანტი იუწყება მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ 2 ივლისს, საგარნიზონო სასროლო მოედანზე მლაშეების მიდამოებში იწარმოებს ზარბაზნებიდან სროლა და უვარგის ყუმბარების აფეთქება, ხოლო 3 და 4 ივლისს, იქვე იწარმოებს ზარბაზნებიდან სროლა.

თბილისის ფარმაცევტული ტეხნიკუმის კურსდამთავრებულთა სია

აბულაძე ვანდა, ანანიაშვილი სოფიო, ანთაძე ქეთევანი, ბუხაიძე მარიამი, გაბისონია მარგარიტა, გენებაშვილი ბარბალე, გიგაური ელენე, გოგოძე ბაბილინა, გრიგორიევი ეფრემი, დანელია ლიუბა, მდოლაბერიძე მარიამი, დუნდუა ქეთევან, ელიავა რუსუდანი, მარგალიტაძე თამარი, მაჭარაშვილი ანა, მაჭავარიანი ნინო, ნიგორნაია ვერა, ოქრომჭედლოვა ნატალია, უზნაძე ელენე, სალუქვაძე გერონტი, ქორფაშვილი ნინო, ქუნთელია თინათინი, ფიცხელაური მირიამი, ფირცხალავა ვარლამი, ყანჩაველი ოლღა, შულლაძე მარიამი, ჩლაჩიძე ეკატერინე ძამიაშვილი ანა და სიხაშვილი იოსებ.

სხვადასხვა

— **წერა-კითხვის დეკადის** საუკეთესოდ ჩატარებისათვის ხონის წერა-კითხვის სარაიონო გამგეობამ მიიღო ცენტრალური გამგეობისაგან გარდამავალი დროშა. ცენტრალური გამგეობის წინადადებით ხონის გამგეობამ საზოგადოებრივ ბუქსირზე აიყვანა ქუთაისის და ზესტაფონის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სარაიონო გამგეობები.

— **ა.-წ. 8 ივნისს, საღამოს 7 საათზე,** განათლების მუშაკთა სახლში ფუცელაძის ქ. № 3. (ყ. ლაკოუბნის ქ.) მოწვეულია „ბავშთა მეგობარი“-ს საზოგადოების თბილისის საბჭოს პლენუმი უჯრედის მდივნებთან და აქტივთან ერთად.

◆ **ანაკლიის საბავშო სანატორიუმი.** საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულ ანაკლიის საბავშო სანატორიუმის საამშენებლო კომისიის თავმჯდომარე ამხ. შ. ლეჟავა ინჟ. ბუზოლისა და ხუროთმოძღვრის კოლჩინის, კურორტოლოგის კონიაშვილის და სავეგმო კომისიის წარმომადგენელ გავაშელთან ერთად 4 ივლისს მიემგზავრება ანაკლიაში, სადაც საძირკველი ჩაეყრება აღნიშნულ სანატორიუმს.

— **ბუნების მეტყველთა კაბინეტის მუშაობა.** დღეს, 2 ივლისს, საღამოს 8 საათზე, მეორე შრომის სკოლაში დანიშნულია ქართული სექტორის მუშაობა. გასარჩევია ახალი პროგრამები

ხელოვნება

წითელი არმიის ქართული თეატრი

სამხედრო ბანაკებში მუშაობის შემდეგ წითელი არმიის ქართული თეატრი აწყობს მასსიურ გამოსვლებს ტფილისის მუშათა კლუბებში. რეპერტუარი: „პირველი ცხენოსანი“—ვ. ვიშნევსკის, „სამი ეპოქა“—პ. ულენტის და კირშონის „პური“ გადმოქართულებული შ. დადიანის მიერ. 1-ლი წარმოდგენა წავა ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში 6 ივლისს დაიდგმება „სამი ეპოქა“.

ხანძარი ქუთაისში

28 ივნისს ღამით წყალსადენის ქუჩაზე № 13 კირის ქარხნის უფროს მუშის ავთანდილ ბურჯანაძის სახლს გაუჩნდა ცეცხლი. დაიწვა ორი თვალი სახლი თავის სამზარეულოთი. ცეცხლმა იმსხვერპლა 13 წლის ბავში. ორი სხვა ბავში საგრძნობლად დაშავდა. ცეცხლის გაჩენის მიზეზს არკვევენ.

ვ. ლ—ი

დიდი სეტყვა ალპანაში

ალპანა, 30 ივნისი (საკ. კორ.) ს. ალპანაში მოვიდა დიდი სეტყვა, რომელმაც გასტანა 28 წუთს. განადგურებულია ვენახები და ნათესები. ზარალი ირკვევა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **კატეგორიული წინადადება ეძლევათ ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს** დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს კადრების განყოფილებაში დღეს, 2 ივლისს, დილის 10 საათზე: უჯრედების მდივნებმა უზრუნველჰყონ მათი გამოცხადება: ცაგარეიშვილი (საქ. წყალთა მეურნ. სამმართველო), გ. მრტიაშვილი (საქ. ვაჭმემომარაგების ყოფ. მუშა), ს. გამყრელიძე (საშეფო საზ. ყოფ. მუშა). ა. კოპაძე, ადამ გელაძე, ალ. გელანთია, ივ. კოპეშავიძე, ერ.. განციანი, ხაჩატურ ბარსეგოვი, მანუკ პაპიკიანი. ალ. სტეფანოვი.

—:—

— **საქ. კ.პ. (ბ) თბ. კომიტ. კადრების განყოფილება** წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს, სასწრაფოდ გამოცხადდნენ ც. კ-ს კადრების განყოფილებაში ამხ. ავეტისოვთან (მე-3 სართული, ოთახი № 41): კოსაშვილი (მუშფაკი). ს. კულიბეკოვი, დ. ტიპილაშვილი და ტ. ხაბაზაშვილი (რკ. გზის ფოსტის უჯრედი), ე. ვალიშვილი, მ. თედეიშვილი და დ. თაბიევი (ალმასკომის უჯრედი), ვ. შავდახოვი (ჯანსახკომი). ვ. ვალიევი, ნ. გასიევი, ი. ჯიოევი და დ. ტიხოევი (ბალბოსტანკავშირი). ზ. ბესტავაშვილი (არტელი „იმედი“), რ. კობეროვი, ა. კოკოევი („სოიუზხლებ“), ზ. ს. ბესტალაშვილი (ალმასკომი). პ. გოგაევი (ალმასკომი). გ. გიგოლაევი (გამასწორებელი სახლი), ა. ტიბილოვი.

—:—

მოხსენების ჩასატარებლად კოოპერაციის საერთაშორისო დღის შესახებ კლუბებში გამოყოფილი არიან შემდეგი ამხანაგები: სტალინის სახ. კლუბში—ერისთავი („ზაქსოიუზი“), ორჯონიკიძის სახ. კლუბში — ჭეიშვილი (ცეკავშირი), პლეხანოვის სახ. კლუბში—ბზეკალავა („ზაქსოიუზი“), ტრამვაელების კლუბში—ქურდაძე (მუშკოოპი), მაჩაიძის სახ. კლუბში — ძაგანია („ზაქსოიუზი“), ვოროშილოვის სახ. კლუბში—ბოლქვაძე (ცეკავშირი), მშენებელთა კლუბში —ღიბრაძე (ცეკავშირი), ნარიმანოვის სახ. კლუბში—სიხარულიძე (მუშკოოპი), მეტყევეთა კლუბში — ბეჟანოვი („ზაქსოიუზი“), წყალსადენის სახელოსნოს კლუბში—დუგლაძე, სარეწაო კავშირის კლუბში—ჭავჭანიძე (ცეკავშირი).

—:—

დღეს, 3 ივლისს, საღამოს 7 საათზე, საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს ცენტრალური გამგეობის ბინაზე (შ. ჩიტაძის ქ. № 2) დანიშნულია „წერა-კითხვა“-ს ტფილისის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა. ქვემოდდასახელებულ პირთ სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ: მდივანი ა., ბოკერია, მაჩიტაძე, ქსოვრელი, ლურსმანიშვილი, ჟვანია ნადეჟდა, გრიაჟიბოვსკი, ნამიჩეიშვილი, კირტაძე, ხარიმანოვი, სვანიძე, საგათელოვი, გულქასიანი, მურადოვი, ბეგოტკინა, მახაბელი, კაპანელი, ტერტეროვი. ვართაპეტოვი, სანაძე, თევზაძე, ვარძიგულოვი, გევორქოვა, გველესიანი, იზუმში, კარგალაჯევა, სონღულაშვილი, ჩიჩუა მიხეილ, ელეზნიაკ, ვარლამოვა, ბაბაევი, სტურუა, ფანცულაია, ბრეგვაძე, ისაკიანი, რუხაძე, მესხი სართანია, მალალაშვილი, ივანიანი, დონდუა, გედევანიშვილი.

საზაფხულო ეთერი (სახ ოპერის ბაღში)
დასაწყისი 7 20. 9. 10-40.
განსაკუთრებული მხატვრული ფილმი
— მიწა —
ავტორი-რეჟისორი ნ. დოვჟენკო.

საზაფხულო დ ა რ ბ ა ზ ი
1 სეან დასაწ 9 ს., 11—10 ს. 45 წ.
ახალი მხატვრული ფილმი
ჯაგამონი
რეჟ. შპიკოვსკის დადგმა.

„უკრაინფილმ“-ი ტრესტის ნაწარმოები.

როზა ლუქს. სახ. კინო (ყ. მინიონი)
1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.
ახალი მხატვრული ფილმი
ადამიანი და მაიმუნი
რეჟისორი ი. ვ ნიცკი.

სტალინის სახ. კლ. კინო (ყ. პალასი)
1-ლი სეანსის დასაწყის 7 საათზე.
ახალი მხატვრული ფილმი
ცხოვრება ხელში
ავტორი-რეჟისორი დ. მარიან.

თბილისის ქალაქის დასუფთავების ტრესტი

აცხადებს ქალაქის საცხოვრო სამრეწველო სადგომების მოიჯარადრეთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 1-ლ ივლისიდან ისინი ვალდებულნი არიან

საიჯარო ქირასთან ერთად შეიტანონ კომ. მეურნ. საიჯარო-საექსპლოატაციო განყოფილებაში [illegible] და სანიტარული მომსახურეობისთვის

ნაგვის გაზიდვა) საიჯარო ქირის 5% რაოდენობით. სადგომებში მოთავსებულ დაწესებულებები, რომლებთანაც დადებულია ხელშეკრულება იმ თანხის რაოდენობით რა თანხაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებაში (თბ საბჭ გ/წ 5 9—№ 53 დადგენილება)

1 ლ ივლისამდე მათზე დარჩენილი დავალიანება კი გასტუმრებულ უნდა იქნეს ა/წ. 15 ივლისამდე უშუალოდ ტრესტთან. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადაეცემა სასამართლოს.

ქალაქის დასუფთავების ტრესტის დირექცია.
ნ. 1373

სრ. საქ. სოცდაზღვევის კომიტეტი

აცხადებს მრეწველობის ხელმძღვანელ დარგების მუშების და აგრეთვე ინდუსტრიალურ მუშების საყურადღებოთ, რომ მიღებულია სხვა და სხვა ვადის შეღავათიანი სასანატორიო ბილეთები: აბასთუმნის, ცაგვერის, კობულეთის და ბორჯომის.

მუშები იხდიან ამ სასანატორიო ბილეთის ღირებულების მხოლოდ 50 პროც.-ს [illegible] ათი თვის განმავლობაში. მოთხოვნილებები სასანატორიო ბილეთების შესაძენათ წარდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სოციალური [illegible] სექტორში (მუშათა სასახლე, ოთახი № 6) არა უგვიანეს 1931 წ. 15 ივლისისა.

სასანატორიო ბილეთები მიეცემათ მხოლოდ იმ მუშებს, რომელთაც ესაჭიროებათ სათანადო საკურორტო მკურნალობა თანახმად [illegible] და სხვა სათანადო სამკურნალო პროფილაქტიური დაწესებულებების დასკვნებისა, რომელი ცნობებიც წარდგენილი უნდა იქნეს მოთხოვნილებებთან ერთად

ნ. 1378 სრ. საქ. სოცდაზღვევის კომიტეტი.

ი. ი. ზერიშვილი
ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისისა და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყ. „ნოე“-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 5—1 2

დ. ლ. თევზაძე
დაავადება: ყურის, ყელის და ცხვირის მეტყველების და ხმის მოშლა ბრონქოეზოფაგოსკოპია. ტარდება წამლობის ფიზიოთერაპევტ. მეთოდებით. ჭონქაძის (ყოფ. გუდოვიჩის) ქუჩა, № 9. მიღება: საღ. 5 7 საათზე გარდა კვირა დღეებისა. ტელ. 24—38
25—12 511g

ტერ-ოვაკიმოვი
სპეციალურად სიფილისის და სქესობრივი ფუნქციონალური მოშლილობა, სქესობრივი ნევრასტენია, ფსიქოტერაპია. მიღ. დილით 10½ სათ.—12 საათ., საღ. 6—8 საათამდე ა/კ ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22.
13—1 2950

ნ. [illegible]
თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. (ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან

წინადადება ეძლევა

საწარმოო დაწესებულებათა ადმინისტრაციას და ყველა ორგანიზაციის გამგეობებს წარმოადგინონ

წინასწარი განაცხადი

მესამე გადამწყვეტი წლის სესხის ობლიგაციების მისამაგრებლად საჭირო სტატისტიკური ცნობებით განაცხადი წარდგენილი უნდა იქნას იმ საკრედიტო დაწესებულებაში (შემნახველი სალარო. სახელმწიფო ბანკი, კომუნალური ბანკი), სადაც საწარმოო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივები აფორმებენ ხელის მოწერას.

განაცხადი შედგენილი უნდა იქნას ხელის მოწერის ფურცლების მიხედვით, რომელთაც ადმინისტრაციათა გამგეობა მიიღებს და [illegible] კომისიები აგან.

განაცხადის ფორმა ადმინისტრაციამ (გამგეობამ) უნდა მიიღოს იმ საკრედიტო დაწესებულებაში, რომელიც გააფორმებს მის ხელისმოწერას.

ტფილისის საფინგანი.
ნ. 1379

სტალინის სახელ. კლუბის საზაფხულო კინო
(ყოფ. პალასი)
დღეიდან, 2 ივნისიდან
უკრაინის კულტურის [illegible]
ახალი მხატვრული ფილმი
„უკრაინფილმ“-ის ტრესტის ნაწარმოები
ცხოვრება ხელში
ავტორი-რეჟისორი დ. მარიან.
მთ. როლებში: ს. იაკოვლევა, ფერდინანდოვი, იავორსკი და სხვ. ნ 1377

მათემატიკოსი უმაღლესი ცენზით, სტაჟი 1910 წლიდან ამზადებს
მათემატიკაში
მოწაფეებს ყველა ტიპის სკოლებში: უმაღ., ტეხნიკ., მუშფ., მუშ. უნივერ. შესასვლ. ღებულობს უცოდინარებსაც და ასწავლის
არითმეტიკის
მთელ კურსს მოკლე ხანში საბუხჰალ. კურს. მისაღებად. ასწორებს აგრეთვე სუსტ მოწაფეებსაც პლეხანოვის გამზირი № 25. (შესავალი ჩერნიშევს 5, ალექსის ქ კუთხიდან), 9—1 ს. 2—7 ს.
3—1 54[illegible]8

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ ძნელაძის ქუჩა (ყოფ საპიორის) 19 ღებ. დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 15—24

გ. ნ. ონანოვი
სიფილისი. ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრ. სისუსტის მკურნალობა ავადმყოფთა მიღ. დილით 9—11 ს საღ. 5—8 ს. კლარა ცეტკინის ქ (ყოფ ელისაბედის) № 3.

ს. ა. დიშელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები
სახის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მეჭეჭებს, სიწითლეს, პოროების გაფართოებას, ეგზემას, [illegible], თმის გაცვენას, ქერტლს და სხვ. მესანგრეთა ქ. № 22.
13—1 5464

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად

სამხედრო წიგნაკი მიხაილ მელიტონის ძე თოფურიას.	5468
კავშირის წიგნაკი ვერა ყანჩაველის.	უფ.
საანგარიშო წიგნაკი ვერა ყანჩაველის.	უფ.
შემნახველ სალაროს წიგნაკი ვერა ყანჩაველისა.	უფ.
მუსიკალურ სასწავლებლის მოწმობა ვერა ყანჩაველის.	უფ.
დაბადების მოწმობა ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძის.	545
ზემოხეთის 7 წლედის მოწმ. № 14 ვალოდი თავაძის.	5463
სამხედრო წიგნაკი ნიკოლოზ გელაშვილის.	5452
სამხედრო წიგნაკი ონისიმე დონლაძესი.	5452
სამხედრო წიგნაკი ალექსანდრე ნოზაძესი	5452
სამხედრო წიგნაკი № 868 პეტრე შარიქაძესი.	5452
სამხედრო წიგნაკი გიორგი დეკანოსიძესი.	5452
„ეპოს“ წიგნაკი № 4680 იორდანე გოგოლაძესი.	5453
საპენსიო წიგნაკი № 26 ისაია სოფრომაძესი.	5453
სამხედრო წიგნაკი ვლადიმერ ხარატიშვილის.	5453
„ეპოს“ წიგნაკი № 1394 დიმიტრი ბერუაშვილისა.	5453
კოოპერატივის წიგნაკი გიორგი კაპანაძესი.	5453
პურის წიგნაკი და კოოპერატივის წიგნაკი ალექსი ქიმერიძესი	5453
პირადი მოწმობა № 3/11 ილია ვეთხვაძესი	5454
სამხედრო წიგნაკი ნიკოლოზ ჭყონიძესი.	5454
სამხედრო წიგნაკი გიორგი ჭანტურაიასი.	5454
კოოპერატივის წიგნაკი № 514 მარიეტა ნანობაშვილის.	5454
სამხედრო წიგნაკი № 1021 ალექსანდრე მაღრაძესი.	5454

საქართველოს კომპარტიის (ბ) თიანეთის რაიკომი იუწყება ამავე ორგანიზაციის აქტიურ წევრთა ამხ.
პავლე ბუჩუკურის და ვლასი გოჭორიშვილის
ტრაგიკულად დაღუპვას. ნ-1376

ერწო-თიანეთის აღმასკომის პრეზიდიუმი იუწყება ამხ.
პავლე ბუჩუკურის და ვლასი გოჭორიშვილის
ტრაგიკულად დაღუპვას. ნ. 1376

ერწო-თიანეთის კოოპკავშირის გამგეობა მუშა-მოსამსახურეებით გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას მათი ინსტრუქტორის
ვლასი დომენტის-ძე გოჭორიშვილის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო. ნ. 1376

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინა, შვილები: ეთერა და ნათელა, რძალი თამარა თამაზაშვილები იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
მიხეილ (მიშა) თამაზაშვილი
გამოსვენება რუსთაველის გამზირი № 12, 3 ივნისს, საღ. 5 საათზე. 5465

ათანასე და ვარო ესაკიები და ვანო ფხალაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს სიძის
მიხეილ ალექსის-ძე თამაზაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას გამოსვენება რუსთაველის გამზ., № 12, პარასკევს, 3 ივლისს, საღ 5 საათზე. 5465

გულმოკლული მამიდები: თამარი, ქეთო და ელო ძმისწულებით: ვანო [illegible], კოლია ლებანიძე და გოგი [illegible] შვილებით აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი ცქრიალა გოგონას
თინიკო ავალიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას 5461

ღრმად დამწუხრებულნი ბებია ვარენი, ბაბუა ამბაკო, ბიძები: პართენი და ეტიენი ცოლით ნადიათი, დეიდა ალეთა მალაზონიშვილები, დეიდა ფატიმა, ბიძია პლატონი შვილებით: სიმონი, მარგარიტა, დათიკო [illegible] აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ საყვარელ და მუდამ დაუვიწყარ
თინიკო ავალიშვილის
უდროოდ დაკარგვას. 5461

არჩილ, კოკი, ბაბო, ნინო, მანანა და ბიძინა ავალიშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს საყვარელ და დაუვიწყარ იმისწულის, მაზლის-წულის და ბიძაშვილის
თინა ავალიშვილის
უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 6 საათზე (კრასინაგორის ქ. 5). 5461

დამწუხრებული დედა ბუბუ ფალავანდიშვილისა ქმარი კოლია და შვილებით: ოთარი და ვანი [illegible] იუწყებიან მეგობრებს და მათთვის დაუვიწყარ ქორქიკა ჟორდანიას შვილის პაწია
ა ჩ ი კ ო ს
უდროოთ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სოფ. მარტვილში 5488

[illegible] საქართველოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით გამოსთქვამენ თანამშრომელ ქორქიკა (გიორგი) ჟორდანიას საყვარელი ვაჟიშვილის პატარა
ა ჩ ი კ ო ს
უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა დღეს მარტვილში. ნ. 1362

ელისაბედ დემურიშვილი და უახლოესი მეგობრები: ამბროსი მაჩაბელი, ვ. კერესელიძე, იპოლიტე [illegible], ტარასი ოდიშარია და ელისაბედ სამადაშვილი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ [illegible] ბიძაშვილის პაწია
ცოტნე ლავროსის-ძე ჩხიკვიშვილის
უდროოდ გარდაცვალების გამო 5467

მეუღლე სოფიო დიმიტრის ასული, შვილები: გიგა, სიკო, ვლადიმერ, ნინო, თამარ, ტასო და ქეთო; რძლები: ლოლა, [illegible] და ნინო მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ
ილია დიმიტრის ძე ფაშალიშვილის
გარდაცვალებას. დასაფლავება ს. [illegible]. (ე)

გაზ. „მუშა“-ს რედაქცია და გამომცემლობის მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით აღნიშნავენ „მუშა“-ს თანამშრომლის—სიკო ფაშალიშვილის მამის
ილია დიმიტრის ძე ფაშალიშვილის
გარდაცვალებას. (ე)

გულმოკლული ცოლი ლიდა, შვილები: შოთა, ეთერი, თინა, ძმა დავითი, დები: დაიკო, ფაქიზო, ილინე რამიშვილები იუწყებიან საყვარელ და დაუვიწყარ მამის
სევერიანე დავითის-ძე რამიშვილის
გარდაცვალებას. დასაფლავება 4 ივლისს, სამტრედიაში. 5460

დამწუხრებულნი: სიდედრი [illegible], ცოლის ძმები: ამბროსი, დათიკო მეუღლით თამარით და მიშა ბაბტაძეები, ცოლის და ქვრივი და მეუღლე მისი ალექსანდრე ტაბიძეები იუწყებიან მათი ძვირფასი სიძის
სევერიანე დავითის-ძე რამიშვილის
დაკარგვას. დასაფლავება 4 ივლისს, სამტრედიაში. 5469

დამწუხრებული ცოლი სონა პაატოვი, ძმა გიორგი ცოლით, ცოლის ძმები: ალექსანდრე და შალიკო ბეროზაშვილები იუწყებიან რომ
სერგო აბელის-ძე პაატოვის
ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე დღეს 5 საათზე (მისამართი: გოგოლის ქუჩა № 66). 5462

გაუბედურებულნი: [illegible], დედა ნადია, დები შოთა და ხინა, ძმები: ვასილი და ბორისი, რძალი ვერა, სიძეები: გიორგი და ივანე დისშვილები ირაკლი და გულნარა იუწყებიან. რომ 30 ივნისს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და საამაყო ჭაბუკი
ნიკოლოზ (კოკი) ალექსან.-ძე გაგუნია
სამქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 საათზე, კაშის საყდარში. 5470

აგრონომი ალ. ქობალავა მეუღლე ნინათი აუწყებს ნაცნობ მეგობრებს მათთვის ძვირფას ბიძის
თომა დათას-ძე კოტარიას
გარდაცვალებას. ნ. 1381

ნიკოლოზ (ჯიბო) მაჭავარიანი მშობლებით და ძმებით, ანტონ ჩიქოვანი შვილებით, მინ დორა და მარო აგიაშვილები იუწყებიან, რომ დღეს, 2 ივლისს, ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია საქალაქო პანაშვიდი
ლიზა (გულნარა) მაჭავარიანის
ხსოვნის აღსანიშნავად. 5467

დამწუხრებულნი ცოლი სოფიო, ბიძა აბესალომი და დეიდაშვილი ილიკო [illegible] იუწყებიან მათი უსაყვარლეს პაწია
ცოტნე ლავროსის-ძე ჩხიკვაძე
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გამოსვენება ტრამვაის ქ. № 21 5458

თამარა და ლეონტი რევიები და ვალიკო [illegible] ღრმის მადლობას უძღვნიან მეგობრებს და ნაცნობებს, რომელმაც გაიზიარეს მათი უსაზღვრო მწუხარება საყვარელ დის
ც ა ც ა ს
გარდაცვალების გამო 545[illegible]

თავზარდაცემულნი: დედა ილიტა, მამა ლავროსი, დები მარო და ელიკო, ბაბუა კაპიტონ ჩხიკვაძეები და ბებია პელაგია [illegible] შვილი იუწყებიან მათი უსაყვარლესი პატ. ბიჭიკოს
მ ც ო ტ ნ ე ს
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გამოსვენება ტრამვაის ქ. № 21. 5458

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68. მთავლიტი № [illegible]